ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა“+ ვაჟა-ფშაველა
8 ლარი
11 ივლისიდან 25 ივლისამდე




ხუთშაბათი, 14 ივლისი, 2011 №165 (5546 ) ფასი: 30 თეთრი

# მერაბიშვილმა დაკავებული ფოტოგრაფების თავდებით გათავისუფლებაზე უარი თქვა

გვ.2



## საპატრიარქოში შეიძლება შიდა დაპირისპირება დაიწყოს

გვ.8



## საქართველოში ცუდი ამბები მოხდება

ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრი აღარ არსებობს

გვ.7



## სააკაშვილს ყველაფრისთვის პასუხს მოვთხოვთ!

პარლამენტმა ქართველ ხალხს შეურაცხყოფა მიაყენა



გვ.3

## სომხეთის უკან რუსეთი დგას და შეიძლება სიტუაცია დაგვეძაბოს

გვ.5



## არძინბას ცოლი ვიცეპრეზიდენტობას უმიზნებს

გვ.6



რა კოზირები აქვთ შამბას, ხაჯიმბას და ანქვაბს



## ეკა ბესელიამ აბდალაძე მოინახულა

გვ.8

## გია ცაგარეიშვილს ხათუნა გოგორიშვილთან კითხვები აქვს



გვ.4

გვ.2



## გამამართლებელი განაჩენების რაოდენობამ იმატა

გვ.9

## რა შემთხვევაში გაბედავს თბილისი აფხაზეთის აღიარებას

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

4 ლალი აფციაური ზურაბ ქურციკიძისა და გიორგი აბდალაძის ინტერესების დაცვას აპირებს

5 დაკავებულ ფოტორეპორტიორებს თანადგომას უკრაინელი კოლეგების უცხადებენ

4 ლეიბორისტული პარტია პარლამენტს რჩევას აძლევს

8 მაია მიმინოშვილი საერთო სამაგისტრო გამოცდასთან დაკავშირებით ბრიფინგს გამართავს

# მერაბიშვილმა დაკავებული ფოტოგრაფების თავდებით გათავისუფლებაზე უარი თქვა

ნათია ხურცილავა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ფოტოკორესპონდენტების საქმესთან დაკავშირებით ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის და კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის წევრებს შეხვდა.

ვანო მერაბიშვილთან გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ ზვიად ქორიძე, ლაშა ტუღუში, ია ანთაძე, ნინო დანელია, ნინო ზურიაშვილი, შორენა შავერდაშვილი და თამარ კორძაია.

შინაგან საქმეთა მინისტრი სანამ ქართველ ჟურნალისტებთან გამართავდა შეხვედრას, მანამდე საქართველოში აკრედიტებულ უცხოურ მედიას შეხვდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის წევრებთან შეხვედრა თითქმის სამ საათს გაგრძელდა. ჟურნალისტებს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძე და ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი შეხვდნენ.

ჟურნალისტებს ორი მოთხოვნა ჰქონდათ: დაკავებულების თავდებით განთავისუფლება და საქმისთვის გრიფით „საიდუმლოს“ მოხსნა.

**ლაშა ტუღუში:**

— რამდენიმე მოთხოვნა გვქონდა: თავდებით განთავისუფლებასთან დაკავშირებით ბატონმა მინისტრმა უარი გვითხრა. თუმცა, თქვა, რომ არაფერი არ არის გამორიცხული. მეორე მოთხოვნა იყო საქმის ბოლომდე გახსნა. მან გვიხრა, რომ ის ეთანხმება პროკურატურის პოზიციას და სასამართლო პროცესი ღია იქნება. ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ საზოგადოების ინტერესია, ეს საქმე მაქსიმალურად იყოს გახსნილი. მან გაიკვირვა, რატომ არ არის საქმე გახსნილი. გვითხრა, რომ სასამართლო ძალიან მალე გაიმართება. მისი ვარაუდით, ეს ვადა ერთ თვეს არ გადააჭარბებს. ძალიან დიდხანს ვიკამათეთ იმაზე, რომ ვერაფერი ვერ იქნებოდა



დახურული, რაზეც შეხვედრაზე ვისაუბრეთ. შევთავაზეთ, რომ გასულიყო მინისტრი მედიასთან და ესაუბრა. მან თქვა, რომ ამას მას შემდეგ გააკეთებს, რაც სასამართლო პროცესი გაიმართება. ახალი, კონკრეტული ფაქტი იმის დამადასტურებელი, რომ ეს ადამიანები თანამშრომლობდნენ უცხო ქვეყნის დაზვერვებთან, ჩვენ ვერ მოვისმინეთ. მხოლოდ იმის გამეორება მოხდა, რაც აქამდე ითქვა. მათ ჰქონდათ თავიანთი პოზიცია, ცდილობდნენ დავერწმუნებინეთ, რომ მათ საფუძვლიანი ეჭვები აქვთ. ჩვენი პოზიცია იყო, რომ ვერაფერი მოვისმინეთ ისეთი, რაც ჩვენ დაგვარწმუნებდა, რომ ეს ადამიანები არიან დამნაშავეები. ჩემი აზრით, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ პროტესტის გამოხატვა. მცირე დათმობა, სასამართლოს გახსნა, სწორედ ამ პროტესტის შედეგია. დიდხანს მიდიოდა დისკუსია, კამათი, რომ რაც შეიძლება მეტი გაგვეგო, რაც შეიძლება მეტი არგუმენტები მოგვეშველებინა. ვცდილობდით დაგვერწმუნებინა ისინი, რომ საქმე ბოლომდე გაეხსნათ. თუმცა, მათ თავიანთი არგუმენტები ჰქონდათ. ვფიქრობ, ამ შეხვედრას მაინც აზრი ჰქონდა, რადგან გავიგეთ, რეალურად რას აპირებენ. ისინი არ აპირებენ საქმე გახსნან და თავდებით გაათავისუფლონ.

**ზვიად ქორიძე:**

— რაც შეიძლება უნდა გაიზარდოს სამოქალაქო მოძრაობა და რაც შეიძლება უფრო მეტად გაიზარდოს სამოქალაქო კონტროლი ამ საქმეზე. მინისტრმა კატეგორიულად უარყო ჩვენი მოთხოვნა თავდებით გამოშვებაზე. ასევე კატეგორიულად უარყო მოთხოვნა გამოძიების პროცესში საქმეს მოეხსნას გრიფით „საიდუმლო“. მან მხოლოდ მხარი დაუჭირა პროკურატურის განცხადებას, რომ სასამართლო ღია იქნება. ასევე გვითხრა, რომ ეს საქმე ძალიან მალე დასრულდება. ჩვენ არც ერთი მტკიცებულება არ მოგვისმენია, მხოლოდ მოსაზრებები იყო, ასეთივე მოსაზრებები გვაქვს და ჩვენი მოსაზრებებით ვართ დარწმუნებული ამ საქმის ნახევრად ან სრულად უსაფუძვლობაში. რაც შეეხება მათ არგუმენტებს, ამ არგუმენტების მოსმენა არ გვიმყარებს არანაირად მათ მოსაზრებებს. რას ვაპირებთ, ეს დამოკიდებულია სამოქალაქო ორგანიზაციების, მოქალაქეების აქტიურობასა და კოორდინირებაზე. უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, როგორ უნდა ვიმოქმედოთ და როგორ მივაღწიოთ ამ საქმეზე მაქსიმალურ კონტროლს. ჩვენ მინისტრს კითხვა დავუსვით: რატომ შეგვხვდა, რატომ გამოთქვა მზადყოფნა? ამ კითხვაზეც არ ჰქონდა პასუხი. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ ამ საქმეს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ინტერესი აქვს, მან გვითხრა, რომ ის ხედავს ამ ინტერესს და არ არის წინააღმდეგი, რომ ესაუბრა ამ საქმეზე, მაგრამ ვერაფერი ვერ გვითხრა. ყველაფერზე ვიღებდით პასუხს, ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქმე გვაქვს შპიონაჟთან.

**შორენა შავერდაშვილი:**

— სასამართლო პროცესი გახსნილი იქნება. ეს არის მთავარი, რაც აქ მოვისმინეთ. ასევე დისკუსია იყო საქმის სტატუსთან დაკავშირებით. მინისტრმა გვითხრა, რომ ეს საქმე აქამდეც არ იყო გრიფით „საიდუმლო“. მერე კორექტირება მოხდა ამ ვერსიის. საბოლოო ჯამში შესაძლოა იურისტებმა ამ დღეებში მეტი ინფორმაცია გახადონ ჩვენთვის ხელმისაწვდომი. ამ შეხვედრაზე არანაირი დეტალი არ იყო ნათქვამი, უფრო დეტალურად განვიხილეთ ოფიციალური ვერსია. ის მასალები, რაც გამოქვეყნდა. ძირითადად ზურაბ ქურციკიძის ბრალეულობაზეა საუბარი. ისევ აპელირება იყო 2004 წლის საუბრებზე ორ გრუს აგენტთან, რომლე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# გამამართლებელი განაჩენების რაოდენობამ იმატა

ბოლო ხანებში სასამართლო სისტემაში იმატა გამამართლებელი განაჩენების რიცხვმა, რაც კიდევ უფრო მეტ ნდობას უსახავს საზოგადოებას მარლმსაჯულების მიმართ. სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ფაქტს ადასტურებს არა მხოლოდ გამამართლებელი განაჩენების რიცხვი, არამედ ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგებიც,სადაც გამოკითხულთა 70 პროცენტი სასამართლოს გადაწყვეტილებას სამართლიანად აფასებს და ენდობა მას.



ბოლო ხუთი თვის მანძილზე მხოლოდ ქუთაისის ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ექვსი გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. ზაალ კაპანაძეს ბრალი ედებოდა წყალტუბოს რაიონში მცხოვრები ქ.ს.-ს საცხოვრებელ სახლში შეღწევასა და ბინის ხელშეუხებლობის დარღვევაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. საქმის გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლომ გაარკვია, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ზაალ კაპანაძე ქ.ს.-ს საცხოვრებელ სახლში შემთხვევით აღმოჩნდა. მას გაცნობიერებული არ ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და არც სხვისი ბინის ხელშეუხებლობის დარღვევის წინასწარი განზრახვა გააჩნდა. აღნიშნულის გათვალისწინებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ ზაალ კაპანაძე უდანაშაულოდ ცნო. ასევე სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო ირაკლი ივანიშვილი, მას ბრალი ედებოდა ქ.ქუთაისში სკვერიდან ბეტონის კონსტრუქციებისაგან ჩამოსხმული საყვავილის ქურდობის მცდელობაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,177-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლომ თანაბარი პირობები შეუქმნა მხარეებს, მოისმინა დაცვისა და ბრალდების მტკიცებულებები და დაადგინა, რომ ირაკლი ივანეიშვილის ქმედებაში არ არსებობდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, რის გამოც იგი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენისთვის ბრალდებულ ნუგზარ ახალაისაც ბრალი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოეხსნა. სასამართლომ საქმის მასალების გაცნობისა და მტკიცებულებების შეჯერების შედეგად დაადგინა, რომ ბრალდების მხარემ ნუგზარ ახალაიას წინააღმდეგ არასაკმარისი მტკიცებულებები წარადგინა. გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. კოდექსის მიხედვით, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 24 მარტს უდანაშაულოდ ცნო დარეჯან კიკვაძე, რომელსაც ბრალი დაედო მოქალაქე ი.ქ-ს კუთვნილი ნივთების თვითნებურად დაუფლების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლო განხილვისას ბრალდებულმა დ.კიკვაძემ აჩვენა, რომ პარტნიორთან ი.ქ-სთან ერთად ეკონომიკური საქმიანობისთვის შეძენილი ნივთები მან შესანახად წაიღო მხოლოდ იმ მიზნით, რომ საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საწარმო ფუნქციონირებას აღარ აგრძელებდა და არ მომხდარიყო მათი დაკარგვა ან განადგურება. გარდა ბრალდებულის ჩვენებისა, სასამართლომ შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით შეისწავლა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დარეჯან კიკვაძის ქმედებაში არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, რის გამოც იგი უდანაშაულოდ ცნო, ხოლო მხარეებს შორის მოცემული დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

იგივე სასამართლომ 8 აპრილს მოქალაქე ნოდარ გიორგაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. ნოდარ გიორგაძეს ბრალი ედებოდა ბაღდათის რაიონში მცხოვრები ზ.ლ-ს საკარმიდამო ნაკვეთის მავთულბადის ღობისა და რამდენიმე ძირის ვაზის ნარგავების განზრახ დაზიანებაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. საქმის გარემოებების შესწავლისა და მხარეთა განმარტებების მოსმენის შედეგად სასამართლომ გაარკვია, რომ ნოდარ გიორგაძემ სახლის მახლობლად გაჭრა წყლის არხი, რასაც შესაძლებელია გამოეწვია მეზობლის ზ.ლ-ის ღობის და ვაზის ნერგების დაზიანება, ხოლო ნოდარ გიორგაძის ქმედებაში რაიმე განზრახვა რომ მეზობლისთვის მიეყენებინა ზიანი არ დადასტურდა. აღნიშნულის გათვალისწინებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ ნოდარ გიორგაძე უდანაშაულოდ ცნო.

29 აპრილს კი სასამართლომ იმედა სირბილაძე გაამართლა. მას ბრალი ედებოდა წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთში მდებარე სასურსათო მაღაზიის ქურდობის მცდელობაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით. სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდების მხარის მოწმის ჩვენება, რომლის მიხედვით მაღაზიის დარაჯი თამაზ ფ. უშუალოდ შეესწრო ქურდობის მცდელობის ფაქტს და ეჭვმიტანილიც ამოიცნო. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ალიბით - მაგთის სატელეფონო ზარების ამონაწერითა და მოწმეთა ჩვენებებით დადგინდა, რომ დანაშაულის ჩადენის ღამეს - 2010 წლის 14 ივლისს ბრალდებული იმყოფებოდა ქალაქ თბილისში. ამდენად შეუძლებელი იქნებოდა წყალტუბოს რაიონში მის მიერ დანაშაულის ჩადენა. იმედა ს.-ს მოცემულ დანაშაულში მონაწილეობის ფაქტი არ დადასტურდა შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითის ანაბეჭდებითა და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზითაც. ყველა ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მაღაზიის დარაჯი, შესაძლებელია კეთილსინდისიერად შეცდა, ხოლო იმედა სირბილაძის ქმედებაში არ არსებობდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, რის გამოც იგი უდანაშაულოდ ცნო.

ი.სირბილაძე ამჟამად სასჯელს სხვა დანაშაულისათვის, კერძოდ ცივი იარაღის უკანონოდ ტარებისათვის იხდის და სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ იგი გათავისუფლდება სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.

ბოლო გამამართლებელი განაჩენით კი, რომელიც 22 ივნისს გამოვიდა, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თვითნებურ ქმედებაში ბრალდებული გაამართლა. ზურაბ ბაღდაროვს ბრალი თანასოფლელი ნანა ჯ-ის ოჯახიდან საყოფაცხოვრებო ნივთების თვითნებურად წაღებაში ედებოდა, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიების მასალების მიხედვით, ნ. ჯ-ემ ბრალდებულის კუთვნილი სასურსათო მაღაზიიდან აღებული პროდუქტის ვალის - 114 ლარის გადახდა დააგვიანა. სწორედ ამ ვალის სამაგიეროდ წაიღო ზ.ბაღდაროვმა ნ. ჯ-ის სახლიდან ტელევიზორი და "დვდ" მაგნიტოფონი. შს სამმართველოში ოჯახის დიასახლისის ჩივილის შემდეგ ბაღდაროვის წინააღმდეგ სს საქმე აღიძრა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მოწმეთა ჩვენებებსა და საქმის სხვა მასალებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ ბრალდებულს თვითნებური ქმედება არ ჩაუდენია. ნანა ჯ-ის მეუღლემ გურამ შ-ემ სასამართლოზე დაადასტურა, რომ ბაღდაროვს მისი სახლიდან საყოფაცხოვრებო ნივთები ძალადობით არ წაუღია. ისინი შეთანხმებული იყვნენ, რომ ვალის გასტუმრების შემდეგ შ-ები თავის ნივთებს დაიბრუნებდნენ.

სასამართლომ ზურაბ ბაღდაროვს ბრალდება მოუხსნა და იგი უდანაშაულოდ ცნო.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## მერაბიშვილმა ფოტოგრაფების თავდებით გათავისუფლებაზე უარი თქვა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბიც ახლა ძებნაში არიან. ეს არის მთავარი მტკიცებულება, რაც აქამდე გავრცელდა და რაც ჩვენც გვითხრეს. დამატებითი მტკიცებულება ჩვენთვის ცნობილი არ გამხდარა. ყველაფერზე გვეუბნებოდნენ, რომ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს, რომ არსებობს მტკიცებულებები, მაგრამ საიდუმლოა და რომ ამ ყველაფერს სასამართლოზე ვნახავთ.

**ია ანთაძე:**

— ვცდილობდი ჩანაწერი გამეკეთებინა, ისინი ყვებოდნენ თავიანთ ვერსიას. ჩვენ გამოვთქვამდით ჩვენს ეჭვებს ამ ვერსიებზე. ფაქტობრივად არაფერი არ ვიცით იმაზე მეტი, ვიდრე ვიცოდით. ჩვენ მივიღეთ უარი ჩვენს მოთხოვნებზე. გვქონდა კითხვები და ამ კითხვებზე მათ თავიანთი პასუხები ჰქონდათ. ჩვენს კითხვებსა და მათ პასუხებს შორის თანხმობა არ ყოფილა. მათი პასუხები ჩვენთვის არადამაჯერებელი იყო. არც უთქვამთ, რომ მათი მიზანი დღეს იყო დამაჯერებელი პასუხების მოცემა. გვითხრეს, რომ ერთ თვეში სასამართლო იქნება და პირველივე კვირას მივიღებთ დამაჯერებელ პასუხებს. ასევე იყო შეკითხვა, რა რეჟიმში გვესაუბრა. მაგალითად, იყო საუბარი, რომ ვისაუბროთ ღიად და ბოლოს შევთანხმებულიყავით, რა ითქვას საჯაროდ და რა არა, მაგრამ ამაზე უარი ვუთხარით. ვუთხარით, რომ არ გვინდა არანაირი ინფორმაცია, რომელსაც ვერ ვეტყვით იმ ადამიანებს, რომელიც გარეთ გველოდებიან. ამის შემდეგ ქალბატონმა ეკა ზღულაძემ გვითხრა: თქვენ თვითონ აირჩიეთ ეს რეჟიმი, რომ შეხვედრა უინტერესო გამხდარიყო. თუ პირობას მივცემდით, შესაძლოა, რაღაც მეტი ეჩვენებინათ, მაგრამ შეთანხმებული ვიყავით, რომ არაფერს ისეთს არ ვნახავდით, რომლის განსაჯაროვებასაც ვერ შევძლებდით. ამ შეხვედრის შემდეგ ზუსტად იგივე შთაბეჭდილება მაქვს, რაც მანამდე მქონდა. არც უცდიათ ამ შთაბეჭდილების განქარვება. გვითხრეს, რომ ამ შთაბეჭდილების შესაცვლელად სასამართლოს დაწყებიდან პირველ კვირაში გვექნება ბევრი სიახლე. დაკავებულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მათი ადვოკატებისგან მიიღეთო. კატეგორიულად უარყოფენ ფიზიკურ ზეწოლაზე ინფორმაციას. ადვოკატებთან შეკითხვები გვაქვს, მაგრამ პრობლემაა, რომ ადვოკატებს ხელი აქვთ მოწერილი, ინფორმაციას არ გაავრცელებენ. რაც შეეხება იმას, ჰქონდა თუ არა აზრი ამ შეხვედრას, ჩემთვის არ ჰქონდა. დიდხანს ვცდილობდი პასუხი მიმეღო მინისტრისგან, რატომ გადაწყვიტა, რომ შეგვხვედროდა, რაზეც გვიპასუხა, უცხოური მედიის წარმომადგენლებს ვხვდებოდი და რადგან ჟურნალისტების საქმე იყო, ქართველებსაც შეგხვდითო. მათ კარგად გაიგეს, რომ იმ განწყობით წამოვედით, არაფერი ახალი არ გაგვიგია. ბოლო წამამდე ვამბობდით, რომ საქმეს გრიფით „საიდუმლო" უნდა მოეხსნას. მიგვაჩნია, რომ ადვოკატებს მიეცეთ საშუალება, მეტი ისაუბრონ, მეტი ინფორმაცია მოგვცენ. ასევე მიგვაჩნია, რომ თავდებით უნდა იყვნენ განთავისუფლებულები, რაზეც ვიმეორებ, კატეგორიული წინააღმდეგობა მივიღეთ. რაც შეეხება, როგორი განწყობა ჰქონდა მინისტრს, გეტყვით, რომ ძალიან დადებითი, გახსნილი. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ასეთიც იქნებოდა. ვფიქრობ, აქციები უნდა გაგრძელდეს. შოთა უტიაშვილი ამბობდა, რომ სასამართლო დახურული იქნებოდა, მაგრამ გადაწყვიტეს, რომ სასამართლო ღია იყოს.

**ნინო დანელია:**

მინისტრმა გვითხრა: როდესაც სასამართლო პროცესი შედგება, დარწმუნდებით, რომ ჩვენ მართლები ვიყავითო. ვუთხარით, რომ სასამართლომდე საქმის განსაჯაროვება მოხდეს. შეიძლება იმ დოკუმენტების გასაიდუმლოება, რაც შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას, მაგრამ ადამიანები რომ დარწმუნდნენ, პროცესი პატიოსნად მიდის, რომ ეს ადამიანები არ არიან დარტყმის, ზეწოლის ქვეშ. საერთაშორისო ფოტოსააგენტოსთან, რომ ვმუშაობ, ეს არ არის ბრალეულობა, მოვალეობაა, არც ამაშია ბრალეულობა, გასამრჯელოს რომ ვიღებ. დაკავებული ადამიანების კავშირი უნდა დაინახოს საზოგადოებამ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან, რომ ამას შეგნებულად აკეთებდნენ, ქვეყნის საზიანოდ მოქმედებდნენ, მსგავსი არაფერი არ ყოფილა შევხედრაზე წარმოდგენილი. ბატონი მერაბიშვილი გვეუბნებოდა: სასამართლოს დაველოდოთო. ვფიქრობ, პროტესტი უნდა გაგრძელდეს. მაქიმალურად უნდა ჩავრთოთ საერთაშორისო ორგანიზაციები. ჟურნალისტები არიან დაკავებულები და აქამდე ვერაფერი ვერ ვნახეთ გარდა იმისა, რომ ეს ადამიანები ერთმანეთს იცნობდნენ. ეს პროცესი უნდა გახდეს საჯარო, მინიმუმ ადვოკატებს უნდა შეეძლოთ საუბარი. დუმილის ვალდებულება არ უნდა ჰქონდეთ ადვოკატებს, რაზეც ბატონმა ვანომ თქვა, ეტყობა, ადვოკატებს კარგად ვერ განუმარტეს, რომ მათ შეუძლიათ საუბარი. მთელი პასუხისმგებლობა ადვოკატებზე გადაიტანა. ადვოკატებს საუბარი არ შეუძლიათ საიდუმლო დოკუმენტებზე და მათ შინაარსზეო. უნდა განვუმარტოთ ადვოკატებს ეს და მერე ისაუბრებენო. ჩვენ აქციები უნდა გავაგრძელოთ, რომ ეს ადამიანები მარტო არ დავტოვოთ, აქციებში საზოგადოება, მოქალაქეები და პოლიტიკოსებიც უნდა ჩაერთონ. ბატონმა მერაბიშვილმა, რაც მაგიდაზე ედო, ყველა ფურცელი გვაჩვენა, რაც იყო 2004 წელს ზურაბ ქურციკიძის ტელოფონით განხორციელებული ზარები გრუს ორ აღიარებულ, გაშიფრულ აგენტთან. ამ საუბრების შინაარსი არ ვიცით. ვანო მერაბიშვილმა ისიც გვითხრა, როგორ არ იცოდით, რომ აბდალაძე გიორგაძის კაციაო.

---

## სააკაშვილს ყველაფრისთვის პასუხს მოვთხოვთ!

### პარლამენტმა ქართველ ხალხს შეურაცხყოფა მიაყენა

ნონა ცაბაძე



**ინტერვიუ ხალხის პარტიის ლიდერ კობა დავითაშვილთან**

*— რას ფიქრობთ იმ კანონის შესახებ, რომელიც პარლამენტმა მიიღო და რომელსაც ასეთი დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა ქართველ საზოგადოებაში. როგორი იქნება თქვენი შეფასება ამ საკითხთან დაკავშირებით?*

— კანონის მიღების პროცედურა იყო შეურაცხმყოფელი ყველა ქართველისთვის, საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, იმიტომ, რომ ჩვენთან განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობს მართლმადიდებლური ეკლესია. როდესაც სომეხთა პატრიარქი ჩამოვიდა ჩვენთან, მან სწორად დააყენა საკითხი, როდესაც ამ საკითხის გადასაწყვეტად ჯერ ეკლესიას მიმართა და ამით, როგორც ჩანს, ბატონი სააკაშვილის გაღიზიანება გამოიწვია. მან დემონსტრაციულად თქვა, რომ ეს ჩემი კომპეტენციაა და არა ქართული ეკლესიის და მან ეკლესიის ზურგს უკან მიიღო გადაწყვეტილება, რითაც ფაქტიურად შეურაცხყოფა მიაყენა საერთაშორისო ასპარეზზე და დააკნინა და დაამცირა ქართული ეკლესიის როლი. სხვათა შორის, კონსტიტუციითაა აღიარებული მისი განსაკუთრებული ისტორიული როლი საქართველოს წინაშე. თავისთავად ეს იყო პროვოკაცია, რაც სჩვევია სააკაშვილს, შეურაცხყოფა და სწორედ ამიტომ გამოიწვია საზოგადოების უდიდესი აღშფოთება. რაც შეეხება თვითონ სამართლებრივ საკითხს, კანონი მიღებულია თვითონ კონსტიტუციის დარღვევით და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. ეროვნული საბჭო ვამზადებთ საკონსტიტუციო სარჩელს და ვაპირებთ მივმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს. მე ვიცი, რომ წამყვანი იურისტები იზიარებენ ამ პოზიციას, ჩვენ ვამზადებთ ამ საკონსტიტუციო სარჩელს და აუცილებლად შევიტანთ საკონსტიტუციო სასამართლოში.

***— რამდენად დაძაბავს ეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას?***

— სააკაშვილი არის გამოცდილი პროვოკატორი და ძალიან კარგად ეხერხება ხალხებს შორის ურთიერთობების დაძაბვა. დღესაც ამ მიზანს ისახავს, რათა მისი რეჟიმის დანაშაულებებიდან და იმ პრობლემებიდან, რომლის წინაშეც საზოგადოება დგას, ყურადღება გადაიტანოს ამ საკითხზე. ბუნებრივია, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს არ აისახოს ორი მეგობრული ერის, ქართველი და სომეხი ერის ურთიერთობაზე და ჩვენი ბრძოლა უნდა წარვმართოთ სამართლებრივი კუთხით, უნდა წარვმართოთ ურთიერთპატივისცემის კუთხით და არავითარ შემთხვევაში სააკაშვილის პროვოკაციას არ უნდა წამოვეგოთ. თუმცა არის საუბარი, რომ ეს მაინც გამოიწვევს ქსენოფობიურ ტალღას და დაძაბავს ურთიერთობას ორ ქვეყანას შორის. ვფიქრობ, რომ ამ პროვოკაციაზე წამოგება არ ეგების და მოვუწოდებ საზოგადოებას, არ აყვეს სააკაშვილის პროვოკაციას. მე არ ვაპირებ ამ თემაზე მეტ საუბარს, რათა არ აღვასრულო სააკაშვილის პროვოკაციული მიზანი.

***— ასევე მინდა გკითხოთ ფოტორეპორტიორების დაკავებასთან დაკავშირებით, თქვენი აზრით, რას უკავშირდება მათი დაკავება?***

— ეს არის პირადი და პოლიტიკური ანგარიშსწორების კომბინაცია. ეს ფოტორეპორტიორები გამოირჩეოდნენ როგორც 26 მაისის მოვლენების ობიექტური ასახვით, რომელიც სერიოზული მტკიცებულება იყო სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, ისე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქალბატონ შერონ სტოუნის ვიზიტის დროს მათ მიერ გადაღებული ფოტოგრაფიები მოხვდა საერთაშორისო სააგენტოს ვებგვერდზე და ეს იყო შურისძიება, როგორც პირადი, ისე პოლიტიკური. არანაირი კავშირი მათ ჯაშუშობასთან, ბუნებრივია, არა აქვთ. ეს თავიდანვე ცხადი იყო. არანაირი მტკიცებულება სამართალდამცველებს არ წარმოუდგენიათ. ჩვენ ვიხილეთ რაღაც ვიდეოჩანაწერი, როგორ საუბრობენ საერთაშორისო სააგენტოდან ანაზღაურების მიღებაზე. ეს არაფერს არ ადასტურებს გარდა იმისა, რომ ეს ფოტოგრაფები მუშაობდნენ საერთაშორისო დაკვეთებზე და ამისთვის იღებდნენ შესაბამის ანაზღაურებას. რაც შეეხება ბატონი გედენიძის აღიარებას, მისი ფასი არის ნული, ვინაიდან ყველასთვის ცხადია, თუ რა მოხდა. მოხდა მძევლად აყვანა გედენიძის და მისი მეუღლის და მისი მეუღლის განთავისუფლების სანაცვლოდ, გედენიძემ გაიმეორა სააკაშვილის ტექსტი. ძალიან ცხადია, რა მოხდა. ასე რომ, არანაირი ფასი ამ აღიარებას არა აქვს. ეს იყო მძევლად აყვანა და ჩვენების გამოძალვა მეუღლის განთავისუფლების სანაცვლოდ.

***— საზოგადოების პროტესტი დიდია, თუმცა ეჭვია, რომ სააკაშვილმა ვინმეს აზრი გაითვალისწინოს...***

— ეს ყველაფერი გროვდება. ეს ყველაფერი არ შერჩება სააკაშვილს და ამ ყველაფრისთვის პასუხი მოეთხოვება.

***— როდის, ბატონო კობა, როდის?***

— ძალიან მალე. მთავარია საზოგადოებას არ ჰქონდეს პოლიტიკური ამნეზია და ძალიან მნიშვნელოვანია ახსოვდეს სააკაშვილის ყველა ბოროტება, ყველა შეუსრულებელი დაპირება, ყველა ადამიანის უფლების დარღვევა, რომელიც მისგან მომდინარეობდა და საჭირო მომენტში გაუხსენოს. ეს საჭირო მომენტი კი არის არჩევნები.

***— რაც შეეხება ექვსიანის გეგმებს და თქვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, შეიქმნა კოალიცია, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?***

— დიახ, ჩამოყალიბდა პოლიტიკური კოალიცია, ჩვენ ვერთიანდებით არა მხოლოდ საარჩევნო გარემოს შესაცვლელად, არამედ საარსებო გარემოს შესაცვლელადაც. როდესაც ადამიანების უდიდესი ნაწილი სილატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, როდესაც ისინი იბრძვიან არსებობისთვის. ჩვენ, ვინც თავისუფალი არჩევნებისთვის ვიბრძვით, მათ უნდა გავუწოდოთ თანადგომის ხელი და ქართული სახელმწიფოს ამოცანად დავისახოთ ყველა ოჯახისთვის საარჩევნო მინიმუმის უზრუნველყოფა. სანამ ადამიანის სიცოცხლე, მისი ოჯახის სიცოცხლე, ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დგას, ძალიან რთულია, რომ ეს ადამიანი არ იქცეს მოსყიდვის, დაშინების ობიექტად და არ იქცეს საყრდენად არსებული ავტორიტარული რეჟიმის. ქართული დემოკრატიის, თავისუფალი არჩევანის აუცილებელი ელემენტია, შეთანხმება იმ პოლიტიკურ ძალებს შორის, რომლებიც თავისუფალი არჩევნებისთვის იბრძვიან და საზოგადოების იმ ნაწილს შორის, რომელიც არსებობისთვის იბრძვის. ჩვენ მათ უნდა მოვუპოვოთ საარსებო მინიმუმი და ისინი უნდა დაგვეხმარონ თავისუფლების მოპოვებაში.

***— საუბარი იყო, რომ თქვენ გააქტიურდებოდით სამოქალაქო კუთხითაც, თუ შემოვლენ თქვენს კოალიციაში სამოქალაქო ორგანიზაციები?***

— იცით რა, ჩვენ ისეთი ფორმა შევარჩიეთ სამოქალაქო მოძრაობის თავისუფალი არჩევნებისთვის, რომელიც მაქსიმალურად ჰორიზონტალურია, რათა ყველა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც ჩვენთან ითანამშრომლებს, მაქსიმალური დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს და არ მოექცეს ჩვენი პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ. ამ ფორმით თანამშრომლობას ძალიან დიდი პერსპექტივები აქვს. ეს ახალია ქართულ სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკაში, როდესაც თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა ხდება პოლიტიკურ ძალებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის. გეტყვით, რომ ამას მხარდაჭერა მოჰყვა სამოქალაქო ორგანიზაციების მხრიდან.

***— ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთმა წევრმა ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, რომ ექვსიანმა ახლავე უნდა განაცხადოს, ამ პირობებით თუ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას...***

— ბატონმა ვეფხვაძემ და მისმა ლიდერებმა განაცხადეს, რომ ძროხაზე ვვაჭრობდით, ქათამი მოგვცეს და დავთანხმდითო. მე ვერ გავიგე, რას მოგვიწოდებენ, ჩვენც ქათამს დავჯერდეთ? ქათმობა არასდროს მოგვინდომებია და არც მომავალში ვაპირებთ. მესმის ბატონი ვეფხვაძის გულისწუხილის, მას ძალიან ადარდებს, გადალახავს თუ არა მისი რეიტინგდაკარგული და შერცხვენილი პარტია 5%-იან ბარიერს, ეს გულწრფელი წუხილია მისი, მაგრამ ნამდვილად ვერაფრით ვერ დავამშვიდებ. ჩვენ ისეთი ბრძოლის გამართვას ვაპირებთ, რომ ნაციონალურ მოძრაობას თავისი სატელიტებისთვის ქრისტიან-დემოკრატებისთვის, მემარჯვენეებისთვის, თორთლაძის და ძმათა მისთათვის არ ეცლება და მათთვის ხმებს ვერ გამოიმეტებს. დიდი ალბათობით ეს პარტიები საზოგადოების მხარდაჭერას ვერ მოიპოვებენ.

***— ფიქრობთ, რომ იმ უპირატესობებით ველარ ისარგებლებენ?***

— რა თქმა უნდა. მათი მზე ჩაესვენა მაშინ, როდესაც მათ უღალატეს ოპოზიციურ ერთობას, როდესაც არ გამოიყენეს შანსი, ჩამდგარიყვნენ რეალური ოპოზიციის რიგებში და ამჯობინეს სააკაშვილის ნასუფრალით კვება.

***— რა გეგმები აქვს ექვსიანს, რით დაათმობინებთ ხელისუფლებას?***

— ეს უკვე ხალხზეა დამოკიდებული, როდესაც ამერიკის ელჩიც კი მოგვიწოდებს, რომ ხალხმა უნდა თქვას თავისი სათქმელი და იმ პარტიებმაც, ვინც არ შეუერთდნენ ამ შეთანხმებასო, ბუნებრივია, აქ ხალხის სიტყვა არის გადამწყვეტი. ჩვენ გვაქვს გეგმა მილიონი მხარდაჭერის მოპოვებისა და ამ მხარდაჭერის დაფიქსირებისა როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის შიგნით ასპარეზზე. ჩვენ ზაფხულშიც ვაპირებთ მუშაობას, ბუნებრივია, პირველი პიკი შემოდგომაზე იქნება, თუმცა არა უკანასკნელი. არ შევეშვებით ამ საქმეს მანამ, სანამ არ მივაღწევთ შედეგს.

---

## აფხაზეთი ვანუატუსთან ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმებას აპირებს

აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკა ვანუატუსთან კულტურის, ვაჭრობისა და საბანკო სფეროში თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავს. ამის შესახებ აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში იურის გულბისმა განაცხადა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში ამ მიზნით ვანუატუში აფხაზეთის ე.წ. ოფიციალური პირების ვიზიტიც იგეგმება.

— როგორც იცით, მიუხედავად ევროკავშირისა და ავსტრალიის მიერ განხორციელებული ზეწოლისა, ვანუატუმ მაინც ორჯერ დაადასტურა აფხაზეთის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ფაქტი, — განაცხადა გულბისმა. **მედიანიუსი**

---

## სასამართლომ არასრულწლოვნით ვაჭრობის საქმის განხილვა დაასრულა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაასრულა არასრულწლოვნით ვაჭრობისათვის მსჯავრდებულების საქმის განხილვა.

სისხლის სამართლის პალატამ დაადგინა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მანანა აბესლამიძის, ქეთევან დიასამიძისა და ლიანა ხალვაშისათვის დადებული საპატიმრო სასჯელი სამართლიანია და აპელანტების მოთხოვნა მსჯავრის შემსუბუქების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქმის მასალების მიხედვით, 23 წლის მსჯავრდებულმა ქეთევან დიასამიძემ არასასურველი შვილის გაყიდვის გადაწყვეტილება ორსულობის პერიოდშივე მიიღო. ამაში მას ბათუმის სამშობიარო სახლის სანიტარი მანანა აბესლამიძე დაეხმარა. იგი დაუკავშირდა თავის ნაცნობ ლიანა ხალვაშს, რომლის ქალიშვილსა და სიძეს ახალშობილის შვილად აყვანა სურდათ. მამრობითი სქესის ბავშვი 2010 წლის 7 აგვისტოს ბათუმში, ინასარიძის ქუჩაზე მდებარე ნაქირავებ ბინაში დაიბადა.

იმავე დღეს ლიანა ხალვაშმა იგი მშვილებელ დედასთან წაიყვანა. სანაცვლოდ კი ბავშვის გენეტიკურ მშობელზე გადასაცემად მანანა აბესლამიძეს 500 დოლარი გადასცა. სასამართლო გამოძიების დროს ეს ფაქტი სამივე მსჯავრდებულმა დაადასტურა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, ახალშობილის გაყიდვისათვის მანანა აბესლამიძესა და ქეთევან დიასამიძეს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

ამავე განაჩენით მსჯავრდებულ ლიანა ხალვაშს კი შვილად აყვანის მიზნით ახალშობილის ყიდვისთვის სასამართლომ მსჯავრად 6 თვის ვადით გამასწორებელი სამუშაო განუსაზღვრა.

# გია ცაგარეიშვილს ხათუნა გოგორიშვილთან კითხვები აქვს



**პარლამენტის ბიუროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ოპოზიცია სამართლებრივი შედეგის არმქონეს უწოდებს. სამშაბათს პარლამენტის ბიურომ დაზუსტებული განმარტებითი ბარათი მიიღო, რომელიც სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებს უკავშირდება. ეს განმარტებითი ბარათი საპარლამენტო ოპოზიციისა და იურისტების ნაწილის მტკიცებით, იურიდიული ძალის არმქონეა.**

**პარლამენტის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ძალაში შესულ კანონს თან დაზუსტებული განმარტებითი ბარათი „დაეწიეს“.**

**ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი მიიჩნევს, რომ დაზუსტებული განმარტებითი ბარათი ოროსანი დეპუტატებისთვის არის დაწერილი. გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, რაც უკვე მოხდა, იმის გამოსწორება ამ მეთოდებით შეუძლებელია, რადგან პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ძალაშია შესული.**



ნანა მიშელაშვილი

— რაც არ უნდა მჭერმეტყველურად დაიწეროს დაზუსტებული განმარტებითი ბარათი, მას სამართლებრივი ძალა არ გააჩნია. ეს დაზუსტებული განმარტებითი ბარათი სადღეგრძელოს სტილშია დაწერილი, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ მას არავითარი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

დეპუტატის თქმით, სათქმელი და განმარტებები უნდა გახმოვანებულიყო კანონპროექტის საკომიტეტო მოსმენის დროს და არა მას შემდეგ, რაც ქუჩაში ათი ათასობით აღშფოთებელი მოქალაქე გამოვიდა.

— მაგრამ კანონპროექტი ისეთი კალეიდოსკოპური სისწრაფით იქნა მიღებული, რომ ვერც საზოგადოებამ და ვერც პოლიტიკურმა ძალებმა ფაქტიურად ვერ მოახერხეს ხელისუფლებასთან ოპონირება. მე ვფიქრობ, რომ ეს იყო მიხეილ სააკაშვილის ერთპიროვნელი გადაწყვეტილება, რომ როგორმე დაემდაბლებინა მისი უწმინდესობის ავტორიტეტი. ბატონ სააკაშვილს სძინავს და ესიზმრება „გრინბერგის“ გამოკითხვებში პირველი ადგილი ეკავოს ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროს და შემდეგ ეკლესიას, ჯერ სააკაშვილს და შემდეგ მის უწმინდესობას, მაგრამ ამას ვერასდროს ვერ ეღირსება, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

დამოუკიდებელი დეპუტატის თქმით, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საქართველოს პარლამენტი, თავის თავმჯდომარის ჩათვლით, გადაიქცა სააკაშვილის ყველაზე გაუკუღმართებული წარმოდგენების „გაპრავების“ დაწესებულებად.

— წმინდა სინოდმა ღვთისა და ერის წინაშე აიღო ვალდებულება, რომ ქვეყანაში სიტუაცია შეუქცევადად, ყველაზე უარყოფითი განვითარების გზით არ წასულიყო. წმინდა სინოდმა ამ ურთულეს ვითარებაში იტვირთა საერო ხელისუფლების ტვირთიც და მეტნაკლებად განმუხტა მდგომარეობა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ სააკაშვილი არის ავანტიურისტი, რომელიც ყველა გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს, — განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

დამოუკიდებელი დეპუტატი საუბრობს იმაზეც, რომ პარლამენტის უმრავლესობაში არ აღმოჩნდა არც ერთი დეპუტატი, რომელიც ამ კანონის წინააღმდეგ წავიდოდა.

— ზოგიერთმა მათგანმა საერთოდ არც კი იცოდა, რას უჭერდა მხარს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ იხილეს სახალხო აღშფოთება, მიხვდნენ, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს. ამის შემდეგ დაიწყეს ფიქრი იმაზე, როგორ შეენარჩუნებინათ სახე და როგორ ემართლებინათ თავი საზოგადოების და საპატრიარქოს წინაშე, — განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა. დეპუტატის თქმით, ის რაც საქართველოს პარლამენტში მოხდა, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ერი და ბერი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, უნდა დაირაზმოს და ქართველი ბოლშევიკების ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებლები პოლიტიკიდან გაისტუმროს.

— ყველამ უნდა იცოდეს, რომ სერგო ორჯონიკიძის ბეჭებიდან ჩამოხსნილი ლაბადა, ვერასდროს ვერ გახდება ქართველი ერის სიმბოლო — აღნიშნა ცაგარეიშვილმა. დაზუსტებული განმარტებითი ბარათის მნიშვნელობაზე საპარლამენტო უმრავლესობაც საუბრობს და მას პოლიტიკურ აქტს უწოდებს. მმართველი გუნდის მტკიცებით, დაზუსტებულ განმარტებით ბარათში ასახულია იგივე პოზიცია, რაზეც კანონპროექტის განხილვისას საუბრობდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები.

უმრავლესობის წევრების თქმით, დაზუსტებულ განმარტებით ბარათში ხაზგასმულია განსაკუთრებული დამოკიდებულება სახელმწიფოსი მართლმადიდებლურ ეკლესიასთან. ამასთან, არავითარი ცვლილებები საკონსტიტუციო შეთანხმებაში (კონკორდატში) არ იგეგმება.

დაზუსტებულ განმარტებით ბარათში, რომელიც სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებს შეეხება, ასევე ნათქვამია, რომ საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას და ამავდროულად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან.

კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. მასში ასევე მითითებულია, რომ კონსტიტუციით აღიარებული საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და განსაკუთრებული სტატუსი კიდევ უფრო ნათლად აისახა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული არაერთი საკანონმდებლო აქტი ადგენს მთელ რიგ შეღავათებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით.

კონსტიტუციურმა შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის შემდეგ ნორმატიულ აქტთა იერარქიაში ყველაზე მაღალი დონის ნორმატიულ აქტს წარმოადგენს, განსაზღვრა როგორც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი, ისე მისი საკუთრების უფლება. ოპოზიციონერი დეპუტატების ნაწილს დაზუსტებულ განმარტებით ბარათში ერთი ჩანაწერის განმარტებაც აინტერესებთ. კერძოდ, ეს შეეხება იმას, რომ კონსტიტუციური შეთანხმებით, სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს, მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ რელიგიური გაერთიანებების სტატუსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებით, სახელმწიფომ საპატრიარქო იმ მოლაპარაკებების პროცესში, რომელიც ეკლესიის მხრიდან სხვადასხვა რელიგიურ დენომინაციებთან მიმდინარეობდა, გვერდით გაწია.

დეპუტატის თქმით, სადავო ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით საპატრიარქოს დიალოგი მუსლიმურ თემთან და სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიასთან ჰქონდა და ამ პროცესში „სახელმწიფო ჩაეჭრა“.

— ბიუროზე მიღებული დაზუსტებული განმარტებითი ბარათის ერთ-ერთი აბზაცი გვაუწყებს, რომ კონსტიტუციური შეთანხმებით სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს, მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული. მინდა ვიკითხო, რა ხდება არამართლმადიდებლურ ტაძრებთან და მათ ნანგრევებთან მიმართებაში, რომელთა წარმოშობასთან დაკავშირებული საკითხები კითხვითი ნიშნის ქვეშ დგას და საქართველოს ეკლესიის ინიციატივით სპეციალური კომისიის მიერ შესწავლას ექვემდებარება? მათ დღეს სახელმწიფო, კერძოდ კი, ეკონომიკის სამინისტრო განკარგავს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის მეშვიდე მუხლში კი, სადაც ქონებრივი რეგულაციის საკითხებია წამოწეული, პირდაპირ წერია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თავისი მიზნების მისაღწევად სახელმწიფოსგან გარკვეულ ქონებას იღებს. დღეს ეკლესია სახელმწიფოსთან იმის გამო დავობს, რომ იგი რელიგიურ დენომინაციებთან, მათ შორის მუსულმანურ თემთან და სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიასთან მრავალი წლის განმავლობაში დიალოგში იყო ჩართული. შენ ამ დიალოგში შემომეჭერი და ამ დიალოგიდან გვერდზე გამწიე. მათ შორის დიალოგი იყო თურქეთის მხარესთან რამდენიმე მონასტრის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის იურისდიქციაში გადმოცემასთან დაკავშირებით და ტაო-კლარჯეთის ეპარქია ამაზე პასუხისმგებლობას იღებდა. მოლაპარაკებების საგანს წარმოადგენდა ასევე ლორე-ტაშირისა და ჰერეთის ეპარქიებში არსებული მონასტრების ქართული ეკლესიის იურისდიქციაში გადმოცემის საკითხი. მიღებული კანონით ეკლესიათა შორის დაწყებულ დიალოგის პროცესში სახელმწიფო უხეშად ჩაეჭრა, - აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

დეპუტატი ყურადღებას ამახვილებს კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღებისას გამოვლენილ დარღვევებზეც და აცხადებს, რომ პარლამენტის რეგლამენტი იმდენად იქნა უგულებელყოფილი, რომ აღნიშნული გარემოება მიღებული კანონის ლეგიტიმურობის საკითხის დასმის საფუძველს იძლევა.

— რა მოხდა ამ შემთხვევაში: 2011 წლის 1 ივლისს, შუადღის 2 საათსა და 25 წუთზე პარლამენტის წევრებს გვეცნობა, რომ კომიტეტების გაერთიანებული სხდომა იწყებოდა. ამ სხდომაზე მედიის არც ერთი წარმომადგენელი არ ყოფილა. ფორმალურად ჩაითვალა, რომ სხდომა შედგა. შეკითხვას ვუსვამ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ხათუნა გოგორიშვილს, საქართველოს რეგლამენტის უხეში დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება საკომიტეტო მოსმენაზე არის თუ არა ლეგიტიმური საფუძველი საბოლოოდ სესიაზე მიღებული კანონისა? — აინტერესებს ლორთქიფანიძეს. დეპუატატი იმასაც ამბობს, რომ სამშაბათს, პარლამენტის ბიუროს სხდომას სპეციალურად ესწრებოდა, რომ ეს შეკითხვა დაესვა, თუმცა, ამის საშუალება არ მიეცა.

— ბიუროს სხდომა ისე დამთავრდა, რომ ამის საშუალება არ მომეცა, პარლამენტის რეგლამენტი არ მაძლევდა იმის უფლებას, რომ თვითინიციატივით ჩავრეულიყავი ბიუროს მუშაობაში. მაშინ მე უბრალოდ გამაძევებდნენ ბიუროს დარბაზიდან, — აღნიშნა ლორთქიფანიძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ოპოზიციონერი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე საუბრობს, შეეხება დაკავებულ ფოტორეპორტიორებს. დიმიტრი ლორთქიფანიძე ფოტორეპორტიორების საქმესთან დაკავშირებით სპეციალური ინტერპარტიული ან ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნას ითხოვს, რომლის წევრებს საქმის მასალებზე დაშვებისა და მათი გაცნობის შესაძლებლობა ექნებათ.

აღნიშნული მოთხოვნით დეპუტატი მთავარ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართავს.

დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებს, საზოგადოებასა და მედია წრეებში არსებული ეჭვი იმისა, რომ ფოტორეპორტიორების საქმეში მათთვის წაყენებული ბრალდების დამადასტურებელი მასალები არ არსებობს და საქმისთვის გრიფით „საიდუმლოს“ დადებით ხელისუფლება დროის მოგებას სცდილობს.

— სწორედ ამიტომ საჭიროდ ვთვლი, სპეციალური ინტერპარტიული ან ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნას, რომელშიც მზად ვარ თავადაც ჩავერთო და შესაბამისი ხელმოწერით, საქმეში არსებულ მასალებს გავეცნო. თუკი ჯგუფის წევრები ვნახავთ, რომ საქმეში მართლაც არსებობს მტკიცებულებები, რომელიც წაყენებულ ბრალდებას ადასტურებს, საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ ასეთი მტკიცებულებები არსებობს და თუ არა, მაშინ ესეც ნათელი გახდება, — აცხადებს ლორთქიფანიძე.

ფოტორეპორტიორებს გიორგი აბდალაძეს, ზურაბ ქურციკიძეს და ირაკლი გედენიძეს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯაშუშობის მუხლით წაუყენეს ბრალი, რაც თავისუფლების 8-დან 12 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. მათ საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ადევს.

## თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეკვეთილი მკვლელობის საქმის განხილვა დაასრულა

სასამართლომ ინგა წულაძეს მეუღლის გიორგი წულაძის შეკვეთილი მკვლეობის ორგანიზებისათვის 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, უშუალოდ ამსრულებელს ზურაბ სოლომნიშვილს უვადო პატიმრობა, ხოლო შუამავლს, ოჯახის ძიძას ელენე თუშიშვილს, 16 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

საქმის ვითარება შემდეგში მდგომარეობდა: 2009 წლის აპრილის თვეში ოჯახური კონფლიქტის გამო ინგა წულაძემ მისი მეუღლის გ. წულაძის მოკვლა გადაწყვიტა. ის თავისი მოახლის ელენე თუშიშვილის და მდგმურის ზვიად საყვარელიძის მეშვეობით დაუკავშირდა ზ.სოლომნიშვილს, ვინც დასთანხმდა 5 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ მოეკლა მისი მეუღლე. აღნიშნულმა პირებმა შეიმუშავეს გეგმა და ზ. სოლომნიშვილს მიაწოდეს გ. წულაძის გადაადგილების მარშუტი. იმავე წლის 29 აპილს, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზ. სოლომნიშვილი ჩაუსაფრდა გ. წულაძეს და ცეცხლსასროლი იარაღის ერთი გასროლით მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა.

მკვლელობიდან მეორე დღეს ი. წულაძემ შესრულებული სამუშაოსათვის ზ. სოლომნიშვილს გასამრჯელო, 5000 აშშ დოლარის ოდენობით გადაუხადა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო როგორც მკვლელობაში მონაწილე, შუამავლის ზ. საყვარელიძის განთქმითი ჩვენების ასევე მსჯავრდებულთა და საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე.

## აფციაური ზურაბ ქურციკიძისა და გიორგი აბდალაძის ინტერესების დაცვას აპირებს

ადვოკატი ლალი აფციაური დაკავებული ფოტოგრაფების ზურაბ ქურციკიძისა და გიორგი აბდალაძის ინტერესების დაცვას აპირებს.

ამის შესახებ აფციაურმა გუშინ გლდანის დროებითი მოთავსების იზოლატორში ქურციკიძესა და აბდალაძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

აფციაურის თქმით, ის ძიების მწარმოებელ ორგანოს დღესვე განცხადებით მიმართავს და მის საქმეში ჩართვას მოითხოვს.

— საქმის დეტალები ჩემთვის ჯერ-ჯერობით უცნობია და მხოლოდ საქმეში ჩართვის შემდეგ გახდება ცნობილი. ამ ეტაპზე რაც შემიძლია, გითხრათ, ისაა, რომ ორივე დაკავებული თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს, — განაცხადა აფციაურმა და დასძინა, რომ ფოტოგრაფებს ვიზუალურად ფიზიკური ზეწოლის კვალი არ ეტყობათ და ამაზე არც თავად საუბრობენ.

პირველი

## ლეიბორისტული პარტია პარლამენტს რჩევას აძლევს

„ლეიბორისტული პარტია“ რელიგიურ კონფესიებს პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონის გამოყენებაზე უარის თქმისკენ მოუწოდებს.

როგორც „ლეიბორისტების“ პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „სააკაშვილის ხელისუფლების გადაწყვეტილება რელიგიური გაერთიანებებისთვის სსიპ სტატუსის მინიჭების შესახებ ანგლო-ამერიკული იმპერიალიზმის დაკვეთაა, რომელიც ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების პროვოცირებას ისახავს მიზნად“.

— მივმართავთ ჩვენი მოძმე ტრადიციული რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს, რომლებთანაც საუკუნეების მანძილზე ერთობლივი თანაცხოვრება და ურთიერთპატივისცემა გვაკავშირებს, რომ ამ კანონის გამოყენებაზე უარი თქვან. იგი მხოლოდ დაძაბულობასა და დაპირისპირებას გამოიწვევს, ასევე ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ეს კანონი როგორც ანტიკონსტიტუციური და ანტიეროვნული ნორმა, აუცილებლად გაუქმდება, — განაცხადა გუგავამ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტმა სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები დაამტკიცა, რომლის თანახმად, რელიგიურ გაერთიანებებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი ენიჭებათ.

პირველი

## კრწანისის რაიონის ნაწილს ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება

ქვესადგურში „ფონიჭალა“ სარემონტო პროფილაქტიკური სამუშაოების გამო 14 ივლისს 12 საათიდან 16 საათამდე კრწანისის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება. შეზღუდვა შეეხება: ზემო და ქვემო ფონიჭალის და გეოლოგების დასახლების, რუსთავის გზატკეცილის, გორგასლის გამზირის (ნაწილობრივ), მარნეულის, სადგურის, ჟორდანიას, კრწანისის, სურგულაძის, ღოღობერიძის, თელეთის და ჭალადიდის ქუჩების მაცხოვრებლებს. სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგება.

მედიანიუსი

ნონა ცაბა ე

# სომხეთის უკან რუსეთი დგას და შეიძლება სიტუაცია დაგვეძაბოს

## ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ბატონო შალვა, თქვენთვისაც ცნობილია, თუ რა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა, რომელიც მართლმადიდებლობას საფრთხეს უქმნის. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით და რას იტყვით ხელისუფლების მიერ გადადგმულ ამ არაპოპულარულ ნაბიჯზე?***

— არაპოპულარული ნაბიჯი ხელისუფლებამ შესაძლოა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე გადადგას, მაგრამ ეს არაპოპულარული ნაბიჯი შესაძლებელია დაჯდე, ხალხს აუხსნა, საზოგადოებას აუხსნა, გამართო ამასთან დაკავშირებით დისკუსიები, მსჯელობები სხვა კონფესიების წარმომადგენლებთან, მიხვიდე გარკვეულ შეგნებულ აზრამდე, მაგრამ, თუ ხედავ, რომ ეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია, მაშინ შესაძლებელია, ეს ნაბიჯი მაინც გადადგა. თუმცა, ეს ნაბიჯი შეიძლება იყოს არაპოპულარული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამღუპველი და ქვეყნის უშიშროებისათვის საფრთხის შემცველი. აი, ასეთ მოვლენასთან გვაქვს ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე. ეს ნაბიჯი არათუ არაპოპულარული იყო, არამედ ქვეყნის მომავალი უშიშროებისათვის და, კაცმა არ იცის, შეიძლება, ეს მომავალი დადგეს ათ დღეში, ერთ წელიწადში თუ ათ წელიწადში, გახდეს საკმაოდ საშიში, რომელსაც ველარასდროს ველარავინ ველარ აღმოფხვრის და ველარ გაასწორებს. ჩვენ ახლაც ვხედავთ, ამან რამხელა ვნებათაღელვა გამოიწვია.

***— ასევე იგნორირებულ იქნა პატრიარქის წინადადებები.***

— აქ საუბარი აღარ იყო ოპოზიციასა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე, რომელიც სააკაშვილს არც კი მიიჩნევს პრეზიდენტად და ამ პარლამენტსაც თვითმარქვიას უწოდებს. აქ საუბარია პატრიარქზე, ერის სულიერ მამაზე. ყველამ იცის, რომ მოსახლეობის 80%-ზე მეტი ქვეყანაში მართლმადიდებელია და ასეთი კანონის მიღება არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს. ნებისმიერ რელიგიურ მიმდინარეობას საქართველოში შეეძლო, დარეგისტრირებულიყო კერძო სამართლის იურიდიულ პირად და ეწარმოებინა საქმიანობა, თუ, რა თქმა უნდა, ის ხელს არ უშლის და არ ვნებს სახელმწიფო ინტერესებსა და უშიშროებას, მაგრამ იმის კანონში ჩაწერა, რომ ევროსაბჭოში, რომელშიც 48 ქვეყანაა გაერთიანებული, თუ ევროსაბჭოს რომელიმე სახელმწიფოში დარეგისტრირებულია რომელიმე სარწმუნოება ან რელიგიური მიმდინარეობა, ეს აძლევს საშუალებას ამ რელიგიურ სარწმუნოებას, საქართველოშიც დარეგისტრირდეს, ეს აბსოლუტურად გაუგებარია და ქვეყნის ინტერესებისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

***— რას გულისხმობთ, რასთან გვაქვს საქმე?***

— ევროსაბჭოს სახელმწიფოებში უამრავი რელიგიური მიმდინარეობაა. საუბარია არატრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობაზე. აქ საუბარი კი არ არის ტრადიციულ რელიგიებზე, არამედ აქ საუბარია ისეთ რელიგიაზე, რომელიც შესაძლოა ევროსაბჭოს იმ ერთი ქვეყნის გარდა არც არსად არსებობდეს, ძირითადად სექტებია და რომელსაც ძირითადად ბრძოლას უცხადებენ. რომის პაპმა ბოლო პერიოდში გააკეთა კიდეც განცხადება, რომ სექტების დარეგისტრირება იმ დონეზე და ისეთი უფლებების მინიჭება, როგორიც ეს ტრადიციულ რელიგიებს აქვთ, ყოვლად მიუღებელია. ვინც ამ საკითხში კარგად ერკვევა, იცის, რა მოვლენასთან შეიძლება გვქონდეს საქმე. ამაზე პრეტენზიას რომ აცხადებდეს ისეთი სახელმწიფო, რომელიც ევროკონვეციებს ითვალისწინებს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში და მხოლოდ ევროკონვეციებით ხელმძღვანელობდეს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში, კიდევ არ გაგიკვირდებოდა კაცს ამის მიღება და იტყოდი, ევროკონვეციებზე აქვთ აწყობილი მთელი თავიანთი კანონმდებლობაო. თქვენ გახსოვთ, პარლამენტის წინ რომ გამოვაცხადეთ ადვოკატებმა შიმშილობა, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო საქართველოს კანონმდებლობის ევროკონვენციების შესაბამისობაში მოყვანა, რაზეც გვიპასუხეს, რომ ეს ყოვლად წარმოუდგენელია. თქვენ არაერთი განცხადება გახსოვთ, იგივე ვანო მერაბიშვილის განცხადება, როდესაც მან რუსეთის ტელევიზიას მისცა ინტერვიუ, სადაც მან განაცხადა, რომ კი, ჩვენ ევროპა ბევრ რეკომენდაციას გვაძლევს, მაგრამ ყველაფერს ვერ გავიზიარებთ, ევროპას თავისი საქმე აქვს, ჩვენ — ჩვენიო. იგივე გირგვლიანის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, როდესაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ სტრასბურგის გადაწყვეტილება მონათლა, როგორც რეკომენდაცია და არა სავალდებულო გადაწყვეტილება. როდესაც მათ ეს აწყობთ, შესანიშნავად უვლიან გვერდს და ეს ყოველდღიურად აისახება თუნდაც სასამართლოს საქმიანობაში. ხელისუფლება ამ დარღვევებს არად დაგიდევს და არც იკლავს თავს ამის გამოსწორებით, რომ ჩვენი ცხოვრება ცივილიზებული და ადამიანური გახდეს და უცებ თავი გაიგიჟა, ყველანაირი ჩარჩოდან ამოხტა და, მიუხედავად ერის სულიერი მამისა და დედაეკლესიის თხოვნისა, რამდენიმე დღე შეეჩერებინათ ეს კანონი და ხელი არ მოეწერა პრეზიდენტს მასზე, მომხდარიყო მისი განხილვა. ეკლესია რას ითხოვდა განსაკუთრებულს, დავსხდეთ, განვიხილოთ და ვიმსჯელოთ ამასთან დაკავშირებითო. თუმცა, მოხდა ამის იგნორირება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სახელმწიფო შეურაცხყოფას აყენებს ჩვენს დედაეკლესიას. ჩვენი სახელმწიფო აბუჩად იგდებს ჩვენს ღირებულებებს.

***— სააკაშვილი მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციას ცდილობსო.***

— ეს ასეა. მეუფე იობმა თავის დროზე თქვა, რომ ქვეყანაში არის სულიერი ექსპანსია. ამ მოვლენას ნუ აღმოვაჩენთ უცებ, რომ, აი, რაღაც მოხდა ერთი კვირის წინ და რაღაც ახალი გავიგეთ ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის მიმართ დამოკიდებულებაში. ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების უმრავლესობა ან ათეისტია, ან რაღაცა ისეთი რელიგიის მიმდევარი, რომელიც ახლოსაც არ არის მართლმადიდებლობასა და შემწყნარებლობასთან. გავიხსენოთ ვარდების რევოლუციის შემდეგი პერიოდი — შეიქმნა ჯგუფები, რომლებსაც დაევალათ, მოეპოვებინათ ეკლესიის დისკრედიტაციისათვის მასალები, მოეძებნათ ისეთი მამაოები, რომლებიც განაწყენებული იყვნენ საპატრიარქოზე და ასე შემდეგ. შემდეგ ამას მივუმატოთ ის, რომ სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის რამდენიმე ახალგაზრდა წევრი დაპატიმრებულ იქნა ვითომდა ჟურნალისტური საქმიანობის ხელის შეშლისათვის, სინამდვილეში კი არანაირ ხელის შეშლას არ ჰქონდა ადგილი. მე თავიდანვე ვამბობდი, რომ რელიგიური პატიმრები არიან ეს ადამიანები. ეს ყველაფერი ნელ-ნელა გორდებოდა, კულუარებში ათასგვარი ჭორ-მართალი გროვდებოდა. ეს გუშინ დაწყებული მოვლენა არ გახლავთ. ეს ყველაფერი მზადდებოდა და კეთდებოდა იმისთვის, რომ ქართული ეკლესიის როლი დაკნინებულიყო და შემდეგ ხელისუფლებას შეძლებოდა ამ თავისი ანტიქრისტიანული და ანტიღვთიური კანონის მიღება. ეს არავითარ შემთხვევაში არ არის ღვთისმოსაობასთან დაკავშირებული კანონი და რწმენის თავისუფლებასთან. დამისახელეთ ერთი რელიგიაც კი მაინც, რომელიც საქართველოში იდევნება და მის მიმართ ხდება რაიმე ზემოქმედება. იყო რამდენიმე შემთხვევა იეღოველებთან დაკავშირებით და ასეთი შემთხვევები არ ხდება მხოლოდ საქართველოში. მთელ მსოფლიოში ასე ხდება იეღოველებთან დაკავშირებით, რადგან, განსხვავებით სხვა სარწმუნოებისაგან, რომლებიც ძირითადად ეკლესიებში ქადაგებენ, ესენი კი დადიან და თავს გახვევენ ძალით საკუთარ მოსაზრებებს, რაც ადამიანებში გაღიზიანებას იწვევს და გადადის ადამიანურ კონფლიქტში. მთელ მსოფლიოში ასე ხდება, მხოლოდ ჩვენთან — არა. სახალხო დამცველი რომ ამბობს, იეღოველების უფლებები ირღვევაო, ახლა მე დავუჯდები მთელი დღე მაგ სახალხო დამცველს, დავუწყებ ჩემი იდეების შესახებ ლაპარაკს, ვეტყვი, რომ შენ სააკაშვილის კაცი ხარ და მართლაც ასეა, დავუწყებ მტკიცებას, რომ ასე კი არა, ასე უნდა აკეთებდე და, თუ არ მოვაბეზრებ თავს და თუ არ გამომაგდებს კაბინეტიდან, ნახავთ, შეიძლება, ხელიც მომიქნიოს. ეს ჩვეულებრივი ადამიანური კონფლიქტია და არ არის დაკავშირებული რელიგიურ საკითხებთან. რომ აცხადებენ, არანაირი განსხვავება საჯარო სამართლის პირსა და კერძო სამართლის პირს შორის არ არისო, როგორ არ არის, ჩემო კარგო, მაშინ ამის დეფინიცია არც მოხდებოდა იურისტების მიერ და არ იქნებოდა გამიჯვნა, როგორც კერძო და საჯაროსი. რა თქმა უნდა, განსხვავება არის და თანაც — უზარმაზარი. როდესაც საჯარო სამართლის პირი ხდება რაღაც სუბიექტი, მას უკვე უფლება აქვს, სახელმწიფოსგან მოითხოვოს შენობა-ნაგებობა, მას უფლება აქვს, მოითხოვოს დაფინანსება და უფრო მეტიც, მოითხოვოს ქვეყნის მართვა-გამგეობაში თავიანთი შეხედულებების გათვალისწინება და ასე შემდეგ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ავიღოთ სომხეთის მაგალითი, როდესაც სომხეთის ეკლესია, რადგან არ იყო აქ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, პრეტენზიებს აცხადებდა დაახლოებით ექვსასამდე ეკლესიაზე და ამბობდა, ჩემი აშენებულიაო, თუმცა, ამის მტკიცებულება არ არსებობს, მაგრამ მაინც აცხადებდა ამას. ახლა აღარ სჭირდება დიდი ბრძოლა და ომი. მას შეუძლია, მივიდეს პირდაპირ საჯარო რეესტრში, წარადგინოს დოკუმენტები, რომ ეს ეკლესია არის მისი და დაახლოებით ექვსასამდე ეკლესია, თუ მეტი არა, გადავა სომხეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში.



***— რა პროცესები შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს?***

— ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ ეს მკითხაობაა და ასე არ მოხდებაო. ეს კი არა, აფხაზეთი და სამაჩაბლო დავკარგეთ და ცამ და ქვეყანამ იცის სომხეთის პოზიცია სამცხე-ჯავახეთთან დაკავშირებით. ცალკე სვეტიცხოველსა და ჯვრის მონასტერზე აკეთებენ განცხადებებს, ჩვენიაო. სხვის ტერიტორიაზე ხომ არ ააშენებდი ამ ეკლესიებს. გამოდის, შენს ტერიტორიაზე აშენებდი და მაშინ ამ ეკლესიების წაღებას შემდეგ მოჰყვება ტერიტორიული პრეტენზიები, ტერიტორიულ პრეტენზიებს მოჰყვება შეხლა-შემოხლა, უბედურება.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაიძაბება?***

— დაიძაბება კი არა, ამას შეიძლება მოჰყვეს ომი და უბედურება, სისხლისღვრა. სომხეთის უკან დგას რუსეთი. ღმერთმა ნუ ქნას, აქ ტყვია გავარდეს, იმ წუთში რუსეთი ჩაერევა ამ ყველაფერში. აქედან აზერბაიჯანი გახსნის მეორე ფრონტს სომხეთის წინააღმდეგ და მიღებული გვაქვს კავკასიური ომი. რისი გულისთვის? ამ რაღაცა უაზრო კანონისთვის, რომელიც, თუ ასე გარედან შევხედავთ, არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ და ამას გავიმეორებ სულ, სააკაშვილი არის რუსეთის ინტერესების გამტარებელი კაცი ამ სახელმწიფოში. მან მიიღო დავალება რუსეთისგან, რომ ეს უნდა გაეკეთებინა. უნდა გაეკეთებინა იმიტომ, რომ წარმოშობილიყო კონფლიქტის ახალი კერა. ეს ვინც დაგეგმა, რა თქმა უნდა, მან კარგად იცოდა, რომ ამას მოჰყვებოდა დიდი აჟიოტაჟი და ვნებათაღელვა და, ღმერთმა ნუ ქნას, ეს გადაიზარდოს შეხლა-შემოხლაში, თორემ ფეესბეს გეგმა სამცხე-ჯავახეთთან დაკავშირებით, ანუ საქართველოს დაქუცმაცების გეგმა და წინაპირობა შეუქმნა საქართველოს პარლამენტმა, ეგ არის და ეგ.

***— ბატონო შალვა, როგორც ადვოკატი, რას ფიქრობთ სამი ფოტორეპორტიორის დაკავებასთან დაკავშირებით, რომლებსაც ჯაშუშობა ბრალდებათ?***

— ხედავთ, რა სიტუაციაა, საშინელი მდგომარეობაა, ხალხო. ამას ადვოკატები ვამბობთ წლების განმავლობაში და კაციშვილი ყურადღებას არ ამახვილებს ამაზე, არც ევროკავშირი და არც მსოფლიო. ნებისმიერი ადამიანი შეუძლიათ დააკავონ, დააპატიმრონ ნებისმიერი ბრალდებით, რაღაც სულელური ჩანაწერებით, ჩადებული იარაღებით, ნარკოტიკებით და ასე შემდეგ. მერე მიდის იქ ზეწოლა, რომ უნდა აღიარო. თუ არა აღიარებ, უარესი მოგივა და დაკავებულებიც იძულებულები არიან, აღიარონ. ასეთი ერთ-ერთი აღიარებითი ჩვენება მოვისმინეთ ფოტორეპორტიორის მიერ. თუმცა, რა აღიარა იმ კაცმა, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე.

***— როგორც ამბობენ, ნაცემიც ყოფილა.***

— იქნებოდა, ამას რად უნდა ბევრი მტკიცება, უარესიც შეიძლება დამართოდა და აღიარებინეს ამ კაცს რაღაც სისულელე, სურათები გადავიღე, გადავაგზავნე ბიუროში და ამისთვის მივიღე თანხაო. თანხას მიიღებდა ამისთვის, აბა, ტყუილად ხომ არ იმუშავებდა ეს კაცი. ოჯახს არჩენს ამ ფოტორეპორტიორობით და აბა, რა უნდა ექნა, შესრულებული სამუშაოსთვის თანხა არ უნდა აეღო? შემდეგ ამ ყველაფერს დაადეს გრიფით საიდუმლო. რა გრიფით საიდუმლო ეს არის. კანონით განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში ხდება გრიფით საიდუმლოს დადება. საქართველოში სულ რამდენიმე საქმეს შეიძლება ედოს გრიფით საიდუმლო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ამასთან დაკავშირებით, მაპატიეთ და მათთან არ მუშაობდნენ? არსებობს სპეციალური სამსახური, რომელიც, როგორც ვიცი, აკონტროლებს, ვინ რა გადაიღო, ვინ რა არ გადაიღო და ასე შემდეგ. უფრო მეტიც, ფოტოაპარატები მოწმდება, რადგან არსებობს საკმაოდ ძლიერი ტექნიკა, როდესაც ფოტოაპარატით შეიძლება ნებისმიერი პირის ლიკვიდაცია, ანუ ფოტოაპარატში მონტაჟდება სხვადასხვა რამ, რამაც შესაძლოა ადამიანის ლიკვიდაცია გამოიწვიოს. ნურავის სჯერა ახლა, რომ პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფების აპარატები არ გადიოდა შემოწმებას. მე ვსაუბრობ აპარატზე და აღარაფერს ვამბობ იმ სურათებზე, რომლებსაც ისინი იღებდნენ. ასე არ არის, რომ ამ ფოტოგრაფმა გადაიღო რაღაცა სურათი და სადღაც გააგზავნა.

***— ამბობენ, რომ ისინი 26 მაისის ამსახველ ფოტოკადრებს შეეწირნენ.***

— ჩვენ რასაც ვუსმენთ ამ ეტაპზე, რა ინფორმაციაც გამოდის, ეს ზუსტად მაგაზე მიუთითებს, რომ 26 მაისის სურათების გაშვებას მოჰყვა ყველაფერი. როგორც ჩანს, მათ იმ დარბევაში მონაწილე პოლიციის თანამშრომლებმა ხელი არ მოჰკიდეს, არ შეუშალეს მუშაობაში ხელი, როგორც პრეზიდენტის პირად ფოტოგრაფს და მას თავისუფლად შეეძლო, გადაეღო ის კადრები, რომლებსაც ვერ იღებდნენ სხვა ჟურნალისტები. იცით, რომ დანარჩენებს ფოტოაპარატებიც წაართვეს, ვიდეოკამერებიც, მაგრადაც სცემეს. ამ ადამიანებს, როგორც ჩანს, არ შეეხნენ და მათ შეძლეს ამ კადრების გადაღება, რომლებიც შემდეგ გადააგზავნეს. რა შუაში არიან ეს ადამიანები? მათი მოვალეობა იყო, გადაეღოთ ის, რასაც ხედავდნენ. მაშინ ნურც მათ მისცემდნენ გადაღების საშუალებას. აქ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. 26 მაისამდე სააკაშვილის ხელისუფლობანა მაინც დემოკრატობანას თამაშობდა და ცდილობდა, ეს იმიჯი შეენარჩუნებინა, ახლა კი ნიღაბი ჩამოიხსნეს და პირდაპირ ახორციელებენ ტირანიას. საქართველოში ახლა 37-იანი წლებია.

***— სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი და რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ?***

— თუ ქართველი ერი არ გამოფხიზლდა, არ დადგა ერთად და არ დაიწყო ბრძოლა ამის წინააღმდეგ, ეს გადაიზრდება უკვე ღია დიქტატურაში. დემოკრატიასთან რომ არ მიგვიყვანს და ქვეყნის აღმშენებლობასთან, ყველამ იცის. ეს ყველაფერი აგებულია ერთი ადამიანის ირგვლივ. მეტსაც გეტყვით — სააკაშვილი რომ წავიდეს მაგ თანამდებობიდან, ეგ სისტემა დაშლილია. ფაქტობრივად, სისტემაც არ არსებობს, ერთი ადამიანის ირგვლივ ტრიალებს ეს ყველაფერი. ამიტომ, სანამ ეს ადამიანი იქნება ხელისუფლებაში, მანამ იქნება ეს ვითარება. მივალთ იქამდე, რომ ქვეყანა საშინელ უფსკრულში გადაიჩეხება. სააკაშვილი ახორციელებს უცხო ქვეყნის გეგმას და გეგმა ნათელია. თუ უნდა, ამ გეგმას წაჰყვეს ქართველი ერი, კი ბატონო, მივდივართ ამ გზაზე, თუ არ უნდათ, მაშინ ცოტა უნდა გამოფხიზლდნენ.

## დაკავებულ ფოტორეპორტიორებს თანადგომას უკრაინელი კოლეგებიც უცხადებენ

უკრაინული საზოგადოებრივი მოძრაობა „სტოპ ცენზურა“ ქართველი ფოტოჟურნალისტების ჯაშუშობის ბრალდების გამო შეშფოთებას გამოთქვამს.

აღნიშნულ ინფორმაციას უკრაინული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ, რომლის თანახმად, უკრაინელი ჟურნალისტური საზოგადოება დაკავებულ ქართველ ფოტორეპორტიორებს იცნობს, როგორც უმაღლესი კლასის პროფესიონალებს, რომლებსაც არაერთხელ გაურისკავთ საკუთარი სიცოცხლე, რათა საზოგადოება განსაკუთრებით ინფორმირებული ყოფილიყო ქართულ-რუსული ომის დროს.

— ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ აღნიშნული სერიოზული ბრალდებები და ფოტორეპორტიორების ჯგუფის დაკავება არ უნდა ხდებოდეს საზოგადოებისთვის სერიოზული მტკიცებულებების გარეშე, — აღნიშნულია განცხადებაში.

განცხადების ავტორები ასევე ამბობენ, რომ ცხოვრობენ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება და სასამართლო სისტემა სულ უფრო ხშირად იყენებს ბრძოლის საკუთარ უფლებამოსილებებს, მათ შორის მედიასთან მიმართებაში, რაც საშიში ტენდენციაა. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ სასამართლო პროცესი უნდა იყოს ღია, ხოლო დაკავებულებს პატიმრობა შინაპატიმრობით ან გაუსვლელობის ხელწერილით შეეცვალოთ.

ასევე, მოძრაობა „სტოპ ცენზურა“ მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, აჩვენოს მეზობელ სახელმწიფოებს კარგი მაგალითი და დემოკრატიის განვითარების გამოცხადებული კურსის ერთგული დარჩეს, რაც სამართლიანი სასამართლოს და თავისუფალი მედიის გარეშე შეუძლებელია.

**ინტერპრესნიუსი**

თეა მარხვაი ე

# არძინბას ცოლი ვიცეპრეზიდენტობას უმიზნებს

**26 აგვისტოს აფხაზები საპრეზიდენტო არჩევნებს ატარებენ. ამ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვა სამმა კანდიდატმა. ახლო მომავალში ალბათ სხვებიც წამოაყენებენ თავიანთ კანდიდატურებს. თუმცა, უკვე ცხადია, რომ მთავარი ბრძოლა მათ შორის გაიმართება.**

**არჩევნებში მონაწილეობის სურვილი პირველმა გამოთქვა აფხაზური ოპოზიციის ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ, რომელიც წინა ორ საპრეზიდენტო არჩევნებში უკვე მონაწილეობდა. ორივეჯერ დამარცხდა. ეს მისი მესამე ცდა იქნება.**

**მის შემდეგ ცესკოს ალექსანდრ ანქვაბმა მიმართა. ეს უკანასკნელი აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ. ბაღაფშის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის მეთაურის ფუნქცია დაეკისრა. არჩევნებში მონაწილეობა მან 2004 წელს სცადა, მაგრამ მაშინ ის აფხაზური ენის სათანადო არცოდნის გამო რეგისტრაციაში არ გაატარეს.**

**მესამემ ცესკოს მოქმედმა პრემიერმა სერგეი შამბამ მიაკითხა. იყო ვარაუდი, რომ ის და ანქვაბი ალიანსს შექმნიდნენ. თუმცა, პროგნოზი არ გამართლდა.**



## რა კოზირები აქვთ შამბას, ხაჯიმბას და ანქვაბს

### ხაჯიმბა არძინბას ცოლის იმედად არის

ჩვენი საზოგადოებისთვის ალბათ საინტერესოა, რითი მიდიან ძირითადი კანდიდატები არჩევნებზე. ამ საკითხით ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელი ირაკლი ცქიტიშვილიც დაინტერესდა.

— პირველი, რაც გახდა ცნობილი, ესაა ოპოზიციონერ რაულ ხაჯიმბას არჩევანი, მეორე ნომრად წაიყვანოს სვეტლანა ჯერგენია, აწ უკვე გარდაცვლილი, გასული საუკუნის 90-იანი წლების აფხაზური სეპარატიზმის ძირითადი მამოძრავებელი ძალის, ვლადისლავ არძინბას მეუღლე. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ხაჯიმბას კონკურენტების ბანაკში გარკვეული დაძაბულობა გამოიწვია. ალბათ, უფრო სწორი სიტყვა „უხერხულობა“ იქნებოდა. სვეტლანა ჯერგენია აქამდე არასოდეს გამოჩენილა პოლიტიკურ არენაზე, არ მიუღია მონაწილეობა რაიმე პოლიტიკურ პროცესებში. მას, როგორც პოლიტიკოსს, აფხაზეთში არ იცნობენ. ის ხელმძღვანელობდა „აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის ფონდს“, რომელიც რაიმე დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ... აფხაზურ საზოგადოებაში დღემდე ძალიან დიდია ვლადისლავ არძინბას ხსოვნისადმი პატივისცემა, — ამბობს ირაკლი ცქიტიშვილი.

მისი თქმით, სწორედ ამაზე იყო აგებული ხაჯიმბას გადაწყვეტილება. სავარაუდოდ, გათვლა გაკეთდა იმ მეომრებზე, რომლებიც არძინბას სახელს დღემდე ადიდებენ, მაგრამ მოიაზრებიან მისი კონკურენტების ბანაკში.

— არის მეორე მომენტიც და ის აფხაზეთში კლანობრივ მმართველობას უკავშირდება. ოკუპირებულ რეგიონში ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ ჯერგენიასა და არძინბას კლანები, მიუხედავად იმისა, რომ აწ უკვე განსვენებულმა სერგეი ბაღაფშმა მათ გარკვეულწილად ფრთები შემოაჭრა, — ამბობს ცქიტიშვილი.

მისი თქმით, რაულ ხაჯიმბას აფხაზეთში საკმაოდ სტაბილური ამომრჩეველი ჰყავს. როგორც თვით აფხაზები აცხადებენ, ხმების დაახლოებით 20-25% მას ყოველთვის გარანტირებული აქვს. ხაჯიმბას მხარს უჭერენ გაერთიანებები „ახაცა“ და „არუაა“ (აფხაზ ვეტერანთა გაერთიანება) და, რა თქმა უნდა, პოლიტიკური გაერთიანება „აფხაზეთის ნაციონალური ერთობის ფორუმი“, რომელსაც ის ხელმძღვანელობს.

— ხაჯიმბას უკვე გააჩნია არჩევნებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება. 2004 წლის არჩევნებში მას მხარს აშკარად უჭერდა რუსეთი და მაშინდელი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. მაგრამ აფხაზეთის მოსახლეობამ სულ სხვაგვარად გადაწყვიტა. მათ ბაღაფში აირჩიეს, რასაც რუსეთის მხრიდან უდიდესი ზეწოლა მოჰყვა. აფხაზეთს დაუწესდა სრული ემბარგო, ხაჯიმბას მომხრეებმა იარაღის ჟღარუნი დაიწყეს, ადგილი ჰქონდა ცენტრალურ ტელევიზიაში შევარდნასაც კი. საკითხი უხუცესთა დონეზეც გაარჩიეს. საბოლოო ჯამში (ისევ რუსეთის ჩარევით), გადაწყდა — გამარჯვებულად გამოცხადდა ბაღაფში, რომელმაც „ვიცე-პრეზიდენტის“ სავარძელი ხაჯიმბას შესთავაზა (თუმცა, ეს შენიღბულ იქნა, როგორც არჩევნების მეორე ტური „ვიცე-პრეზიდენტის“ თანამდებობის დასაკავებლად, სადაც ხაჯიმბას მეტოქე ალექსანდრე ანქვაბი იყო). მეორე როლზე ყოფნა ამ უკანასკნელისთვის საკმაოდ არასასიამოვნო პროცესი აღმოჩნდა, რის გამოც გარკვეული პერიოდის შემდეგ ხაჯიმბა, ვერ შეეწყო რა თავის კონკურენტს, გადადგა. მას შემდეგ ის ოპოზიციაშია და საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებდა ბაღაფშის ხელისუფლებას ყველა გადაცდომაზე, — მიაჩნია ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელს.

### რისი იმედი აქვს ანქვაბს

აფხაზეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ალექსანდრე ანქვაბი, აფხაზებში დიდი პატივისცემით სარგებლობს. ბაღაფშის ორჯერ გაპრეზიდენტება მისი დამსახურება გახლდათ.

მას კარგად იცნობენ თბილისშიც. 1984 წელს ანქვაბს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა და ხელმძღვანელობდა სამინისტროს პოლიტიკურ აპარატს. მანამდეც, 1981-1983 წლებში, მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

— ანქვაბთან არის დაკავშირებული 1992 წლის მაისში აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში მომხდარი სკანდალი. მაშინ აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა. ამ დროისთვის ეს თანამდებობა გივი ლომინაძეს ეკავა, რომელმაც აღნიშნულ დანიშვნას წინააღმდეგობა გაუწია იმ მოტივით, რომ ის არ იყო შეთანხმებული თბილისთან. ამის შემდეგ აფხაზური უკანონო შენაერთი, რომელიც შექმნა არძინბამ და აფხაზების სეპარატისტული ზრახვების დამფინანსებელთა მიერ იქნა შეიარაღებული, შეიჭრა სამინისტროში და გამოაძევა იქიდან ლომინაძე, რის შემდეგაც ანქვაბი შეუდგა მოვალეობების შესრულებას, — ამბობს ცქიტიშვილი.

მართალია, ანქვაბს მაღალი ავტორიტეტი აქვს, მაგრამ, როგორც ცქიტიშვილი ამბობს, აფხაზეთში მის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს.

— 1992-1993 წლების ომის დროს ანქვაბს ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა და ქართულ მხარესთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს ტყვეთა და დაღუპულთა ცხედრების გაცვლის თაობაზე. 1993 წლის ბოლოს ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მიზეზად იქნა დასახელებული ის, რომ მან ვერ შეასრულა ხელმძღვანელობის დავალება და ვერ გადაარჩინა დახვრეტას აფხაზეთის ქართული მთავრობის ხელმძღვანელები, რომელთა შორის იყვნენ ჟიული შარტავა და სოხუმის მერი გურამ გაბისკირია. თვითონ ანქვაბი აცხადებდა, ნახევარი საათით რომ არ დამგვიანებოდა, მათ დახვრეტას ვერ მოასწრებდნენო. შემდგომში გარკვეული აფხაზური წრეები ანქვაბს ბრალად სდებდნენ „კაპიტულანტურ“ დამოკიდებულებასა და ოფიციალური ქართული სამხედრო შენაერთებისათვის შესაბამისი წინააღმდეგობის არგაწევას. მას აბრალებდნენ ქართული საჯარისო ფორმირებების მოძრაობის გზაზე ხიდების აფეთქების ოპერაციის ჩავარდნას, რაც იმასაც ადასტურებს, რომ არძინბას ხელისუფლება წინასწარ ემზადებოდა საომარი მოქმედებებისათვის, — ამბობს ირაკლი ცქიტიშვილი.

ანქვაბსაც, როგორც ხაჯიმბას, გააჩნია აფხაზურ არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილება. 2004 წლის არჩევნებში საარჩევნო კომისიამ არ დართო მას ნება, მიეღო მონაწილეობა არჩევნებში, ვინაიდან არ აკმაყოფილებდა კანდიდატისადმი წაყენებულ მოთხოვნას, რომლის შესაბამისად, მას ბოლო 5 წელი უნდა ეცხოვრა აფხაზეთში. მან აგრეთვე უარი განაცხადა, ჩაებარებინა ტესტი აფხაზური ენის ცოდნაზე.

ცქიტიშვილის თქმით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1994-2000 წლებში ანქვაბი მოსკოვში მოღვაწეობდა.

— ამიტომაც ანქვაბი არჩევნებში ბაღაფშთან წყვილში წავიდა, როგორც კანდიდატი „ვიცე-პრეზიდენტის“ თანამდებობაზე. ვინაიდან საბოლოოდ „ვიცე-პრეზიდენტის“ თანამდებობის დათმობა დიდი პოლიტიკური გარჩევების შემდეგ ბაღაფშს თავისი კონკურენტი ხაჯიმბასთვის მოუწია, ანქვაბი „პრემიერ-მინისტრის“ პოსტს დასჯერდა. მოგვიანებით ანქვაბი „ვიცე-პრეზიდენტად“ დაინიშნა, როგორც ეს თავიდანვე იყო გათვლილი. ალექსანდრე ანქვაბი არის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელი. მას იცნობენ, როგორც ხისტ, მაგრამ სამართლიან ადამიანს. ითვლება კორუფციის დაუძინებელ მტრად, არის „ძლიერი ხელის“ მომხრე. თავის გამონათქვამებში არის ძალიან თავშეკავებული, რის გამოც გაურბის მედიასთან ურთიერთობას. ანქვაბზე 5-ჯერ განხორციელდა ტერაქტი. კულუარული ინფორმაციით, ტერაქტების მიზეზები მასსა და აფხაზეთის მუსლიმანურ თემს შორის დაძაბული ურთიერთობებით იყო განპირობებული. მას 2004 წლის არჩევნებზე მხარს უჭერდა გაერთიანება „აიტაირა“, რამაც ბაღაფშის ხელისუფლებაში მოსვლას გარკვეულწილად შეუწყო ხელი. ჯერჯერობით არ დაუფიქსირებია თავისი პოზიცია კანდიდატების მიმართ კიდევ ერთ ვეტერანთა ორგანიზაციას, „ამცახარას“ (რომელიც ბაღაფშისტურ დაჯგუფებად მოიაზრებოდა) და რთულია იმის თქმა, უნდა ჰქონდეს თუ არა ანქვაბს მათი იმედი, მით უმეტეს, რომ დღევანდელი „ამცახარა“ აღარ წარმოადგენს ისეთ ძალას, როგორიც ის იყო ჯერ კიდევ 2004 წელს, — აღნიშნავს ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელი.

### შამბა — სეპარატიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი

ქართველი ექსპერტის თქმით, სერგეი შამბას ძალიან საინტერესო ბიოგრაფია აქვს.

— შამბა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან არის აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის სათავეში, ხელმძღვანელობდა რა სეპარატიზმის მთავარ იდეოლოგიურ მოძრაობას, „აიდგილარას“. 1992-93 წლებში მას ეკავა თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობა არძინბას უკანონო ხელისუფლებაში. იქვე დაიმსახურა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება, თუმცა, 1993 წელს თადარიგში გავიდა. 1997 წელს შამბა მარიონეტული რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა და ეკავა ეს თანამდებობა 2004 წლამდე, სანამ არ გადაწყვიტა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა. იმ არჩევნებში შამბა, რომელსაც პარტია „ედინაია აბხაზია“ უჭერდა მხარს (და ახლაც უჭერს), მესამე ადგილზე გავიდა. ამის შემდეგ, ჯერ კიდევ პრეზიდენტად მყოფმა არძინბამ ის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის თანამდებობაზე დააბრუნა. 2010 წელს ბაღაფშმა ის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშნა, შეცვალა რა ალექსანდრე ანქვაბი, რომელიც ბაღაფშმა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობამდე დააწინაურა, — ამბობს ექსპერტი.

ცქიტიშვილი იხსენებს, რომ სერგეი შამბა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა ქართულ-აფხაზურ დიალოგში, არის თითქმის ყველა შეხვედრის მონაწილე. შამბას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ აფხაზეთმა უნდა მიაღწიოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსს და შევიდეს რუსეთის შემადგენლობაში ასოცირებული წევრის სახით.

### რატომ იწყება საარჩევნო კამპანია გალის რაიონიდან

სერგეი შამბამ და ანქვაბმა უკვე დაიწყეს თავიანთი საარჩევნო კამპანია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთმაც და მეორემაც ეს კამპანია გალის რაიონიდან დაიწყეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ არჩევნებში მათი ხმა გადამწყვეტი აღარ იქნება.

— ამ არჩევნებში გალის ქართველ მოსახლეობას აღარ ექნება გადამწყვეტი ხმა ისე, როგორც ეს 2004 წელს მოხდა. აფხაზების დიდმა ნაწილმა გაილაშქრა სწორედ იმ მოვლენის წინააღმდეგ, რომ ქართველებს, მიუხედავად მათ წინააღმდეგ ჩატარებული ეთნიკური წმენდისა, ეთქმოდათ სიტყვა და თანაც — გადამწყვეტი. ამის გამო მარიონეტულმა რეჟიმმა მიიღო გადაწყვეტილება, არ მისცენ უფლება, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში გალის რაიონის იმ მცხოვრებლებმა, რომელთაც ე.წ. აფხაზური პასპორტი არ გააჩნიათ. ოფიციალური ინფორმაციით კი ასეთი დოკუმენტის მფლობელი სულ 9 ათასამდე ადამიანია. შესაბამისად, დანარჩენი 20 ათასი ქართველი (ბოლო აღწერის თანახმად, გალის რაიონის მოსახლეობა 30 ათასს არ აღემატება), რომელიც დღესდღეობით კიდევ ცხოვრობს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სხვა უფლებებთან ერთად ხმის უფლების გარეშეცაა დარჩენილი, — მიიჩნევს ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელი.

ქართველი ექსპერტი რუსულ ფაქტორზეც საუბრობს. აფხაზეთში ხომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ეს რუსეთს სურს. თუმცა, როგორც რუსი ექსპერტები ვარაუდობენ, ამ არჩევნებში კრემლი აქტიურად აღარ ჩაერევა. ამ ვერსიას ეთანხმება ირაკლი ცქიტიშვილიც.

რუსეთის ჩარევის საჭიროება არც არსებობს. სამივე კანდიდატი საკუთარი თავის პოზიციონირებას ახდენს, როგორც რუსეთის ინტერესების დამცველი პოლიტიკოსი. ყოველ შემთხვევაში, სამივე მეტ-ნაკლებად ცდილობს, საკუთარი ერთგულება დაუმტკიცოს მას. სავარაუდოდ, ამჯერად რუსეთის მხრიდან ღია ჩარევას საარჩევნო პროცესში ადგილი არ ექნება. ყოველ შემთხვევაში, არჩევნების პირველ რაუნდში მაინც. თუმცა, რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილი არ იჯდება და თავის კანდიდატურას აუცილებლად წაეხმარება, — ამბობს ცქიტიშვილი.

ამ ეტაპზე, ქართველი ექსპერტის თქმით, ბევრი რამ ისევ გაურკვეველია. კანდიდატებიც გაურკვევლობაში არიან.

**ირაკლი ცქიტიშვილი:**

— მიმდინარეობს ძალთა და მომხრეთა გადანაწილების პროცესი. კანდიდატები უკვე აკეთებენ ხმამაღალ განცხადებებს საკუთარ ხედვაზე. დღეისათვის შედარებით უფრო კომფორტულად სერგეი შამბა გამოიყურება. ის აქცენტები, რომლებსაც შამბა აკეთებს, უფრო მისაღებია მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, მაშინ, როცა ანქვაბი თავისი კარჩაკეტილობით ნაკლებად ჩანს არენაზე. თუმცა, შამბასაც ჰყავს სერიოზული მოწინააღმდეგეები. მას აკრიტიკებენ ბესარიონ აპლიას ხელმძღვანელობით მოქმედი უკანონო ეკლესიური დაჯგუფების მხარდაჭერის გამო, რომელიც, ამავე დროს, რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერით სარგებლობს. შამბამ ამასთან დაკავშირებით ღიად დააფიქსირა თავისი პოზიცია, მაშინ როდესაც ანქვაბს კრინტიც კი არ დაუძრავს. ჯერ კიდევ ანქვაბის ვიცე-პრეზიდენტად გადაყვანისა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე შამბას დანიშვნის დროს იყო საუბრები იმის შესახებ, რომ მომავალ არჩევნებში რუსეთი შეეცდებოდა, არ გაეყვანა ანქვაბის კანდიდატურა და ამ მხრივ რუსეთის შამბასადმი მხარდაჭერაზე კეთდებოდა აქცენტი. რუსეთის დამოკიდებულება ამ პოლიტიკოსებისადმი დღესაც ამ ფორმითაა შენარჩუნებული. სერგეი შამბას აბსოლუტურად პრორუსული პოზიცია ეჭვს არ იწვევს არც მისი განცხადებებიდან, არც მისი მოსკოვში ჯერ კიდევ ძველი დროიდან შემორჩენილი და ახალი კონტაქტებიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, აღნიშნულ კანდიდატთაგან ყველაზე მისაღები მოსკოვისთვის სწორედ ის არის, რადგანაც უფრო ადვილად კონტროლირებადია. რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით კი დღესდღეობით შამბაზე უფრო დამყოლი აფხაზი პოლიტიკოსი ძნელად თუ მოიძებნება. რაც შეეხება ხაჯიმბას, რომელსაც საკმაოდ დიდი მხარდაჭერა გააჩნდა 2004 წელს პირადად პუტინის მხრიდან, ის შამბას ფონზე შედარებით მკრთალად გამოიყურება. საუბარი იმაზე, რომ კრემლი გაიმეორებს 2004 წლის ამბებს, არ შეიძლება. უფრო მეტიც — ამ წლების განმავლობაში აფხაზეთში უკვე ჩამოყალიბდა პოლიტიკური ნომენკლატურა — უკანა პლანზე გადავიდა ის არძინბასეული იდეები, რომლებმაც სერიოზული როლი ითამაშა წლების წინ. თავისი ძალა დაკარგეს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიც არის „ედინაია აბხაზია“, „ამცახარა“, „აიტაირა“, სრულიად მოიშალა პარტიული და გუნდური სისტემა და აქცენტები პიროვნებების ირგვლივ დაჯგუფდა. ხაჯიმბას პოლიტიკა კი, რომელიც ცდილობს, 7 წლის წინანდელი ტრიუმფი გაიმეოროს, დროს ჩამორჩა. თუმცა, თავისი აქტიურობით დიდი შანსი აქვს, უფრო მეტი მხარდამჭერი მიიღოს, ვიდრე ანქვაბმა.

# საქართველოში ცუდი ამბები მოხდება

## ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრი აღარ არსებობს

**ქართველ ხალხს რამე თუ გამოიყვანდა ქუჩაში, უკვე წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა არა მარტო ჟურნალისტებს, არამედ ექსპერტებსაც, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას, როგორც იტყვიან, არ ასვენებს გამჩენი და ერთი ავადმყოფობის განკურნებას მეორით ცდილობს. 26 მაისიდან თვე-ნახევარიც არ იყო გასული, როცა ხელისუფლება სრულიად მოულოდნელად სომხეთის პატრიარქზე მეტად სომხეთის პატრიარქი აღმოჩნდა და სომხეთის ეკლესიას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, რომ იტყვიან, „პოსლეზე“ მისცა ახალი იურიდიული სტატუსი და თანაც ისე, რომ სომხეთის პატრიარქს არც კი უფიქრია, თუ ხელისუფლება გადამწყვეტ როლს ითამაშებდა ამ პროცესებში. ასე რომ, ვაი რა ცუდად მართლდება სააკაშვილის ცნობილი ფრაზა, სადაც, სხვათა შორის თქვა: „ვისაც არ უყვარს სომხები, მე იმისთვის სომეხი ვარ“.**

**როგორ განვითარდება მოვლენები, რამ აიძულა სინოდი, დათანხმებოდა ხელისუფლების გადაწყვეტილებას და, ყველაზე მთავარი, რატომ გადადგა ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი? ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ლიდერი სოსო მანჯავიძე ესაუბრება.**



ქეთი ხომერიკი

სოსო მანჯავიძე:

— ჯერ ერთი, იმიტომ გადადგა ასეთი ნაბიჯი, რომ ხელისუფლებას ჰქონდა შესასრულებელი გარკვეული შეკვეთა...

*— ვინ იყო შემკვეთი, ბატონო სოსო?*

— გარკვეული საერთაშორისო ძალები. მათგან იყო გარკვეული ზეწოლა ხელისუფლებაზე. ჩვენ ხომ დავინახეთ, რომ იყო გარეგინ II-ისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტები. ეს უბრალო დამთხვევა არ იყო.

*— ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ სომხური ლობი სერიოზულ გავლენას ახდენს საერთაშორისო სტრუქტურებზე...*

— ახლა კი, ნება მომეცით, ეჭვი შევიტანო ზოგიერთი ექსპერტის კომპეტენციაში. და საერთოდაც, გამეფებულია უპასუხისმგებლობა და ხშირ შემთხვევაში უპასუხისმგებლო განცხადებები კეთდება. ამ განცხადებებს ბევრი ისეთი ადამიანი აკეთებს, რომელმაც არც ისტორია იცის, ანუ ამ გადაწყვეტილების ისტორიული კონტექსტი, არც საერთაშორისო ვითარება და, შესაბამისად, ვერ ხვდება იმას, თუ რა საფრთხეებთან შეიძლება იყოს ეს დაკავშირებული. კიდევ ერთხელ ვიტყვი იმას, რომ ეს საფრთხეები არ უნდა აღვიქვათ პირდაპირ და ბრტყელი აზროვნებით. აქ მრავალი შრე არსებობს და, როდესაც გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს აღწევს რომელიმე ფრთა, სპეციალური ანალიტიკური სტრუქტურები ისეთ გათვლებს აწარმოებენ, რომლის შესახებაც არა აქვს წარმოდგენა ხშირად არათუ ექსპერტს, არამედ ამ საქმეში კარგად ინფორმირებულ ადამიანსაც კი. აქედან გამომდინარე, როდესაც პატრიარქი გამოვიდა და თქვა, რომ ეს კანონი არის საფრთხის შემცველი, ბუნებრივია, საზოგადოებას უნდა მოეკრიბა გონიერება და მიმხვდარიყო, რაზე ლაპარაკობდა პატრიარქი. სამწუხაროდ, პატრიარქის რჩევა არ იქნა გათვალისწინებული. ხელისუფლებამ პატრიარქს მოუწყო ობსტრუქცია, პირდაპირ შეურაცხმყოფელი იგნორირება მოახდინა მისი აზრის. პარალელურად ამოქმედდა ხელისუფლებასთან ასოცირებული ჯგუფების საინფორმაციო მანქანა, დაიწყო საინფორმაციო ომი იმ მიზნით, რომ გამოეყვანათ პატრიარქი და მართლმადიდებელი მრევლი შუა საუკუნოებრივი, ჩამორჩენილი ფსიქიკისა და მსოფლმხედველობის მქონე ადამიანებად და დემოკრატიის ხელის შემშლელებად, ხოლო ეს ჩვენი ე.წ. პარლამენტი ევროკავშირისა და ევროსტრუქტურების ინსტრუქციების მიხედვით მოქმედ და, ასე ვთქვათ, პროგრესისკენ მიმსწრაფ ძალად გამოეყვანათ. ეს არის სრული სისულელე, ეს ხელისუფლება არც ევროპისკენ არის მიმართული, არც მიმართულების რომელიმე სხვა ვექტორი გააჩნია. ეს არის, უბრალოდ, ბანდა, რომელიც ასრულებს ჩვენ მიერ მტრულად განწყობილი საერთაშორისო ძალების დაკვეთებს.

*— ანუ მათ დაუკვეთეს, რა მიზნით?*

— რა თქმა უნდა, მრავალი მიზნით. ჯერ თუ ავიღებთ სომხურ ფაქტორს, 100-მდე ტაძარია სადავო, ეს მე რაც ვიცი (რომ მისცე საშუალება, მთლიანად საქართველოზე აქვთ პრეტენზია ამ ჯგუფებს). საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ყოფნა, ანუ იურიდიული სტატუსის ამაღლება მათ საშუალებას აძლევს, ქონებრივი დავა გაუმართონ საქართველოს, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას და ამ ფონზე ეს არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გარკვეული პოლიტიკური მანიპულაციებისათვის.

*— რა მიიღო სააკაშვილმა ამ ნაბიჯის შედეგად, იძულებული იყო, ეს გაეკეთებინა, ფული აიღო თუ სხვა რამ?*

— ზოგს ჰგონია, რომ სომხური ლობი არის აბსტრაქტული რამ. ეს, რა თქმა უნდა, ადასტურებს იმას, რომ ამ ექსპერტებს, საერთოდ, რეალურ პოლიტიკასთან და რეალობასთან შეხება არა აქვთ. შევახსენებ მათ, რომ სომხური ლობი კონკრეტული ადამიანებისგან შედგება და მათ დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ.

*— ბატონმა სოსო ცინცაძემ ჩვენთან საუბრისას თქვა, რომ სომხური ლობი ხშირად ახდენს ერთგვარ კორექტივებას მიმდინარე პროცესებზე...*

— რა თქმა უნდა, ბატონი სოსო ცინცაძე კი გეუბნებათ, რომ ისინი ზემოქმედებას არ ახდენენ ჩვენს ხელისუფლებაზე, მაგრამ მე პირდაპირ ვეუბნები მას, ბატონო სოსო, ნუ შეგყავთ საზოგადოება შეცდომაში, ნუ ავრცელებთ დეზინფორმაციას. სომხურ ლობს, პირველ რიგში, მიუწვდება ხელი და ზემოქმედებას ახდენს საქართველოს ხელისუფლებაზე. ეს არის ორჯერ ორი ოთხი და, სხვათა შორის, ეს ბატონმა სოსომაც ძალიან კარგად იცის.

*— თქვენი აზრით, რატომ არ ამბობს?*

— ისიც იმავე ზემოქმედების ქვეშ იმყოფება — რომ ავიღოთ ლობირების ყველაზე ეფექტური საშუალება ისეთ ავტორიტარულ ქვეყნებში, როგორიც ჩვენია, გავრცელებული პრაქტიკაა ხელისუფლების მოქრთამვა.

*— ქრთამი გამოხატული ფინანსებით?*

— რა თქმა უნდა, სააკაშვილს დიდი მოქრთამვა არც სჭირდებოდა, ის ისედაც მუდმივად ამ ძალების გავლენის ქვეშ იმყოფება.

*— ანუ ფულიც აიღო და პატრიარქის დისკრედიტაციაც მოახდინა?*

— რა თქმა უნდა, მაგრამ პატრიარქის დისკრედიტაცია, არა მგონია, მომხდარიყო, მოხდა ლუსტრირება, პირდაპირ ვთქვათ, სინოდში არსებული არაჯანსაღი სიტუაციის.

*— სინოდის გადაწყვეტილებას გულისხმობთ?*

— ვიმეორებ, სინოდში არსებული არაჯანსაღი სიტუაციის ლუსტრირება მოხდა. პატრიარქი კვლავ მარტო დარჩა.

*— უკავშირდება თუ არა სინოდის გადაწყვეტილება ნაციონალების ვიზიტს საკურთხეველში?*

— რა თქმა უნდა. იქ ბრძანდებოდა სოსო თოფურიძეც და ერთ-ერთმა მეუფემ განაცხადა, რომ თურმე ის იქ ტრაპეზობდა და კიდევ კერვალიშვილი, რომელიც საოცარ გულისამაჩუყებელ სიტყვებს ლაპარაკობს ხოლმე. საქმით კიდევ რასაც აკეთებენ, კარგად ვხედავთ.

*— რას ნიშნავს „პატრიარქი მარტო დარჩა“, ბატონო სოსო?*

— პატრიარქი ამ უზარმაზარი სახელისუფლებო მანქანის წინააღმდეგ და იმ გავლენების წინააღმდეგ, რომელიც აქვს ამ სახელისუფლებო მანქანას სინოდში, მარტო აღმოჩნდა. ეს ხომ ყველამ კარგად იცის და რატომღაც ყველა ერიდებოდა ამაზე ლაპარაკს.

*— ნაყიდი ჰყავს თუ, უკაცრავად და, ჯიბეში უზის სინოდის ნაწილი ხელისუფლებას?*

— ზოგიერთი არა, უმრავლესობა. დიახ, უმრავლესობა ხელისუფლებას უზის ჯიბეში, პირდაპირ რომ ვთქვათ და ეს ყველამ ნათლად დაინახა. მე გუშინვე ვთქვი ტელე ეთერში, რომ ეს იქნება უმძიმესი შედეგების მომტანი და, საერთოდაც, ორი წელია, იმაზე ვსაუბრობ, რომ საქართველოში ეს რეჟიმი ეყრდნობა სამ ძირითად კომპონენტს: პირველი — ეს არის ხელისუფლება, მეორე, ეს არის მართული ოპოზიცია, მესამე, რაც მთავარია, გავლენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის წევრებზე.

*— პატრიარქი ვერ შეეწინააღმდეგა სინოდის გადაწყვეტილებას? და გამოიწვია თუ არა უკმაყოფილება ამ განჩინებამ საზოგადოებაში?*

— ეტყობა, ვერ შეეწინააღმდეგა, იქიდან გამომდინარე, რომ პატრიარქი სამი დღის ინტერვალით ამბობდეს სხვადასხვა რამეს, ეს ხომ გამორიცხულია. საზოგადოების უკმაყოფილებაც, ბუნებრივია, გამოიწვია.

*— საპატრიარქოს მიმართაც დაკარგავს ნდობას ხალხი?*

— საპატრიარქო, ეკლესია და მართლმადიდებლობა აქ არაფერ შუაშია. ლაპარაკია პერსონალიებზე და ჩვენ ერთმანეთისგან უნდა გავყოთ რწმენა და გარკვეული პერსონები, რომლებიც ამ რწმენას არცხვენენ, ანუ მართლმადიდებელი ეკლესია არ დაიყვანება ამ ეკლესიის მსახურთა დონეზე.

*— და რა შედეგი მოჰყვება ამას?*

— შედეგად მოჰყვება გაყოფა, დაწმენდა და ის, რომ ხალხი დაინახავს ყველაფერს და ერმა უნდა დაინახოს ყველაფერი. საერთოდ, ეს მისტიკური საბურველი უნდა ჩამოსცილდეს ბევრ რამეს, უფრო საღი ხედვა უნდა გამომუშავდეს და ამაღლდეს მართლმადიდებელი მრევლის როლი, ვისაც რიგითს ეძახიან. ეს რიგითობის სინდრომი და, საერთოდ, ეს შუასაუკუნეობრივი ფეოდალური გადმონაშთები ფსიქიკიდან უნდა ამოიძირკვოს. ვგულისხმობ არაჯანსაღ გადმონაშთებს.

*— ნაციონალების ვიზიტისას რა საუბარი შედგა საპატრიარქოში?*

— მათ მოახდინეს თავიანთი გავლენის რეალიზაცია. მრევლს დაუძახა სინოდის იმ ნაწილმა, რომელიც არ იყო მართული ხელისუფლებისგან. და ამ ნაწილმა, ცხადია, დანარჩენებთან წააგო და ყველაფერი ასე დამთავრდა. ყველამ გააცნობიეროს ერთი რამ — პატრიარქმა თქვა, რომ ეს იქნება დამღუპველი და ანტისახელმწიფოებრივი და პასუხისმგებლობა დააკისრა ხელისუფლებას. 5 დღის შემდეგ კი სინოდი იკრიბება და მეტი აღარ ქნათო, ეუბნება ხელისუფლებას. რაზეა აქ ლაპარაკი საერთოდ. ეს არის აბსურდი, ეს არის შეურაცხყოფა. მე, პირადად, შეურაცხყოფილი ვარ. ამ ხალხის დისკრედიტაცია მოხდა. ამას სხვანაირი შეფასება ვერ მიეცემა.

*— თქვენ რას აპირებთ?*

— ჩვენ ვაპირებდით 17-ში, რომ ეს კანონი გაგვეპროტესტებინა, მობილიზაცია გვქონდა გამოცხადებული და ახლა რაღა უნდა გავაკეთოთ, თქვენი აზრით, რა უნდა ვქნათ? როგორ უნდა გავაპროტესტოთ კანონი, რომელიც ხელისუფლებამაც მიიღო და სინოდმაც? რა თქმა უნდა, გაჩერებას არ ვაპირებთ. ეს საკითხიც დადგება თავის დროზე, მაგრამ ახლა აბსოლუტურად სხვა ტიპის მუშაობაა საჭირო. აქვე ვიტყვი ერთ რამეს — ძალიან საშიში და ცუდი რამ მოხდა.

*— ელოდით, რომ სინოდი მსგავს გადაწყვეტილებას მიიღებდა?*

— რა თქმა უნდა, რადგან ვიცოდი შიგნით ძალთა განლაგება, თუმცა, არ ველოდი, რომ ასეთი ტიპის შეურაცხყოფას მიაყენებდნენ საკუთარ თავს. ჯერ ერთი, ყრუ იყო აქამდე სინოდი, პოზიციაც კი არ გამოუხატავთ იმაზე, რომ ერი ნადგურდებოდა. თუ დღემდე ისინი მხოლოდ კულუარულად საუბრობდნენ, რა ცუდია, რომ ერში გენოციდი მიმდინარეობს, გენოციდია, კაცოო, ამას ცალკეული მეუფეები ამბობდნენ და გახსოვთ, ალბათ, თქვენც, სხვები საერთოდ დუმდნენ და სააკაშვილის სურათები ეკიდათ კაბინეტებში. სამწუხაროდ, ახლაც უკიდიათ. ახლა იმიტომ ამოიღეს ხმა, რომ უშუალოდ ეკლესიასა და პატრიარქს შეეხნენ, თუმცა აღმოჩნდა, რომ ხელისუფლების ინტერესები მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღირსება. აი, ეს ნათლად გამოიკვეთა.

*— სააკაშვილი უფრო გაძლიერდა და ამიერიდან ყველაფერზეა წამსვლელი?*

— რა თქმა უნდა, უმძიმესი სიტუაციაა. ამით ძალიან სერიოზული დარტყმა მიაყენეს მთელ საქართველოს.

*— ითქვა, რომ სააკაშვილს უნდა დესტაბილიზაცია...*

— არ უნდა. სააკაშვილი ნაბიჯებს კი არ დგამს, არამედ მიზანმიმართულად ანადგურებს საქართველოს და ეს იყო განადგურებისკენ მიმართული კიდევ ერთი ნაბიჯი და ეს ფსიქოლოგიური სამანები გადალახა ქართველი ხალხის, გაანადგურა ის ფსიქოლოგიური სისტემა, რომელიც ადეკვატურ რეაგირებას უზრუნველყოფს. ეს იყო ბოლო ჩაქუჩი, თუმცა ახლა სააკაშვილი და მისი ბანდა ვერ ითვალისწინებს ერთ რამეს — იმას, რომ არსებობს ღმერთი და მას გაცილებით მეტი საშუალებები აქვს, ვიდრე დემონთა ამ არმიას. ახლა დროზე თუ არ მოხდა გარკვეული ჯგუფების კონსოლიდაცია, მაშინ... საზოგადოება დეზორიენტირებულია. და საერთოდაც, იცით, ამ ვიზიტს წინ რა უსწრებდა?

*— რა უსწრებდა, ბატონო სოსო?*

— რუსეთის სომხურმა დიასპორამ შეაგროვა 90 მილიონი დოლარი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცნობის უზრუნველყოფისათვის საერთაშორისო არენაზე, ანუ ისინი აგროვებენ ფულს, რათა მოქრთამონ ისეთი სახელმწიფოები, როგორიც არის ნაურუ და სხვები, რათა მათ აღიარონ ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა. ვინმემ გააპროტესტა ეს? სომხური დიასპორა რუსეთში რომ აგროვებს ფულს, საქართველოს ხელისუფლება თუ საქართველოს ინტერესებით მოქმედებს, მან ხომ მინიმუმ საპროტესტო ნოტა უნდა გაუგზავნოს ან დიპლომატიური არხებით ათქმევინოს სომხეთის ხელისუფლებას ან ეკლესიას, რომ ნუ აკეთებს ამას.

*— თუ ქვეყნის დასანგრევად არის სააკაშვილი მოსული, ბუნებრივია, არ გააპროტესტებს...*

— დიახ, ან ვინმემ გააპროტესტა ის, რომ სომხები მიზანმიმართულად რეგულარულად უარს აცხადებენ, ხმას არ აძლევენ ლტოლვილების დაბრუნებას. არა. ე.ი სინერგიასთან გვაქვს საქმე, ამის მერე და ამ ფონზე ჩამოდის სომხეთის პატრიარქი (ყველამ ვიხილეთ, რა სტილშიც ესაუბრებოდა ის ილია მეორეს), ჩადის გამწარებული და მერე სრულიად მოულოდნელად აკეთებენ ამას. ამ კანონს თავი რომ დავანებოთ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც არის ეს დამთრგუნველი.

*— ახლა უკვე გადასცემენ თუ არა ეკლესიებს?*

— ლოგიკურია და, რომ გამოვხატეთ პროტესტი, რა მივიღეთ შედეგად?

*— ანუ არაფერი გვეშველება, ჩიხია?*

— კერპების მსხვრევა მიმდინარეობს, ტრადიციული ფორმები ინგრევა. დიდი შანსია, ბევრი ტაძარი გადასცენ და აქ უბედურება კიდევ რა არის, იცით? რელიგიური კონფესიების უმრავლესობის მიღმა დგას უზარმაზარი ფინანსური და პოლიტიკური ინტერესები, რომლებიც ამ რელიგიურ კონფესიებს გამოიყენებენ, როგორც ინსტრუმენტებს. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ ეს კანონი სომხებსაც (მოძმე ერს) არ მოუტანს რაიმე სიკეთეს. ეს ავანტიურაა, რომელიც ახასიათებს სომხურ დიასპორას და მისი ინტერესების გამომხატველი ხდება ხშირად სომხური ეკლესია. ეს სომხური დიასპორა თავისი ავანტიურისტული პოლიტიკური განზრახვების უზრუნველსაყოფად იყენებს ხოლმე სომხურ სახელმწიფოს. საერთოდ, დიასპორებს ახასიათებთ ავანტიურისტული და არარეალისტური გეგმების გენერირება, სომხურ დიასპორას კი — განსაკუთრებით. გაოცებული ვარ, რა იოლად ფიქრობენ ისინი გეოპოლიტიკურ თამაშში ჩართვას და იქიდან დივიდენდების მიღებას.

*— დიდ ფულს აიღებდა სააკაშვილი?*

— თანხა? რა ვიცი, ამ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს გამოხატული ფინანსური მხარით, თუმცა, შეიძლება იყოს, ეს შეიძლება იყოს პოლიტიკურ (არჩევნები მოდის) ან საერთაშორისო ასპარეზზე მხარდაჭერისთვის. ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი.

*— თუმცა ამ ნაბიჯებით ხალხის მხარდაჭერას საბოლოოდ კარგავს და წინ არჩევნებია...*

— სააკაშვილი? ხალხი, როგორც ასეთი, აღარ არსებობს საქართველოში. საზოგადოებრივი აზრიც აღარ არსებობს. ასე თვლიან, აი, საქართველოში ქართველი ერი, მათი აზრი და იგივე ეკლესია არ არის ანგარიშსგასაწევი ძალა. ამ ყველაფერს ძალიან მძიმე პროცესები მოჰყვება საქართველოში. ვიმეორებ, უმძიმესი პროცესები გველის წინ.

# ბესელიამ აბდალაძე მოინახულა

შორენა კოწოწაშვილი

**სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრეს“ ხელმძღვანელმა ეკა ბესელიამ გუშინ ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებული ფოტორეპორტიორი გიორგი აბდალაძე მოინახულა.**



როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, უფლებადამცველი ეკა ბესელია ფოტორეპორტიორების გახმაურებული საქმის მონიტორინგს თავად ჟურნალისტების თხოვნით განახორციელებს და საქმეში მისი ორგანიზაციის ადვოკატი ვლადიმერ მაჭარაშვილი ჩაერთო და სწორედ ის დაიცავს გიორგი აბდალაძის ინტერესებს.

ბესელია დღის 2 საათისთვის შევიდა გლდანის საპყრობილეში და მოშიმშილე აბდალაძე მოინახულა.

გლდანის წინასწარი დაკავების იზოლატორიდან გამოსული ეკა ბესელია აცხადებს, რომ გიორგი აბდალაძე ჟურნალისტებს მადლობას უხდის მხარდაჭერისა და სოლიდარობისთვის. იგი ჟურნალისტებს მიმართავს, გააგრძელონ სოლიდარობის აქციები და მხარდაჭერა.

— გიორგი აბდალაძე თავის მოკვლას არ აპირებს და თუ მას საპყრობილეში რამე დაემართება, პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დაეკისრება, — განაცხადა ეკა ბესელიამ. მისი თქმით, გიორგი აბდალაძემ გუშინ ღამით შიმშილობა შეწყვიტა, რადგანაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა.

— აბდალაძე თავად ისაუბრებს იმ არგუმენტებსა და მოტივაციებზე, თუ რატომ შეწყვიტა შიმშილობა. აბდალაძის მოთხოვნა რჩება იგივე: მოეხსნას გრიფით „საიდუმლო“ მის საქმეს იმიტომ, რომ არაფერი ამ საქმეში დასამალი არ არის. აბდალაძე თავს უდანაშაულოდ ცნობს, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

როგორც საპყრობილიდან გამოსულმა ბესელიამ მიუთითა, გიორგი აბდალაძე გუშინ მძიმედ იყო. მას ჩაუტარდა გადასხმები და შიმშილობა ამის გამო შეწყვიტა. თუმცა ეს შიმშილობის შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზი იყო.

— მას სხვა არგუმენტებიც გააჩნია, რომლებზეც, როგორც კი საშუალება მიეცემა, თავადვე ისაუბრებს. ეს არგუმენტები მისი საპყრობილეში ყოფნის საკითხს უკავშირდება. აბდალაძე არა მარტო საკუთარ, არამედ სხვა პატიმრების უსაფრთხოებაზეც ზრუნავს და ამბობს, რომ აქ სულ სხვა პარალელური და ვირტუალური სამყაროა, — განაცხადა ეკა ბესელიამ. მისი თქმით, გიორგი აბდალაძე აცხადებს, რომ ის საპყრობილიდან გავა ან ცოცხალი, ან მკვდარი, თუმცა უდანაშაულო.

# საპატრიარქოში შეიძლება შიდა დაპირისპირება დაიწყოს

**ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიური მდივანი კახა ძაგანია ხელისუფლების მიერ მიღებულ ანტიეკლესიური კანონმდებლობიდან გამომდინარე დარწმუნებულია, რომ წმინდა სინოდის გადაწყვეტილებამ უკმაყოფილება თავად სასულიერო პირებშიც გააჩინა. ძაგანიას თქმით, მეუფეები უფრო მკაცრ გადაწყვეტილებას ელოდნენ.**

**ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ფოტორეპორტიორების საქმესაც ეხმაურება და გრიფით „საიდუმლოს“ ქვეშ იმ ინტიმური კადრების არსებობას მოიაზრებს, რომელიც სავარაუდოდ ბათუმში იქნა ამ ფოტორეპორტიორების მიერ გადაღებული.**

**— დარწმუნებული ვარ, ბათუმში მოხდა ისეთი რამ, რაც ამ ბიჭებმა გადაიღეს. ეს იყო რაღაც პირადი, ინტიმური ხასიათის ფოტოები და ამის გამო ისჯებიან ეს ადამიანები. წარმოიდგინეთ, ბათუმში იყო ერთი ჯგუფი, შეიძლება ითქვას, ერთი სამეგობრო. მას შემდეგ, რაც ეს ადამიანები ბათუმიდან ჩამოვიდნენ, ნაწილი ამ სამეგობროსი მოხვდა საავადმყოფოში, ნაწილი კი ციხეში, — აცხადებს ლეიბორისტი კახა ძაგანია.**

**გთავაზობთ ინტერვიუს კახა ძაგანიასთან.**



შორენა კოწოწაშვილი

***— ბატონო კახა, ფაქტია, ქვეყნის შიგნით პოლიტიკურმა რეპრესიებმა იმატა და ადამიანის უფლებების კუთხით უმძიმესი ვითარებაა. რამ განაპირობა სააკაშვილის და მისი გუნდის მსგავსი პოლიტიკური ნაბიჯები — საერთაშორისო მხარდაჭერამ?***

— სააკაშვილის მოსვლის დღიდან მისი ხელისუფლებაში არსებობის ერთადერთი საშუალება იყო ძალისმიერი მეთოდის გამოყენება, რომელსაც ახლაც წარმატებით ახორციელებს. ის ცდილობს ნებისმიერი დემოკრატიული და ავტორიტეტული ინსტიტუტი დაამსხვრიოს და დაანგრიოს. პირველ რიგში, მოღვაწეობა დაიწყო პოლიტიკური პარტიების დანგრევა-დამსხვრევით. გადაუარა უამრავ პოლიტიკურ ორგანიზაციას. ავიწროვებს მათ როგორც ფინანსური, ასევე პოლიტიკური კუთხით. ამას მოჰყვა არასამთავრობოების წნეხი, გადავიდა ჟურნალისტებზე და დააგვირგვინა საპატრიარქოზე შეტევით. ვგულისხმობ კანონს, რომელიც რელიგიურ კონფესიებს ეხება და რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიას სხვა კონფესიებს უთანაბრებს.

***— თქვენი აზრით, არის თუ არა საფრთხის შემცველი ტერიტორიული მთლიანობის კუთხით ანდა გარკვეული თვალსაზრისით პარლამენტის მიერ რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით მიღებული კანონი? სომხები თვლიან, რომ წმინდა სინოდის შეკრების შემდგომ ხელისუფლებამ უკან დაიხია და ეს სომხებზე მორიგი დარტყმა იყო.***

— თავისთავად ეს გადაწყვეტილება, ის სტატუსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა რელიგიურ კონფესიებს და სხვა რელიგიურ წარმონაქმნებს მიანიჭა, რა თქმა უნდა, საფრთხის შემცველია. ეს რელიგიური წარმონაქმნები საქართველოს საფრთხეს უქმნიან როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე სულიერი თვალსაზრისით. მაგრამ ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი არის სომხური ეკლესიის კუთხით. იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ეს კანონი იქნა მიღებული, შესაბამისად ამ კანონს მოყვება ახალი კანონი რელიგიების შესახებ და ამ კანონსაც ეს პარლამენტი დიდი წარმატებით დაამტკიცებს. ეს ახალი კანონი რელიგიურ კონფესიებს უკვე საშუალებას მისცემს, ამ შემთხვევაში იგივე სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას, რომ შეიქმნას სომხური ეკლესიის ეპარქია და ეპარქიის კუთვნილება გახდეს ის ტაძრები, მიწები, რომელსაც ისინი შემდგომში მოითხოვენ და მათ გადაეცემათ. თუ ამ კანონმდებლობას გოდერძის უღელტეხილის კონტექსტში განვიხილავთ, ძალიან დიდი საფრთხეა, რომ ახალქალაქისა და იმ ტერიტორიაზე მცხოვრები სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეებისადმი ძალიან დიდი პრობლემები წარმოიშვას. ანუ კანონი და ეს საკითხი მარტივად განსახილველი არ არის. ეს საკითხი არის ძალიან შორსმიმავალი, ცუდი, რთული, შენელებული ნაღმი, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს და აფეთქდეს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში — ახალქალაქში და შეიძლება ძალიან დიდი პრობლემა შეიქმნას.

***— სამოქალაქო სექტორის სომეხი ეროვნების წარმომადგენელი აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ანტისომხურმა განწყობამ იმატა. ასეა? პროცესის ხელოვნურად დაძაბვა ხომ არ ხდება?***

— თვითონ საქართველოს ხელისუფლების უდიდესი ნაწილი სომეხი ეროვნების არის. ამაზე მეტი პრივილეგია რა უნდა იყოს? მითხარით, სომხეთის ხელისუფლებაში არის ეროვნებით ქართველი ვინმე? ჩვენ, ქართველებს, სომეხი პრეზიდენტი გვყავს. მეტი პრივილეგია რა უნდა სომხებს? საქართველოში სომხური დიასპორა თავს ყოველთვის ძალიან კარგად გრძნობდა. ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები იყვნენ და ბევრ ქართველზე კარგადაც ცხოვრობდნენ. ასეც იქნება. კიდევ ერთხელ ვამბობ, მარტო პრეზიდენტი კი არა, საქართველოს მთავრობის უდიდესი ნაწილი სომეხი ეროვნების არის და მეტი პრივილეგია და მტკიცებულება რა საჭიროა. ასე რომ, მსგავსი განცხადებები ურთიერთობების ხელოვნურ დაძაბვას უწყობს ხელს. სხვათა შორის, ქსენოფობიური გამოვლინებების იარლიყების აკიდება საზოგადოებისთვის, ესეც ხელისუფლებიდან მოდის. უნდათ მეტი იმუნიტეტი შეექმნას იმ კანონს და ამ ხელისუფლებას, რომელი იმუნიტეტიც ნამდვილად სჭირდებათ. ამიტომ არის, რომ ხელოვნურ ბარიერებს ქმნიან. ისეთ პოლიტიკურ საზღვრებს აკეთებენ, რომ ამ საზღვარზე ადამიანს გადმოსვლა გაუძნელდეს და თავისი თავისა და თავისი სარწმუნოების დაცვა. ლიბერალურ და დემოკრატიულ მოქმედებებს ამოფარებულები სჩადიან ბანდიტურ, არაკონსტიტუციურ მოქმედებებს; შეურაცხყოფას აყენებენ ქართველი ხალხის უმეტესობას. მაგალითად, კათოლიკურმა ეკლესიამ უარი განაცხადა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირებაზე. თქვეს, რომ ეს მათ არ სჭირდებათ და მართლებიც არიან. ჩვენ პრესკონფერენციაც ჩავატარეთ და საქართველოში მოღვაწე ძირითად კონფესიებს მივმართეთ, რომ უარი განაცხადონ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირებაზე. ეს ჩვენი პარტიის მხრიდან იყო თხოვნა, მიმართვა. ლეიბორისტული პარტიის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეს კანონი თავისთავად გაუქმდება და ის სტატუსკვო აღდგება, რომელიც ჰქონდა მართლმადიდებლურ ეკლესიას და სხვა კონფესიებს, რომლებიც არსებობენ საქართველოში.

***— თქვენი აზრით, ამ კანონს შემდგომში სერიოზული უარყოფითი შედეგები მოყვება?***

— სერიოზული უარყოფითი შედეგები შესაძლებელია თვითონ საპატრიარქოს შიგნითაც მოყვეს.

***— რას გულისხმობთ?***

— ჩემთვის ცნობილია, რომ ბევრი მოძღვარი, ბევრი მეუფე ძალიან რადიკალურად უყურებს და კრიტიკულად აფასებს წმინდა სინოდის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას. ვფიქრობ, ქართული ეკლესია კიდევ ერთი სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა. ეს ყველაფერი კი მოხდა არაფრის გამო. იმის გამო, რომ სააკაშვილი დაპირდა სომხეთის პატრიარქს და საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ის ამ სტატუსით გაუფორმებდა სომხეთის საპატრიარქოს მისთვის სასურველ ინტერესებს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს მისცემდა სომხურ ეკლესიას, ამის გამო ხდება ამხელა ამბავი. საშიშროებაა იმისა, რომ განხეთქილებაა თვითონ ეკლესიაში. მრევლი დაბნეულია, ზოგი — გაღიზიანებული. ამბობენ, სინოდმა ვერ მიიღო ისეთი რადიკალური გადაწყვეტილება, როგორსაც ის თავში აფიქსირებდა. გახსოვთ, ითქვა: ყველა, ვინც ეკლესიის წინააღმდეგ მიდის, ის აუცილებლად იქნება დასჯილი. აქედან გამომდინარე, მრევლი შესაბამის ადეკვატურ ნაბიჯებს ელოდა. იცით, რომ სინოდმა უფრო რბილი გადაწყვეტილება მიიღო. მე მესმის, რომ საჭიროა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დააბალანსოს ყველა პოლიტიკური თუ სასულიერო საკითხი, თუმცა ვთვლით, რომ უფრო მკაცრი უნდა ყოფილიყო, როგორც ყოველთვის იყო ეკლესია, როცა საფრთხე ექმნებოდა საქართველოს მომავალს და ტერიტორიულ მთლიანობას. ამას ელოდება იმ მოძღვრების და ბერების ნაწილი, რომელიც თვლის, რომ ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი არის ქვეყნისთვის ძალიან ცუდი.

***— ხელისუფლების წარმომადგენლები კომენტარებში აფიქსირებენ, რომ ისინი ყოველთვის დაიცავენ კონკორდატს, სანამ ეს ხელისუფლება იქნება.***

— როგორ იცავს კონკორდატის პირობებს ხელისუფლება, ეს კარგად გამოჩნდა რამდენიმე დღის წინ, როდესაც საპატრიარქო საქმის კურსშიც არ იყო იმ კანონის მიღების შესახებ, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა და პრეზიდენტმა დაჩქარებული წესით ხელი მოაწერა. კანონი ისე სწრაფად მიიღეს, განმარტებითი ბარათიც კი არ ჰქონდა. ამიტომ, მერე შეკრიბეს ბიუროს სხდომა და განმარტებითი ბარათიც მოამზადეს. ანუ ეს ხელისუფლება აბსოლუტურად იგნორირებას უკეთებს კანონმდებლობას, კონკორდატს. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი და მისი გუნდი გააგრძელებს იმ მზაკვრულ გეგმას, რომელიც იყო ჩაფიქრებული. მალე ეს ხელისუფლება ალბათ მიიღებს კანონს რელიგიური კონფესიების შესახებ, სადაც უკვე ნათლად და მკაფიოდ იქნება ჩადებული, რომ ყველა რელიგიურ კონფესიას, რომელიც არის რეგისტრირებული ევროკავშირის სივრცის ქვეყნებში, ისინი ავტომატურად მოითხოვენ საკუთრებას, ქონებას, მოითხოვენ მიწებს, ტაძრებს და ა. შ. ასე რომ, ხელისუფლებამ ძალიან ცუდი და ძალიან მზაკვრული გადაწყვეტილება მიიღო სააკაშვილის დავალებით. ეს ყველაფერი კი მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ სააკაშვილი შეპირდა სომხეთის პატრიარქ გარეგინს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს მიიღებდა სომხური ეკლესია. შესაბამისად, რელიგიურ კონფესიებს უფრო მეტი შესაძლებლობები და უფრო მეტი უფლებები მიეცათ საქართველოს ტერიტორიაზე.

***— ბატონო კახა, რას იტყვით ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებული ფოტოკორესპონდენტების საქმეზე?***

— დარწმუნებული ვარ, ბათუმში მოხდა ისეთი რამ, რაც ამ ბიჭებმა გადაიღეს. ეს იყო რაღაც პირადი, ინტიმური ხასიათის ფოტოები და ამის გამო ისჯებიან ეს ადამიანები. წარმოიდგინეთ, ბათუმში იყო ერთი ჯგუფი, შეიძლება ითქვას, ერთი სამეგობრო. მას შემდეგ, რაც ეს ადამიანები ბათუმიდან ჩამოვიდნენ, ნაწილი ამ სამეგობროსი მოხვდა საავადმყოფოში, ნაწილი კი ციხეში, ნაწილი კი ჩვეულ რიტმში განაგრძობს ცხოვრებას. დარწმუნებული ვარ, ეს ფოტოკორესპონდენტები რაღაცას მალავენ, მათ ალბათ ოჯახების უსაფრთხოების ეშინიათ. როგორც ჩანს, თვითონ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაარიგეს ისინი, რათა თქვან, რომ 26 მაისის დარბევის კადრებს უკავშირდება მათი დაპატიმრება. მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ ბათუმში მოხდა ინტიმური რაღაც, რის გამოც ზოგი საავადმყოფოში მოხვდა, ზოგი დაიჭირეს.

***— თქვენ ჯაშუშობის კუთხით ბრალის დამტკიცებას გამორიცხავთ?***

— ეს არის აბსოლუტურად თითიდან გამოწოვილი ბრალდება. ამით უნდა ხელისუფლებას შეფუთოს ამ ბიჭების უკანონო დაჭერის ფაქტი. მტკიცებულებებს ვერ დებენ, რაღაც სისულელეები გამოაქვეყნეს. როგორც ზურაბ ჟვანიას საქმე შეკერეს ნაუცბათევად, გაახმაურეს და ლაფსუსებიც გაეპარათ, ასევე მოიქცნენ ახლაც. თუმცა ამ დაჩქარებულ შეფუთვაშიც უამრავი ლაფსუსია. ვფიქრობ, ხელისუფლებას მოუწევს ამ საქმეზე გრიფით „საიდუმლოს“ მოხსნა.

## მაია მიმინოშვილი საერთო სამაგისტრო გამოცდასთან დაკავშირებით ბრიფინგს გამართავს

გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი საერთო სამაგისტრო გამოცდასთან დაკავშირებით დღეს ბათუმის საგამოცდო ცენტრში ბრიფინგს გამართავს.

14 და 15 ივლისს მაგისტრანტობის კანდიდატები საერთო სამაგისტრო გამოცდას ჩააბარებენ.

გამოცდისათვის რეგისტრაცია 14:00 საათზე დაიწყება, გამოცდა 15:00 საათზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა ნებისმიერი აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად; სპეციალობის გამოცდას კანდიდატები უშუალოდ უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბარებენ.

მაგისტრანტობის კანდიდატები ჩაირიცხებიან საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სპეციალობის გამოცდის შედეგების მიხედვით.

სახელმწიფო დაფინანსება გაიცემა საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგით.

სამაგისტრო პროგრამებზე მიღების ახალი მოდელი 2009 წელს, საქართველოს მთავრობის ინციატივით დაინერგა. ახალმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა სამაგისტრო პროგრამების ცენტრალიზებულად, საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგის მიხედვით დაფინანსება.

2011 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების მიხედვით დაფინანსდება 11 მიმართულება (ბიზნესი და ეკონომიკა, ჰუმანიტარული, სოციალური, სამართალი, საინჟინრო, განათლება და პედაგოგიკა, საბუნებისმეტყველო, აგრარული, მათემატიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ხელოვნება, ჯანდაცვა), რომელთაგან, ამ ეტაპზე, პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული საბუნებისმეტყველო მიმართულებები, ასევე აგრარული სფერო, ჰუმანიტარული და განათლების მიმართულებები.

მედიანიუსი

# ხელისუფლებაში სულ აგენტები სხედან

გულიკო ბალა ე

## ინტერვიუ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძესთან

## რა შემთხვევაში გაბედავს თბილისი აფხაზეთის აღიარებას



***— ბატონო ნოდარ, რატომ ხდება ხოლმე ისე, რომ მუდმივად საქართველოს ხელისუფლების სათავეებში მოდიან ისეთი ადამიანები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიების გასხვისებასა და ქვეყნისთვის ვნებაზე მუშაობენ და არა მისი ინტერესების შესაბამისად?***

— ასე იმიტომ ხდება, რომ ჩვენ წინააღმდეგ ძალიან დიდი ძალები მუშაობენ და საქართველოს ხელისუფლებაში მოჰყავთ თავიანთი აგენტურა. შევარდნაძე აგენტურა იყო, სააკაშვილი აგენტურაა.

***— თუ კომუნისტურ პერიოდს გავიხსენებთ, კავკასიაში არსებული სამი რესპუბლიკიდან საქართველოში ყველაზე გამყიდველი ხელმძღვანელები იყვნენ. კომუნისტური ელიტა სომხეთსა და აზერბაიჯანსაც ჰყავდათ, მაგრამ არც ერთ სომეხსა და აზერბაიჯანელს მიწები არ გაუჩუქებია. ჩვენს რეალობაში კი, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები რუსული იმპერიის სათავეებში იყვნენ, ჩვენი ტერიტორიების გასხვისება ხდებოდა. ქართველებს რა ფსიქოლოგიური ფაქტორი უბიძგებთ ასეთი მოქმედებისაკენ? რატომ ხდება ასე?***

— ამას თავისი, ძალიან მკაფიო მიზეზი აქვს. საქართველო ყველაზე პოტენციური ერთეული იყო ამიერკავკასიაში, ძირითადად თავისი განლაგებით. როდესაც რუსეთმა ამიერკავკასია დაიპყრო, მიზნად დაისახა მათი გათანაბრება. ამიტომ საქართველოს მიწები წაართვა, რომელიც აზერბაიჯანსა და სომხეთს გადასცა, თან საქართველოში უფრო დესტრუქციული პოლიტიკა დააწესა, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში. სომხეთსა და აზერბაიჯანში კომუნისტური ხელისუფლების სათავეში მოდიოდნენ დაახლოებით იგივე ადამიანები, რომლებიც სხვა დროს, შედარებით უნარიანი, შედარებით ნიჭიერი და შედარებით ძლიერი პიროვნებები იქნებოდნენ. საქართველოში, პირიქით, ხელისუფლების სათავეში მოდიოდნენ ყველაზე უვარგისები და ნაძირლები იმიტომ რომ საქართველოს მიმართ თვითონ პოლიტიკა იყო სხვა. უფროსი ალიევი პირველი კაცი იქნებოდა ყველა შემთხვევაში. შევარდნაძე, თავისუფალი კომკურენციის პირობებში, პირველი კაცი კი არა, 1500-ე კაცი ვერ იქნებოდა ქართველებს შორის თავისი ბუნებრივი მონაცემებით. ასე რომ, საქართელოს მიმართ საბჭოთა რუსეთის დროს და მანამდეც რუსეთის პოლიტიკა იყო თვითმიზნურად დესტრუქციული. სხვების მიმართ ასეთი არ იყო.

***— ალბათ, გახსოვთ, როგორ იყიდებოდა გარდაბნის, მარნეულისა და სხვა რაიონებში მიწები აზერბაიჯანელებსა და სხვებზე. მიწებს არაოფიციალურად რაიკომის მდივნები ყიდდნენ. დარწმუნებული ვარ, მსგავსი პროცესს არც სომხეთში და არც აზერბაიჯანში ადგილი არ ჰქონდა.***

— საქართველოში კაცს რაიკომის მდივნად მანამდე არ დასვამდნენ, სანამ არ შეამოწმებდნენ, რომ ის არის საქართველოს მოღალატე. აქ მექანიზმი მუშაობდა. ეს იყო შეგნებული მექანიზმი. აზერბაიჯანში კაცს რაიკომის მდივნად რომ სვამდნენ, ამ მიმართულებით არ სინჯავდნენ, მას სინჯავდნენ, წერა-კითხვა იცოდა თუ არა, უყვარდა თუ არა კომუნიზმი და სძულდა თუ არა კაპიტალიზმი. აზერბაიჯანელსა და სომეხს სამშობლოს ღალატს არ სთხოვდნენ, ხოლო ქართველს — სთხოვდნენ. ეს იყო პოლიტიკის არსებითი განსხვავება.

***— მაინც, ქართველ კაცს რაიმე ფსიქოლოგიური ფაქტორი უბიძგებს ასეთი მოქმედებისკენ? ჩვენს მენტალიტეტში რაიმე პრობლემაა?***

— რაზეც ვილაპარაკეთ, ეს არის რუსეთის პოლიტიკის თავისებურება და არა ქართველის ფსიქოლოგიისაა, მაგრამ ქართველის ფსიქოლოგიის თავისებურება ის იყო, რომ ქართველებში თითქმის გამომუშავდა 100%-იანი გამყიდველობა. კაცი, რომელიც მიდიოდა თანამდებობაზე, უკვე მზად იყო ქვეყნის გასაყიდად. კარიერის მსურველმა იცოდა, რომ პირველ რიგში საქართველოს გაყიდვა მოეთხოვებოდა. კარიერაში უკვე ამ აზრით შედიოდნენ. ახლაც ასეა.

***— ბატონო ნოდარ, კომინისტების მმართველობის ბოლო პერიოდში, როდესაც რესპუბლიკების დამოუკიდებლობის საკითხი დადგა, ყველამ კარგად დავინახეთ, რა პოლიცია დაიჭირეს ბალტიისპირეთის კომუნისტებმა. მახსოვს, ისინი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას გამოეყვნენ. ჯერ თვით კომპარტიამ დამოუკდებლობა გამოაცხადა, ხოლო შემდეგ მათ სხვებთან ერთად ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის იბრძოლეს. ჩვენთან რატომ ვერ ხერხდება ქვეყნის, სახელმწიფოს ინტერესებისადმი ასეთი მიდგომა? ჩვენთან რატომ ვერ გამოვიდნენ კომუნისტური ბურუსიდან? კარგა ხნის შემდეგ, აგვისტოს პუტჩის დროს, მათ გასაციმბირებელთა სიებიც კი შეადგინეს.***

— ბალტიისპირეთის ქვეყნებში თვითმყოფადი ეროვნული დისციპლინა ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ჩენთან. რატომ? იმიტომ, რომ ბალტიისპირელებს ძალიან ძლიერი იმიგრაცია ჰყავდათ. ის იმიგრაცია აკონტროლებდა მათ ყველა მოქმედებას. ჯერ ერთი, ინტელექტით აკონტროლებდა, ყველაფერს ანალიზს უკეთებდა. გარდა ამისა, იმიგრაციას მუდმივი კონტაქტი ჰქონდა და მუდმივ კონსულტაციას უწევდნენ ქვეყანაში დარჩენილებს. ჩვენი ემიგრაცია კი განადგურებული გახლდათ. ჩვენ მათზე ძლიერი ემიგრაცია გვყავდა, მაგრამ 20-30-40-იან წლებში გაანადგურეს.

***— ისტორიას რომ თავი დავანებოთ, დღეს, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 20 წლის შემდეგ, საქართველოს სათავეში ისეთი ხელისუფლებაა, რომელიც შედეგებზე არ ფიქრობს და შეუძლია, საქართველოს საწინააღმდეგო გადაწყვეტილება დაუფიქრებლად მიიღოს. მაინც რატომ არის, რომ მუდმივად ასეთი ხელისუფლებები მოდიან საქართველოს სახელმწიფოს სათავეში? ქართველი ერი პოლიტიკურად მოუმწიფებელი და პასიურია. თუ რატომ ვერ ახერხებს ისეთი ხელისუფლების მოყვანას, რომელიც საქართველოს საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს არ მიიღებს?***

— ესტაფეტის გადაცემა ხდება. გადატრიალების შემდეგ მოვიდა შევარდნაძე. შევარდნაძემ თავისი ძალაუფლება სააკაშვილს გადასცა. სააკაშვილი, თავის მხრივ, ფიქრობს, ესტაფეტა თავისთვის სასურველს გადასცეს. ე.ი. საქართველოს განადგურების ამოცანა და როლი განაწილებულია სხვადასხვა პიროვნებებს შორის, სხვადასხვა თაობებს შორის. მათ ყველას ერთი წყარო აქვთ. ესენი პირდაპირ რუსების აგენტები არიან, მაგრამ ახლა განსაკუთრებული მომენტია — რუსეთის მთელი აგენტურა, დაწყებული ისეთი პატარა აგენტიდან, როგორიც არის მამუკა არეშიძე და დამთავრებული ისეთი დიდი აგენტით, როგორიც არის შევარდნაძე, მობილიზებულია იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლებას გამოსძალონ აფხაზეთის აღიარება. აფხაზეთი რომ არ არის აღიარებული (და არც არასოდეს იქნება აღიარებული), ამით, ჯერ ერთი, რუსეთი ძალიან ზარალობს მსოფლიოში და მეორე — პუტინი ძალიან ზარალობს რუსეთში. პუტინმა რაც გააკეთა, ეს იყო მისი ერთადერთი საგარეო ომი, რომელიც თითქოს მოიგო და ამით რუსეთში დიდი პრესტიჟი მოიპოვა, მაგრამ ახლა როგორც ვითარდება მოვლენები, ჩანს, რომ არაფერი მოუგია. პირიქით, გაზითურდა, რადგან აქედან აზარგება მოუწევს აუცილებლად. ამ მდგომარეობიდან რომ გამოძვრეს, პუტინისთვის ძალიან სასიამოვნო (პირადად მისთვის და მისი ქვეყნისთვისაც) აფხაზეთის აღიარება. ამიტომ შევარდნაძეს პირდაპირ აძლევენ ბრძანებას, მიაფურთხე შენს პრესტიჟს, თქვი სისულელე, ოღონდ თქვი, ოღონდ შექმენი შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოში არის მოძრაობა აფხაზეთის აღიარებისათვის. ამაზე მუშაობენ ყველანი. იმისათვის, რომ ამ ძირითადი მუშაობიდან ხალხის ყურადღება გვერდზე გადაიტანონ, მიიღეს საზიზღარი კანონი, რომელიც ჩვენი ეკლესიის უფლებებს ლახავს.

***— ოფიციოზი და მასთან დაახლოებული პილიტოლოგები თუ საზოგადოების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს არის თავისუფლების, ლიბერალური დემოკრატიის გამოხატულება და მართლმადიდებელი ეკლესია ამით არანაირად არ იზღუდება, მისი უფლებები არ ილახება?***

— რუსეთი დაინტერესებულია, ეკლესიის თემა რაც შეიძლება მეტად ააგოროს, გაამწვავოს, რომ ხალხის ყურადღება ამ საკითხზე გადაიტანოს, აფხაზეთის თემას ჩამოაცილოს. ამას არავინ ამბობს. გეტყვით, რატომ არის ეს ჩვენთვის მიუღებელი. ჯერ ერთი, თავისთავად, ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება აბსურდია, იმიტომ რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესია საქართველოს დომინანტი სარწმუნოება და დომინანტური ეკლესიური ორგანიზაციაა. ეს ტერმინი ევროპაში მუშაობს. ეს ის ორგანიზაციაა, რომელმაც 15 საუკუნე წარმადი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში და მოსალოდნელია, რომ ამ როლს კიდევ 15 საუკუნე შეასრულებს, თუ მეტს არა. ნებისმიერი ევროპული კანონმდებლობით, პრაქტიკით, ტრადიციით, ეს აძლევს საქართველოს ხელისუფლებას იმის უფლებას, რომ საქართველოს ეკლესია ჩააყენოს სრულიად პრივილეგირებულ მდგომაეროებაში. ამაზე ვერც ერთი სულელი ვერ იტყვის, დისკრიმინაციააო. დისკრიმინაცია ჰქვია უსაფუძვლო განსხვავებას. დისკრიმინაცია ჰქვია განსხვავებას რაღაც არასაპატიო მოტივებით. საპატიო მოტივი რომ არის, მაშინ არ არის დისკრიმინაცია. აი, მაგალითად, მე გავტეხე ბინა და ვზივარ ციხეში. თქვენ წესიერად იქცევით და ციხეში არ ზიხართ. ეს დისკრიმინაციაა? თქვენ რომ გაგეტეხათ ბინა, თქვენ იჯდებოდით ციხეში. ე.ი. ისინი მზად არიან, ნებისმიერ მომენტში წამოგიყენონ ბრალდება. ჩვენ, ქართველებს, გვეამაყება, რომ ჩვენთან რაღაც სამი ჰექტარის ფართობზე, ქვეყნის ცენტრში, ეკლესია, სინაგოგა და მეჩეთი ერთად ფუნქციონირებენ. ჩანს, რომ ხალხი არის ტოლერანტული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შევქმნათ ისეთი პირობები, საქართველოში, ვთქვათ, მეჩეთების რაოდენობამ 15-ჯერ გადააჭარბოს ეკლესიების რაოდენობას. ეს არ შეიძლება. გეტყვით, რაზე მუშაობენ. მაგალითად, რაზე მუშაობს ისლამი? მართალია, ძალიან კარგი განცხადება გააკეთა შეიხმა, მაგრამ აზერბაიჯანს აქვს ფული. ეს ფული საქართველოში დასტებად შემოდის. ამ ფულით შეუძლიათ, თითო ეკლესიის გასწვრივ ააშენონ 15 მეჩეთი. რომელიმე დიპლომატი და გაეროს ჯგუფი რომ ჩამოვა, ისინი გადახედავენ აღმოსავლეთ საქართველოს ველს და იტყვიან, ეს არ არის ქართული გარემოო. ხომ ხედავთ, მეჩეთები მეტია ეკლესიებზე და არაქართული ან შერეული გარემოა. შესაბამისად, ვაწარმოოთ პოლიტიკა. ეს რეალურად კეთდება.

***— ხელისუფლების მიერ უშუალოდ რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის შესახებ კანონის მიღებას სხვადასხვა რაღაცით ხსნიან. მაინც, რატომ უნდა მიეღო არსებულ ხელისუფლებას ასეთი გადაწყვეტილება, რაც საქართველოს ეწინააღმდეგება?***

— ხელისუფლებაში არის იმ ტიპის ადამიანი, რომელიც საგარეო დახმარების გარეშე საქართველოში ვერანაირ კარიერას ვერ გაიკეთებს. საქართველოში კარიერის გაკეთებისთვის ვარგისი ადამიანი არ არის. ამიტომ მას სძულს საქართველო. ფსიქოლოგიურად გასაგები და ბუნებრივია.

***— თქვენი შეფასებით, რა სტილის ადამიანები არიან ისინი, ვინც პარლამენტში ამ კანონს ხმა მისცეს?***

— ნაძირლები არიან. ახლა პროგრესია. შევარდნაძე რომ დსთ-ში მიგვათრევდა, პარლამენტში შევარდნაძემ 124 ნაძირალა შეაგროვა, ვინც ხმა მისცა. სააკაშვილმა 70-ზე მეტი ვერ შეაგროვა.

***— გარკვეუწილად, რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს, შევარდნაძის პარლამენტის იმ 124-მა დეპუტატმაც გადაწყვეტილება მიიღო და სააკაშვილის პარლამენტის 70-დეპუტატმაც. ისინი, ალბათ, მშვიდად არიან, რადგან მათთვის პასუხი არავის მოუთხოვია.***

— პასუხი მოეთხოვებათ...

***— თუმცა, ამ შემთხვევაში მათ ეკლესიის წინააღმდეგ წასვლა, როგორც ჩანს, ძალიან ძვირი დაუჯდებათ...***

— რა თქმა უნდა, ძვირი დაუჯდებათ. გარდაუვალია ისეთი სიტუაციის შექმნა საქართველოში, როდესაც ყველა ანტიქართული გადაწყვეტილების მიმღები პარლამენტარები უსასტიკესად დაისჯებიან.

***— როგორ?***

— ყველა მეთოდით, რომელიც არსებობს. ერთ-ერთი მეთოდი არის ციხე, მაგრამ, ამ ოფიციალური სასჯელის გარდა, იქნება სხვა სასჯელებიც. ეს გარდაუვალია.

***— სხვა სასჯელი რა შეიძლება იყოს, ეკლესიის მხრიდან შეჩვენება?***

— შეჩვენება — არა. მე ვსაუბრობ, პრაქტიკულად, მათი ბიოგრაფიის წარმართვაზე.

***— თქვენ ისეთ სიტუაციას მოელით, რომ საქართველოს საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიმღებ პირებს პასუხი მოეთხოვებათ?***

— გარდაუვალია. შეუძლებელია, ეს არ მოხდეს. დღეს სინოდი რაღაც პირობებით კანონს რომ დაეთანხმა, ეს ცუდია.

***— ძალიან ბევრისაგან მოვისმინე უკვე, რომ სინოდის გადაწყვეტილება არ მოსწონთ.***

— ეს ძალიან ცუდია.

***— იქნებ სინოდი საზოგადოების აღელვებას მოერიდა?***

— შეიძლება, რაღაც ტაქტიკური მოსაზრებით გააკეთა ეს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ცუდია, თუმცა, საზოგადოებამ უნდა იბრძოლოს მისი გაუქმებისთვის. ახალი არჩევნები რომ იქნება, ვინც არჩევნებში მონაწილებას მიიღებს და პასუხისმგებლობის გრძნობით იქნება აღჭურვილი, მას პროგრამაში უსათუოდ ეწერება, რომ გაუქმდეს ეს ბარბაროსული, ანტიქართული კანონი.

***— შემდგომში ამ კანონის გაუქმება რაიმე დაძაბულობას ხომ არ გამოიწვევს სხვა კონფესიების წარმომადგენელთა მხრიდან?***

— არა. საქართველოს ეროვნული პოლიტიკა როგორიც უნდა იყოს, ზუსტად ჯდება ადამიანის უფლებათა ყველა საერთაშორისო ნორმებში, რომელიც კოდიფიცირებადია და მოაზრებადია საერთოდ. აქ ორი აზრი არ არსებობს. მაგალითად, საქართველოს ხელისუფლების ურთიერთობა იმ რელიგიურ ორგანიზაციებთან, რომლებსაც ცენტრი აქვთ საქართველოს გარეთ, უნდა ხდებოდეს იმ ცენტრის მეშვეობით. მაგალითად, საქართველოს ხელისუფლების ურთიერთობა კათოლიკურ ეკლესიასთან, უნდა ხორციელდებოდეს ვატიკანთან ლაპარაკით.

***— სომხურ ეკლესიასთან დამოკიდებულებაში?***

— სომხებმა, ჩვეულებისამებრ, სულწასულობა გამოიჩინეს და ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს.

***— რა შეცდომა დაუშვეს?***

— როდესაც კათოლიკური ეკლესია შენდება საქართველოში (ვთქვათ, მე-12 საუკუნეში და შემდეგ აშენდა), ის, როგორც წესი, ვატიკანის ფულით შენდება. ე.ი. შემოდის ფული და შენდება ეკლესია. ამიტომ, არსებობს რაღაც უფლება, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ, ვატიკანმა, შეიძლება, რაღაც საკუთრების უფლება მოითხოვოს ამ შენობების მიმართ, მაგრამ სომხური ეკლესიები ერევნის ფულით არ არის აშენებული. ერევანი არავითარი სახელმწიფოს დედაქალაქს არ წარმოადგენდა. სომხებს სახელმწიფო არ ჰქონდათ. არც ეჩმიაძინის ფულითაა აშენებული. ის ეკლესიები აშენებულია საქართველოში მცხოვრები სომხების ფულით, რომელიც მოპოვებულია საქართველოში, ანუ ისევე ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებას, როგორც ნებისმიერი სხვა სახლი. თუ დღევანდელი სომეხი არ არის შვილი ან შვილიშვილი მაშინდელი სომხისა, ის მისი მემკვიდრე ვერ იქნება. შენც სომეხი ხარ და მეც, ამიტომ მისი მემკვიდრე ვარ, ასეთი ლოგიკა არ არსებობს.

***— ბატონო ნოდარ, ხუმრობით თუ სერიოზულად, არ ვიცი, მაგრამ, ითქვა, თურმე სომხები ქქვსას ეკლესიაზე ამბობენ, ჩვენიაო.***

— საერთოდ, ეგენი ცნობილი არიან ასეთი სიბრმავით პოლიტიკურ საკითხებში. რა თქმა უნდა, ამას სერიოზულად არავინ ღებულობს. მაგრამ ახლა საქართველოს ეკლესიასთან მათ გათანაბრებას შეიძლება, ძალიან მძიმე კონფლიქტები მოჰყვეს. ამისთვის მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება.

***— კონფლიქტები ვისა და ვის შორის შეიძლება მოხდეს?***

— ქართველ საზოგადოებასა და ამ ეკლესიების მესვეურებს შორის. სააკაშვილმა ეს იმიტომ გააკეთა, უნდა, აქ კონფლიქტი მოხდეს და ხალხის ყურადღება აფხაზეთის თემას მოსცილდეს. ეს არის მისი ჩანაფიქრი.

***— ბოლოს და ბოლოს, ხომ გამომჟღავნდება, აფხაზეთთან დაკავშირებით რაიმე მზაკვრული თუ აქვთ ჩაფიქრებული?***

— თუ იქნება ქუჩის შეტაკებები, ქართველი საზოგადოების ყურადღება აფხაზეთის საკითხს თავისთავად მოსცილდება. რუსეთის პროგრამა მინიმუმია, შექმნას შთაბეჭდილება მსოფლიოში, რომ საქართველოში აფხაზეთის აღიარება-არაღიარების თემა სერიოზულად განიხილება. ამ საკითხზე წერს აგენტი მამუკა არეშიძე, წერს სუპერაგენტი შევარდნაძე, წერს სოსო ცინცაძე, რომელიც ოფიციალურად აგენტად არ ჩანს.

***— საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის აღიარებას გაბედავს?***

— თუ ჩვენ ვიქნებით საშინელ, ტრაგიკულ მდგომარეობაში, მაშინ გაბედავს.

# ფოტოგრაფების დაკავებით ჟურნალისტებს აშინებენ

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ ყოფილ სახალხო დამცველ ნანა დევდარიანთან

*— ქალბატონო ნანა, პარლამენტის მიერ მიღებული კანონი პირველ ეტაპზე საპატრიარქომ გააპროტესტა. ითქვა, რომ ეს კანონი ბევრ პრობლემას შექმნის სამომავლოდ. თქვენ რა საფრთხეებს ხედავთ, შესაძლოა, რომ ამას შემდგომ რაიმე გართულებები მოჰყვეს?*

— ამ ცვლილებებით ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას არაფერი აკლდება. აქ აღმაშფოთებელი იყო ის პროცედურა, რომლითაც ეს კანონი მიიღეს. ასეთი გადარბენით, მე ვერ ვიხსენებ, რომ ოდესმე საქართველოს პარლამენტში რაიმე მიეღოთ. 30 ივნისს არის შეტანილი კანონპროექტი, პირველში, საგაზაფხულო სესიის დახურვის დღეს, მიიღეს პირველი მოსმენით, ორი დღის შემდეგ მოიწვიეს რიგგარეშე სესია და ხუთში უკვე დამთავრდა მოსმენა. მეორე დღეს მოაწერა პრეზიდენტმა ხელი და შვიდში ქადაგებაზე როდესაც გამოვიდა უწმინდესი, მან სრულიად ლოგიკურად ჩათვალა, რომ რამდენიმე დღე მაინც უნდა ყოფილიყო გასული, რათა პრეზიდენტს ხელი მოეწერა კანონისთვის. ხომ უნდა მისცე ამ ყველაფერს დოკუმენტის სახე, ელემენტარულად, ხომ უნდა ამობეჭდო და მიიტანო კანცელარიამდე. სირბილით მიიტანეს, ეტყობა და ვეტოს უფლების გამოყენების შანსიც კი აღარ დარჩა.

***— სწორედ ამიტომ გაუჩნდა საზოგადოებას ის კითხვები, რომლებიც დღემდე, ფაქტობრივად, პასუხგაუცემელია...***

— მე მაშინვე ეს ყველაფერი დავუკავშირე გარეგინ II-ისა და საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას. სხვას ვერაფერს დავუკავშირებ, იმიტომ რომ ყველა ვუყურებთ ამ მოვლენების დინამიკას და, რომ გინდოდეს, სხვა მიზეზს ვერ იპოვი, რასაც შეიძლება ეს დაუკავშირო. ჩვენ ვიცით, რომ გარეგინ II-მ სტატუსის შესახებ ისაუბრა. ამაზე ჩვენი პატრიარქის პასუხი იყო, რომ ნუ ავჩქარდებით, იყო ისიც ნათქვამი, რომ ახალგაზრდაა და სწრაფად ცდილობს, მიზანს მიაღწიოსო. მე, ცხადია, ვერ ვიტყვი, რაში გაიცვალა ეს ყველაფერი. არც იმას გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ეს რუსეთთან კონტაქტის აღდგენის შუამდგომლობის გამო იყო, რომ სომხეთმა რაღაც იშუამდგომლოს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია ამის გაკეთება. ამით, იცით, რა უთხრეს საზოგადოებას? ამომრჩევლების 80 პროცენტი ვის მისცემს ხმას, არ მაინტერესებსო და ამის შემდეგ ვინმე დამაჯერებს, რომ სამართლიან არჩევნებს ჩაატარებენ? როგორ, შენ თუ ერთ წელიწადში ელოდები არჩევნებს და იცი, რომ ამომრჩევლების ხმაზე ხარ დამოკიდებული, 80 პროცენტზე მეტს მოიმდურებ? ეს პირდაპირი ნიშანია იმისა, რომ არანაირ სამართლიან არჩევნებს ესენი არ ჩაატარებენ.

***— ფაქტია, რომ აქ სომხური ეკლესიის რაღაც ინტერესი დევს.***

— სომხურ ეკლესიას აქვს რიგი სადავო საკითხებისა. მრავალი წელია ამ თემაზე საუბარი გრძელდება, მაგრამ ამაზე უნდა მოილაპარაკონ საქართველოსა და სომხეთის ეკლესიის მესვეურებმა და არა პოლიტიკური ზეწოლით მოხდეს. ის, რომ რაღაც უნდა და რაღაცას გედავება, სხვა საკითხია, მაგრამ შენ შენი მთავრობა ხომ უნდა გყავდეს, რომელიც შენს ინტერესებს დაიცავს. პრობლემა ხომ ამაშია. მრევლისთვის შეურაცხმყოფელია ის, რომ ორი ეკლესიის საჭეთმპყრობელთაგან სომეხი კათოლიკოსის სიტყვამ გაჭრა და ქართველისამ — არა. ეს იყო ყველაზე შეურაცხმყოფელი.



***— სადავო საკითხების დარეგულირების პროცედურა თუ მარტივდება ამ ცვლილებებით?***

— ეს ცვლილებები ისეთს არაფერს ნიშნავს, მაგრამ, თუ გინახავთ, რომ კანონპროექტი გავიდეს პლენარულ სხდომაზე და ერთი საკომიტეტო მოსმენა მაინც არ ყოფილიყოს ამაზე ჩატარებული? უბრალოდ, ხალხმა დაინახა, რომ ამათ თუ რომელიმე ეკლესიის გადაცემა მოუნდათ, კულტურის სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილებით მისცემენ ისე, რომ არავის არაფერს ჰკითხავენ, ამის შიში გაჩნდა, თორემ, იმ დოკუმენტში ისეთი არაფერი წერია. თვითონ ეს სტატუსი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არ ნიშნავს, რომ მას გადასცემენ რაიმე ქონებას, მაგრამ ეს ეჭვები დაბადა ამ პროცედურამ. ერთ ფაქტს გეტყვით — 2003 წლის 7 იანვარს გამოვიდა მაშინდელი პრეზიდენტის ბრძანებულება ხუთი კომისიის შექმნის შესახებ, მათ შორის, ქონებრივი საკითხები, ზიანის ანაზღაურება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სხვა. როგორც კი ეს ხელისუფლება მოვიდა, ის ბრძანებულება მაშინვე გააუქმეს და არც ერთ კომისიას არ უმუშავია. თეა თუთბერიძე და მისი მეგობრები რომ გაჰკივიან, რატომ აძლევენ ბიუჯეტიდან დაფინანსებასო, კომისიები რომ არ მუშაობს, ეს საკითხი გახდა ერთპიროვნულად სააკაშვილის გადასაწყვეტი. კი არ აძლევს ბიუჯეტიდან, ჯერ ერთი, ზიანს უნაზღაურებს, რაც მიადგა წლების განმავლობაში ეკლესიას და ის ჩვენი ფულიდან აძლევს, თავისი ჯიბიდან კი არა. როცა ქვეყანაში 80 პროცენტზე მეტი მართლმადიდებელია, რა არის გასაკვირი, რომ ჩვენი გადასახადებიდან თანხა წავიდეს ჩვენი ეკლესიის საჭიროებებზე.

***— მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხს საპატრიარქო რატომღაც არ აყენებს.***

— სწორად არ აყენებს, იმიტომ რომ სახელმწიფო რელიგიის სტატუსი შეიცავს ერთ საფრთხეს — როგორც კი სახელმწიფო რელიგია ხდება, ქვეყნის მთავრობა იძენს საშუალებას, ჩაერიოს ეკლესიის საქმეებში. ამიტომაც არ სვამს ამ საკითხს საქართველოს ეკლესია და სწორადაც იქცევა. ის ჩანაწერი, რომ ეს არის უპირატესი რელიგია და ისტორიულად გადამწყვეტი როლი აქვს, ნიშნავს უკვე იმას, რომ ის არის უპირატეს მდგომარეობაში. კონსტიტუციურ შეთანხმებაში წერია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის ისტორიულად ჩამოყალიბებული საჯარო სამართლი სუბიექტი, ანუ სახელმწიფო აღიარებს, რომ ეს ისტორიულად ჩამოყალიბდა და მას არანაირი სტატუსის მინიჭება არ სჭირდება.

***— ამ თემას, ფაქტობრივად, მიება ფოტორეპორტიორების დაკავების ფაქტიც, რასაც საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა. თქვენ, როგორც ყოფილი სახალხო დამცველი, როგორ ფიქრობთ, რამდენად მყარი და დამაჯერებელია ის ბრალდებები, რომლებიც მათ მიმართ გამოითქვა?***

— დაიჭირეს ხუთი ადამიანი. ერთი, შაჰინ აივაზოვი, მაშინვე გამოუშვეს, ნათია გედენიძე გამოუშვეს და ირაკლი გედენიძის აღიარება მოგვასმენინეს, ერთი კაცი მშრალ შიმშილობაზეა და მეორე ბრალს კატეგორიულად უარყოფს. მე, მაგალითად, ჩამომიყალიბდა ასეთი შეხედულება, რომ გედენიძეს უთხრეს, ცოლს გავუშვებთ და შენ აღიარებით ჩვენებას მოგვცემო. მისცემდა, აბა, რას იზამდა, ცოლი ჰყავდა დაჭერილი. აბდალაძე არ აძლევს არც აღიარებით ჩვენებას და საერთოდ უარყოფს ყველაფერს, ასევეა ქურციკიძეც, რა რწმენა უნდა შემექმნას, მე ვთვლი, რომ ეს არის პირადი ანგარიშსწორება. მე, მაგალითად, გუშინ ვწერდი სტატიას და ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ რაღაც ისეთი არ გამეპაროს ტექსტში, რომ არ მომედავონ, შინაგანი ცენზურა გერთვება, მე ტექსტში ჩავწერე კიდევაც, თუ ფოტოგრაფია სამშობლო ღალატია, მაშინ ტექსტი ტერორისტული აქტია და ტერორისტებს ადგილზე ანადგურებენ. ეს არის კიდევ ერთი სერიოზული შიშის სინდრომი, იმიტომ რომ ჟურნალისტების დიდი ნაწილი უკვე ამ შიშის ქვეშ ექცევა.

***— ანუ ეს არ არის მხოლოდ ერთი რომელიმე პიროვნებისკენ მიმართული. ამას უფრო გლობალური ხასიათი ეძლევა...***

— მე არც პიროვნულს გამოვრიცხავ, იმიტომ რომ ხელმწიფესთან ძალიან ახლოს დგომა ყოველთვის სახიფათოა და ფოტორეპორტიორი ძალიან ახლოს დგას. შეიძლება, თავად აბდალაძესაც კი არ ახსოვს რაიმე ისეთი, რასაც შეესწრო და სააკაშვილს ახსოვს. და ყველაზე მთავარი, 26 მაისის ფოტოები — ეს ზედაპირზე დევს. ისე, სტალინის დროს, როდესაც იყო ჯგუფური ფოტო და ვინმეს გაასამართლებდნენ, მის სახეს მელნით ფერავდნენ, მაგრამ იმის გადამღები ფოტოგრაფის დაჭერა არავის მოსვლია თავში მაშინაც კი.

# უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დღეს საქართველოს ეწვევა

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კონსტანტინე გრიშჩენკო დღეს ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ეწვევა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალს და ტარას შევჩენკოს ძეგლს გვირგვინით შეამკობს.

შეხვედრებზე საქართველო-უკრაინის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები და ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების შემდგომი განვითარების პერსპექტივები განიხილება.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოსა და უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის 2011-2012 წლების კონსულტაციების გეგმას მოეწერება ხელი.

**პირველი**

# უჩა ნანუაშვილი: „პროკურატურა დროის გაჭიანურებას ცდილობს“

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ხელმძღვანელის უჩა ნანუაშვილის განცხადებით, პროკურატურის შეთავაზება ფოტორეპორტიორების სასამართლო პროცესის საჯაროობის შესახებ, ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ დროის გაჭიანურების მცდელობაა და ეს საქმის ობიექტურად წარმართვისთვის საკმარისი არ არის.



როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ნანუაშვილმა აღნიშნა, არასამთავრობოები და მედიის წარმომადგენლები, რომლებიც ფოტორეპორტიორების საქმის ობიექტურად გამოძიებას ითხოვენ, არ უნდა დაკმაყოფილდნენ ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებით და პროტესტი მანამ არ უნდა შეწყვიტონ, სანამ საქმეს გრიფი „საიდუმლო“ არ მოეხსნება.

— ამ საქმისადმი საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო, საქმეს გრიფი უნდა მოეხსნას და საზოგადოებას იმ მტკიცებულებების შესახებ მიეწოდოს ინფრომაცია, რის საფუძველზეც ფოტოგრაფების ჯაშუშობაში დადანაშაულება მოხდა, თორემ გამოქვეყნებული მასალებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ფოტორეპორტიორები უდანაშულოები არიან და მათ დაკავებას სხვა მიზანი ჰქონდა. სასამართლო პროცესის საჯაროობის გადაწყვეტილებით პროკურატურას სურს, დრო გაწელოს და შემდეგ, რა მასალებს გამოაქვეყნებს, კაცმა არ იცის. ამიტომ ეს ბრძოლო სამოქალაქო სექტორმა ახლავე უნდა მივიყვანოთ ბოლომდე და მანამ არ გავჩერდეთ, სანამ საქმეს გრიფს არ მოხსნიან, — განაცხადა „მედიანისთან“ საუბრისას ნანუაშვილმა.

**მედიანიუსი**

# „ბლუმბერგი“ დაკავებულ ფოტორეპორტიორზე ვანო მერაბიშვილის კომენტარს აქვეყნებს

ჯაშუშობის ბრალდებით ცოტა ხნის წინ დაკავებულ ზურაბ ქურციკიძეს იმ ორ რუს ჯაშუშთან ჰქონდა კავშირი, რომლებიც 2006 წელს აგენტურული საქმიანობის გამო საქართველოდან გააძევეს; „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ამის შესახებ საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა.

„ქურციკიძეს კავშირი ჰქონდა 2006 წლის ჯაშუშური სკანდალის ორ წევრთან. იგი ეჭვმიტანილია, რომ 2004 წლის შემდეგ ჰქონდა სატელეფონო და შესაძლოა, სხვა სახის კონტაქტი ამ ადამიანებთან. ჩვენ ამის მტკიცებულებებიც გაგვაჩნია“, — განაცხადა შს მინისტრმა.

აღსანიშნავია, რომ ამ სტატიის ავტორი ჰელენა ბიდველი დღეს შს მინისტრთან შეხვედრაზე იმყოფებოდა. როგორც ცნობილია, ვანო მერაბიშვილი თავისი ინიციატივით, უცხოური მედიასაშუალებების ქართველ კორესპონდენტებს შეხვდა.

ცნობისთვის: ევროპის პრესფოტოსააგენტოს ფოტორეპორტიორი ზურაბ ქურციკიძე 7 ივლისს დააკავეს. მას ბრალი ჯაშუშობაში ედება.

**მედიანიუსი**

# ვანო მერაბიშვილი ჟურნალისტებს ხვდება, უკვე შედეგია

ვანო მერაბიშვილთან ჟურნალისტების შეხვედრის დასრულებას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მედიის წარმომადგენლები ელოდებიან.

როგორც „ინტერპრენიუსს“ ჟურნალისტმა ალეკო ელისაშვილმა განუცხადა, ის ფაქტი, რომ ვანო მერაბიშვილი ჟურნალისტებს ხვდება, გარკვეულწილად უკვე შედეგია. მისი თქმით, ვანო მერაბიშვილი პარლამენტში მთავრობის საათებზე და პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლების დროსაც არ დადის.

— ყველამ კარგად ვიცით, ვანო მერაბიშვილს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. რეგულარული აქციების და ამხელა ხმაურის შედეგია ის, რომ ვანო მერაბიშვილი შეხვედრას დათანხმდა. სჯობს პირველ წყაროსაგან ინფორმაციის მიღება. უტიაშვილის ნალაპარაკებს ვანო მერაბიშვილის ნალაპარაკები სჯობს, — განაცხადა ალექსანდრე ელისაშვილმა.

დაკავებული ფოტორეპორტიორების საქმესთან დაკავშირებით, შსს-ში ვანო მერაბიშვილისა და ჟურნალისტების შეხვედრა მიმდინარეობს.

**პირველი**

# ქართველ ფოტოჟურნალისტებს უკრაინელი კოლეგები მხარდაჭერას უცხადებენ

დაკავებულ ფოტორეპორტიორებს მხარდაჭერას უკრაინელი კოლეგებიც უცხადებენ. აღნიშნულის შესახებ უკრაინული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან.

უკრაინული საზოგადოებრივი მოძრაობა „სტოპ ცენზურა“ ქართველ ფოტორეპორტიორებს თანადგომას უცხადებს.

საზოგადოებრივი მოძრაობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი დაკავებულ ქართველ ფოტორეპორტიორებს იცნობენ, როგორც უმაღლესი კლასის პროფესიონალებს, რომლებსაც არაერთხელ გაურისკავთ საკუთარი სიცოცხლე, რათა საზოგადოებას მიეღო ინფორმაცია ქართულ-რუსული ომის დროს.

საზოგადოებრივი მოძრაობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ფოტორეპორტიორების დაკავება არ უნდა ხდებოდეს საზოგადოებისთვის სერიოზული მტკიცებულებების წარდგენის გარეშე.

განცხადებაში ნათქვამია, რომ სასამართლო პროცესი უნდა იყოს ღია, დაკავებულებს კი პატიმრობა შინაპატიმრობით ან გაუსვლელობის ხელწერილით უნდა შეეცვალოთ.

„მოძრაობა „სტოპ ცენზურა“ მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, აჩვენოს მეზობელ სახელმწიფოებს კარგი მაგალითი და დემოკრატიის განვითარების გამოცხადებული კურსის ერთგული დარჩეს, რაც სამართლიანი სასამართლოსა და თავისუფალი მედიის გარეშე შეუძლებელია“, — აღნიშნულია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა ევროპის ფოტოსააგენტოს ფოტორეპორტიორი ზურაბ ქურციკიძე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ფოტორეპორტიორი ირაკლი გედენიძე და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და „ალია ჰოლდინგის“ პოტორეპორტიორი გიორგი აბდალაძე, ერთ-ერთი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის საფარქვეშ მოქმედი ორგანიზაციისათვის, სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდების ბრალდებით დააკავა.

**მედიანიუსი**

# რატომ არის ქართული თავისუფალი მედია სუსტი

გიორგი უ ილაური

ფოტოგრაფების საქმის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა გამოაჩინა ქართული მედიის უმთავრესი პრობლემები, რომელთა არსებობა გამორიცხავს შესაძლებლობას ჟურნალისტებმა მოუგონ ხელისუფლებას ან მის ცალკეულ დანაყოფებს, მათ შორის შსს-ს, რომელმაც ფოტოგრაფების სკანდალის გამო ჩატარებულ შეხვედრაზე მინისტრსა და მედიის წარმომადგენლებს შორის მოახერხა არათუ პოზიციების შენარჩუნება, არგუმენტების გამყარებაც კი. ეს კი საბოლოოდ ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ თავისუფალმა ქართულმა მედიამ მოახერხოს ჯაშუშობაში დადანაშაულებული კოლეგების დახმარება.ქართული თავისუფალი მედიის სისუსტეს განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია მმართველი რეჟიმის ნება, უფრო სწორად კი, ნების არ არსებობა — ქვეყანაში არსებობდეს რეალური მეოთხე ხელისუფლება, როგორც ძალა, რომელიც დაეხმარება სახელმწიფოს სამართლიანი, დემოკრატიული და პროგრესული საზოგადოების მშენებლობაში.

ნების არ არსებობა აიხსნება რეჟიმის შიშით. პოლიტიკური ჯგუფი, რომლის ხელისუფლებაში მოსვლა განაპირობა რევოლუციამდელი მედიის თავისუფლებამ და გავლენამ, არაა დაინტერესებული იმავე დონის ძლიერ მედიაში, რადგან განუზომლად იზრდება იმის ალბათობა, რომ მედიის ძალაუფლება ძირს გამოუთხრის ამ რეჟიმს. ამიტომაა, რომ განსხვავებით შევარდნაძის ეპოქისგან, სააკაშვილის ეპოქაში თავისუფალი მედიის მიერ გამომზეურებული კრიმინალის ან დარღვევების ფაქტები რჩება ხელისუფლების რეაგირების გარეშე, რაც სათავეშივე კლავს მედიის ეფექტურობას. უამრავი ინფორმაცია რჩება დაუმოწმებელი იმ მიზეზით, რომ ხელისუფლების სამივე შტო ფაქტიურად დახურულია მედიისთვის. გარდა ზოგადი და არაფრისმომცემი ინფორმაციისა, ყველა სხვა მონაცემი, რომელიც უშუალოდ ეხება საზოგადოების უსაფრთხოებას, მის გადასახადებს, სოციალურ თუ ადგილობრივ პოლიტიკებს, მკაცრად იზოლირებულია გრიფით „სახელმწიფო საიდუმლოება“ ან „სამეწარმეო საიდუმლოება“. დამახინჯებული და სახელისუფლებო პროპაგანდის ფარგლებშია ჩასმული სახელმწიფოს სტატისტიკა, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის რეალური სურათის დანახვას. ეს კი აფერხებს საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანეს თემებზე — ეკონომიკასა და სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული მედიის განვითარებას. ძირითადი წყაროები, საიდანაც იკვებება ქართული თავისუფალი მედია, არის ან სახელისუფლებო პროპაგანდის ნაყოფი, რომელიც აქტიურად მიეწოდება ხალხს ხელისუფლების მიერ კონტროლირებული მედიიდან, ან საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები და მონაცემები. რეალურად, ქართულ თავისუფალ მედიას არა აქვს შესაძლებლობა იმუშაოს იმ სფეროებზე, რომლებიც ყველაზე მეტად აქტუალურია საზოგადოებისთვის.

ამ აკრძალვის საკომპენსაციოდ თავისუფალ მედიას ხელისუფლებამ შესთავაზა პოლიტიკის თემა, უფრო სწორად, ის პოლიტიკა, რომლის შენარჩუნებაც ხელისუფლების ხელშია და რომელიც პერსონაჟების გარდა თითქმის არაფრით განსხვავდება ლათინოამერიკული სერიალებისგან.

არსებული ოპოზიციური პოლიტიკური ძალების 80% არ გამოხატავს მოსახლეობის ამა თუ იმ ფენების ინტერესებს და წარმოადგენს პოლიტიკური ამბიციების მქონე 5-10 კაციან ჯგუფებს, რომელთა არსენალში მხოლოდ პოპულისტური რიტორიკაა. ამგვარი პოლიტიკური ჯგუფების გაშუქება არის ქართული თავისუფალი მედიის ძირითადი თემატიკა და მედიაც ვერ ხედავს სხვა გამოსავალს გარდა ფსევდოპარტიების ფსევდოაქტიურობის გაშუქებისა, რაც საბოლოოდ ქმნის საზოგადოებაში იმის ილუზიას, რომ ქვეყანაში არის ის პოლიტიკები, რომლებიც ჩანს ეკრანზე, სადაც სააკაშვილის რეჟიმი არის ორგანიზებული და მონოლითური, ხოლო ოპოზიცია დაქსაქსული, უვიცი და არასანდო.

მედიის ბევრი წარმომადგენელი ღიად ამბობს უარს გააშუქოს საზოგადოებისთვის მართლაც პრობლემატური საკითხები, აცხადებს რა, რომ მათი პრიორიტეტი სხვაა (ანუ გასაცოდავებული, თუმცა ნაცნობი ოპოზიციის ურთიერთობათა სერიალები) და თავს იმით იმართლებს, რომ საზოგადოებას სწორედ პოლიტიკური სერიალები აინტერესებს, რომლებშიც მონაწილეობენ ძველი და ნაცნობი სახეები.

ამის პარალელურად ეს ძველი ოპოზიციური პარტიები ცდილობენ არა ქვეყნის მომავალი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოწყობის მოდელის შექმნას, არამედ ახალ-ახალი პროვოკაციული აქციების ან ფრთოსანი ფრაზების მოგონებას, რათა მოატყუონ მედია და საზოგადოების გართობით თავი დაამახსოვრონ მას მომავალი არჩევნებისთვის. ფაქტიურად, დღევანდელი ოპოზიციის მთელი პოლიტიკა კეთდება არა ხალხისთვის, არამედ მედიისთვის და შედეგად ვიღებთ დახურულ წრეს. ხელისუფლებას აწყობს, რომ საზოგადოებამ მუდამ შეადაროს ის მასზე უარეს და სუსტ ოპოზიციასთან, რაშიც იყენებს არა მარტო საკუთარ, კონტროლირებად მედიას, არამედ თავისუფალსაც, რომელიც ვერ ხედავს სხვა გზას — გარდა ჩაყოლისა. შედეგად კი თავისუფალი მედია თავისდაუნებლიედ ერთი მხრივ ეხმარება ხელისუფლებას, მეორე მხრივ სიცოცხლეს უნარჩუნებს საზოგადოების განვითარების ბალასტად ქცეულ გამხმარ ოპოზიციურ პარტიებს და მესამე მხრივ, ამუხრუჭებს და ამახინჯებს საზოგადოების შეხედულებებს პოლიტიკაზე, დემოკრატიასა და ცხოვრებაზე. მოკლედ, ამგვარი წრით ხელისუფლება ძლიერდება, ოპოზიციურ ფლანგს არ თმობს რეგრესული ოპოზიცია, ხოლო საზოგადოება არ ვითარდება. შესაბამისად საზოგადოება ინარჩუნებს ინტერესს ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ პოლიტიკურ ინტერესებზე, ამ ინტერესს აკმაყოფილებს მედია, რისთვისაც სერიალში მონაწილე პოლიტიკური პარტიები იგონებენ მეტ სისულელეს, თუმცა ინარჩუნებენ ოპოზიციურ ფლანგს, რადგან მედია მათზეა დამოკიდებული და ეს ყველაფერი საბოლოოდ შედის ხელისუფლების ინტერესში. ხელისუფლების სიძლიერე კი ნიშნავს სტატუს ქვოს შენარჩუნებას თავისუფალი მედიის მდგომარეობაში. რამდენ ხანსაც გაგრძელდება ხელისუფლების ამგვარი ტაქტიკა, იმდენი ხანი გაგრძელდება თავისუფალი მედიის ყოფნა ხელისუფლების უსუსურ მძევლად.

არსებული ვითარებიდან გამოსავალს ეძებს არაერთი

**გაგრძელება მე-15 გვერდზე**

# დემოკრატიული კანონის მიღებას დემოკრატიული ფორმების დაცვა სჭირდება

**საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის განვითარებულ პროცესებზე, კოალიცია „თავისუფალი არჩევანის“ სავარაუდო პოლიტიკურ პერსექტივაზე, ასევე, რუსული პოპულარული რადიოსადგურის „ეხო მასკვის“ მთავარი რედაქტორისა და შემოქმედებითი ჯგუფის მხრიდან საქართველოს თემატიკით დაინტერესების მიზეზებსა და ამავე რადიოს ეთერში საქართველოს პოლიტიკური ხელმ ღვანელობის გამოთქმულ განცხადებებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ზურაბ აბაში ეს ესაუბრა.**



***— ბატონო ზურაბ, საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ვითარებაში, როცა საპატრიარქო არ იყო წინააღმდეგი სხვადასხვა კონფესიებისთვის იურიდიული სტატუსის განსაზღვრის, გაუგებარია, რატომ დასჭირდა ხელისუფლებას უკვე მიღებულ კანონში საპატრიარქოს აზრის გაუთვალისწინებლობა და, ნებსით თუ ენებლიეთ, საპატრიარქოსადმი უპატივცემლობის საჯაროდ დემონსტრირება?***

— ვნებათაღელვა უსაფუძვლო ნამდვილად არ ყოფილა. დემოკრატიული კანონის მიღებას დემოკრატიული ფორმებისა და ფორმალობების დაცვა სჭირდება. საქართველოში სხვადასხვა რელიგიებისა და სარწმუნეობის პატივისცემის დიდი ტრადიციები არსებობს. ამ ტრადიციებს, როგორც ძვირფას ნივთს, გაფრთხილება სჭირდება, რასაც ჩვენს, სამწუხაროდ, ხშირად არ ვაკეთებთ. არსებითად, შინაარსობრივად ამ კანონის წინააღმდეგი არც საპატრიარქო იყო და არც - სამოქალაქო საზოგადოების უდიდესი ნაწილი. როგორც მე ვხედავ, პროტესტი და წინააღმდეგობა გამოიწვია ამ კანონის უაღრესად ნაჩქარევად მიღების ფორმამ. საკითხი რომ საპატრიარქოსთან შესაბამისად არ იყო შეთანხმებული, ეს აშკარად გამოჩნდა. გაჩნდა კითხვები □ რატომ არაფერს არ გვეკითხებიან? კანონის მიღებამდე რომ მომხდარიყო მისი საჯარო განხილვა, ეს პროცესი გაცილებით იოლად და მშვიდად ჩაივლიდა. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, როგორც სჩანს, ისიც გაუგებარია, თუ რა კავშირშია ეს კანონი ეკლესია-მონასტრების საკუთრების თემასთან. ამას ყველაფერს ახსნა-განმარტება სჭირდება. მეორე მხრივ, ხელისუფლების ამპარტავნობას ჩვენში ზოგჯერ საპასუხო უზნეობა მოჰყვება-ხოლმე. თურმე, ნუ იტყვით და ვიღაცას ბებია ჰყოლია პორტუგალიელი, ვიღასაც კი ბაბუა — ბულგარელი. და იწყება ამ სამარცხვინო „თემის“ ირგვლივ სერიოზული სჯა-ბაასი. ჩვენს მედიაში ისეთსაც მოისმენ ან წაიკითხავ, რომ საკუთარ თვალებსა და ყურებს არ უჯერებ. ამას აფრიკის ჩამორჩენილი ტომებიც აღარ აკეთებენ. მიხვდნენ, რომ ერთი ადამიანი მეორეს ეთნიკური ნიშნით კი არ სჯობს, არამედ განათლებით, ზრდილობით, შრომისმოყვარეობით და ა.შ. 21-ე საუკუნეში ამაზე საუბარი უაღრესად უხერხული მეჩვენება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ კანონის მიღებით ჩვენი ეკლესია კი არ დასუსტდება, პირიქით გაძლიერდება. ეკლესია სუსტდება მაშინ, როდესაც მრევლი ქრისტიანობის მთავარ პრინციპებს ივიწყებს და სიყვარულის მაგივრად სიძულვილის გზას ადგება.

***— წმინდა სინოდის სხდომის შემდეგ გაკეთებული კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, მხარეებს შორის კონსულტაციებისა და დიალოგის შედეგად კონსენსუსური გადაწყვეტილება იქნა მიღებული. კონსენსუსის დეტალებსაც რომ თავი დავანებოთ, უნებლიედ ჩნდება კითხვა — თუ კონსენსუსის მოძებნა შესაძლებელი იყო, რატომ არ შეიძლებოდა გახმაურებულ კანონპროექტზე პარლამენტსა და საპატრიაქროს კანონის მიღებამდე ემსჯელა?***

— ჩვენში პრობლემები ხშირად “სიპ ქვაზე“, ცარიელ ადგილას იქმნება-ხოლმე. ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია. ამ შემთხვევაშიც მგონი ასეა. თქვენი კითხვა პასუხსაც მოიცავს. მართლაც, კონსენსუსის მიღწევა, რა თქმა უნდა, კანონის მიღებამდე აჯობებდა, თუმცა კარგია, რომ საბოლოოდ თითქოს ვითარება გაირკვა. სამწუხაროდ, რელიგიურ და ეთნიკურ საკითხებში სიჩქარე კვალს ყოველთვის ტოვებს ადამიანების ცნობიერებასა და ურთიერთობებში. ახალს ვერაფერს ვიტყვი: მეტი სიფრთხილე და გონიერება მართებს ყველას, ვინც ამ პროცესში მონაწილეობს.

***— ბატონო ზურაბ, „ექვსიანმა“ კოალიცია ჩამოაყალიბა და თავისი პოლიტიკური გეგმებიც განსაზღვრა, რომლის არსი ასეთია — „არჩევნებს მილიონი ამომრჩეველი იგებს და არა - მილიონი ლარი“. თქვენი აზრით, რა შანსები აქვს კოალიციას პოლიტიკურ ავანგარდად იქცეს და საზოგადოებამ ხელისუფლების ალტერნატივად აღიქვას?***

— ეს საკითხი წინა თემასთან პირდაპირ კავშირშია, რადგან საქართველოში საქმე გვაქვს დაუბალანსებელ პოლიტიკურ სისტემასთან. ასეთ სისტემაში კი, ოპოზიციის აზრი არავის აინტერესებს. 6-იანის გაერთიანება პოლიტიკურ კოალიციად აბსოლუტურად სწორ და მისასალმებელ გადაწყვეტილებად მესახება. მოვისმინე ლიდერთა გამოსვლები 8 ივლისს მათი მხარდამჭერების შეხვედრაზე და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. სწორად იყო შერჩეული პრობლემები, საგარეო ორიენტირები, ტონალობა. ეს იყო თანამედროვე პოლიტიკოსების გააზრებული გამოსვლები, პოპულისტური კონიუქტურისა და ზედმეტი აჟიტირების გარეშე. სიტყვა თავისუფლებასა და დემოკრატიასთან ერთად, ხაზგასმით ფიგურირებდა პასუხისმგებლობის ცნება, რის გარეშეც დემოკრატიული საზოგადოების შექმნა შეუძლებელია. სწორედ მეტი პასუხისმგებლობა გვჭირდება ამჟამად ყველას. როგორც სჩანს, ამ გუნდის წევრებმა გვერდზე გადადეს პირადი ამბიციებიც და საერთო ინტერესებზე უფრო მეტს ფიქრობენ. ესეც დასაფასებელია.ჩემი დაკვირვებით, საზოგადოება ნელ-ნელა რწმუნდება, რომ მხოლოდ სამართლიანი არჩევნებია ქვეყანაში რეალური ცვლილებების გზა. უიმედო პესიმისტებს კი, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ საქართველოში ასეთი არჩევნები არასდროს ჩატარდება, მინდა ვკითხო: ვინ წარმოიდგენდა 1986 წელს, რომ სულ რაღაც 5 წელიწადში ჩატარდებოდა ჩვენში დემოკრატიული არჩევნები და “კომუნისტური პარტია“, თავისი 3-მილიონიანი არმიით, სუკ-ითა და მთელი ნომენკლატურით დამარცხდებოდა? როდესაც ისტორიული ვითარება მომწიფდება, ცვლილებების შეჩერება არავის შეუძლია. ეს ისტორიული აქსიომაა. ადამიანმა რომ მოიდომა ცაში აფრინდა, მერე კოსმოსში და მთვარეზე იმოგზაურა. ჩვენს ამ პატარა ქვეყანაში ნორმალური არჩევნები როგორ ვერ უნდა ჩავატაროთ?

***— ბატონო ზურაბ, „ეხო მასკვის“ მთავარმა რედაქტორმა, ალექსეი ვენედიქტოვმა თავის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად საქართველოში ერთი კვირა დაჰყო და ქვეყნის პირველ პირებთან საინტერესო ინტერვიუები ჩაწერა, რომლის მოსმენის საშუალება „ეხო მასკვის“ მსმენელს უკვე ჰქონდა. როგორ შეაფასებდით რუსეთში პოპულარული რადიოსადგურის მხრიდან საქართველოსადმი საკმაოდ დიდი დოზით დაინტერესებას და რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე იმ მასალებმა, რომლებიც „ეხო მასკვის“ საიტზე ახლაც დევს?***

— გულწრფელად მივესალმები „ეხო მასკვის“ საქართველოთი დაინტერესებას. ეს ის რადიოსადგურია, რომელსაც თვალს ადევნებს რუსული საზოგადოების გონიერი ნაწილი, არა მხოლოდ მოსკოვსა და რუსეთში, არამედ - უცხოეთშიც. მე თითქმის ყველა ინტერვიუს გავეცანი. სჩანს, რომ რუსეთში საქართველოს მიმართ ინტერესი კვლავ არსებობს და ამ გადაცემებმაც ქართულ-რუსული ურთიერთობების თემის აქტუალიზაცია თავისთავად მოახდინეს. პირადად კარგად ვიცნობ ბატონ ვენედიქტოვს, იგი მართლაც მაღალი დონის პროფესიონალია. „ეხო მასკვისაც“ ძალიან ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია იმისათვის, რათა ყოფილიყო ისეთი, როგორიც დღეს არის.რაც შეეხება ინტერვიუებს, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვინაიდან საუბარი წარიმართა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებთან. ასე რომ, თავისთავად ეს მასალა საკმაოდ საინტერესოა და სხვადასხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. საერთო ჯამში, ალბათ მსმელელი დარწმუნდებოდა იმაში, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და რაღაც უნდა შეიცვალოს. დაკვირვებული და გონიერი მსმელელი იმასაც მიხვდებოდა, რომ საქართველოში სურთ ვითარების უკეთესობისკენ ნელ-ნელა შეტრიალება.

***— მოსკოვში გამგზავრებამდე ბატონმა ალექსეი ვენედიქტოვმა ქართველი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა და ჩვენს კითხვაზე — თუ როგორ ესახება მას ქართულ-რუსული ურთიერთოების პერსპექტივა, ასეთი პასუხი გაგვცა — „ამ საკითხში ოპტიმიზმის რეალური საფუძვლები იმის გამო არ არსებოს, რომ ქართულ და რუსულ ელიტებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხში დიამეტრალურად განხვავებული და შეურიგებელი პოზიციები აქვთ. უახლოეს მომავალში ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესებას არ ველოდები“. ვითარებაში, რომელშიც ვართ, თქვენ როგორ გესახებათ ქართულ-რუსული ურთიერთობების მკვდარი წერტილიდან დაძვრა, რომლის აუცილებლობაზე ასევე ბევრს საუბრობენ საერთაშორისო ორგანიზციები?***

— არა მგონია, რომ საქმე მხოლოდ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხში პოზიციათა სხვაობაში იყოს. პრობლემა ისიც არის, რომ მოსკოვი კატეგორიულად ამბობს უარს საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგზე და ამ პოზიციას არ ცვლის. ასევე ის მოვლენები, რომლებიც ჩვენში პერიოდულად ხდება ხოლმე და რუსეთის მიერ წაქეზებულად თუ ორგანიზებულად აღიქმება, უძლიერებს ჩვენს ხელისუფლება რწმენას, რომ მოსკოვი მიზნად ისახავს არა დიალოგს, არამედ საქართველოში არაკანონიერი გზით პოლიტიკური ვითარების შეცვლას. არებობს სერიოზული ეჭვები და გამაღიზიანებლები, ამიტომ ასეთ სიტუაციაში მართლაც ძნელია ელოდო უკეთესობიკენ ვითარების შემოტრიალებას. ეს თავისთავად ძალიან ცუდია და დიდი რისკების მატარებელი. რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას უმაღლეს დონეზე პოლიტიკური ნება სჭირდება. რაც არ უნდა მონდომონ სამოქალაქო სექტორმა, კულტურის მოღვაწეებმა, ექსპერტებმა, ვითარება მაინც თვისობრივად არ შეიცვლება. ნაბიჯები უნდა გადაიდგას ოფოციალური მოსკოვისა და ოფიციალური თბილისის მხრიდან. შეიძლება ეს არ იყოს უმაღლესი პირების კონტაქტები, მაგრამ, ჩემი აზრით, მისაღებია უფრო დაბალ დონეზე დიალოგის აღდგენაც. ამ თვალსაზრისით სწორ გზავნილად მესახება საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრება, რომ “ჩვენ ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს მზადა ვართ დავიწყოთ რუსეთთან საუბარი“.

**ინტერპრესნიუსი**

# სამთავისის განახლებაზე მთამსვლელები მუშაობენ

ეკა ირემაშვილი

სამთავისის ტაძრის განახლებაზე მთამსვლელები მუშაობენ. ამ ეტაპზე ტაძარი მცენარეული საფარისგან გათავისუფლებულია. ერთი თვის განმავლობაში პროფესიონალი მთამსვლელები თოკებითა და სპეციალური აღჭურვის მეშვეობით, დაკიდებულ მდგომარეობაში ძეგლს საგანგებო რეჟიმში ასუფთავებდნენ. შედეგად მოყვითალო, მონაცრისფრო, მომწვანო კვადრებით მოპირკეთებულ ტაძარს ბუნებრივი ფერი დაუბრუნდა. სრულად გაწმენდილია ტაძრის გუმბათი და ყელი. რესტავრატორები და მთამსვლელები ამჯერად 37 მეტრ სიმაღლეზე ტაძრის გადახურვას ტრადიციული კრამიტით ახორციელებენ. სამუშაოს საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი აფინანსებს.

სამთავისის ტაძარი ქართული მართლმადიდებლური ჯვარგუმბათოვანი ტაძარია, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთავისში დგას. გადმოცემის მიხედვით, სამთავისის ტაძარი თბილისის სიონის, წილკნის, ერთაწმინდისა და მეტეხის ტაძრებთან ერთად აუგია ვახტანგ გორგასალს. ქართლ-იმერეთის სინოდის კანტორის საქმეების მიხედვით სამთავისის ძველი ეკლესიის აშენების თარიღია 472 წელი. იმდროინდელი ნაგებობებიდან აღარაფერია შემორჩენილი. X-XI საუკუნეებში სამთავისში აშენდა შედარებით მცირე ზომის ტაძარი. ამ ტაძრის შესახებ წერილობით წყაროებში მნიშვნელოვანი ცნობა არ არის შემონახული. სამთავისის ტაძრის აგების ზუსტ თარიღსა და ამშენებლის ვინაობას გვაუწყებს დასავლეთის კარის ზემოთ, აყვავებული ჯვრის რელიეფური გამოსახულების თავზე ამოკვეთილი სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ამ წარწერებით ირკვევა, რომ სამთავისის ტაძარი აუგია სამთავნელ ეპისკოპოსს ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაელს 1030 წელს. მასვე აუშენებია კათედრალისათვის განკუთვნილი მარანი და საწნახელი. გარდა XI საუკუნის წარწერებისა, სამთავისის ტაძრის ფასადებზე შემორჩენილია შედარებით გვიანდელი ხანის ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ტაძრის ისტორიაზე. XV საუკუნეში ძეგლი ძლიერ დაზიანდა — ჩამოინგრა გუმბათი, დასავლეთის კარი, თაღები, გუმბათქვეშა პილონი და მთლიანად ფასადები. მისი „მეორედ“ აშენება ადგილობრივი ფეოდალების ამილახვრების აღზევების შემდეგ გახდა შესაძლებელი. XIX საუკუნეში ძეგლზე სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა არქიტექტურულმა რიპარდმა.

სამთავისის ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა და გეგმით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ოდნავ წაგრძელებულ სწორკუთხედში ჩაწერილ ჯვარს წარმოადგენს. ტაძარი მოპირკეთებულია სუფთად გათლილი მოყვითალო და მონაცისფრო-მომწვანო კვადრებით. ტაძარს ორი შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. ტაძრის მოხატულობა გვიანდელია. იგი რესტავრირებულია სპეციალური სამეცნიერო სარესტავრაციო სახელოსნოს მიერ. ტაძრის სამრეკლო გალავნის შუაწელზე მდებარეობს, სამსართულიანი ნაგებობაა და თარიღდება XVIII საუკუნის I ნახევრით.

2007 წლის 24 ოქტომბრიდან სამთავისის კომპლექსი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით სამთავისის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის ახალი ეტაპი დაიწყება. წლის ბოლომდე ძეგლის ტერიტორიაზე მოეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურა, ბანერები, საინფორმაციო დაფები და მოსასვენებელი ადგილები. განახლებული ძეგლის მომნახველები უკეთ გაეცნობიან როგორც ძეგლის საუკუნოვან ისტორიას, ასევე უკანასკნელ წლების აღმოჩენებსა და მონაპოვარს. სამთავისის კომპლექსში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჯერ კიდევ 2006 წელს დაიწყო. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად სწორედ ხუთი წლის წინ გამოვლინდა სამთავისის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის სამხრეთით და ზომებით მასზე მეტად მასშტაბური VII-VIII საუკუნეებით დათარიღებული უძველესი სამნავიანი ბაზილიკა. ახლად აღმოჩენილი და მეთოდურად, სრული დაცვით დაკონსერვებული ძეგლი განახლებულ და პირვანდელი სახით აღდგენილ სამრეკლოსთან ერთად, ახლა უკვე კომპლექსის ერთ-ერთ მთავარ სანახაობას წარმოადგენს.

ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი და არაერთხელ შესწავლილი ტაძარი მეცნიერების მიერ ამ ეტაპზე ჯერ კიდევ კვლევის საგანია. მთავარი ტაძრის სრული შესწავლა, ძეგლის რეაბილიტაციის პარალელურად, უახლოეს მომავალში კვლავ გაგრძელდება.

# რობერტ სტურუა შექსპირზე მოხსენებას წაიკითხავს

ეკა ირემაშვილი



შოთა რუსთაველის თეატრი, 132-ე თეატრალური სეზონის დახურვის შემდეგ, უნგრეთში გაემგზავრა, სადაც ქალაქ დიულაში უილიამ შექსპირის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ტარდება.

რუსთაველის თეატრი ამ ფესტივალზე უკვე მეორედ ჩადის და წარმოადგენს რობერტ სტურუას სპექტაკლს „შობის მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ“. ეს სპექტაკლი რეჟისორმა რუსთაველის თეატრში 11 წლის წინ დადგა. 2000 წელს დადგმული სპექტაკლი სტურუამ ქრისტეს შობიდან 2000 წლისთავს მიუძღვნა. თავდაპირველად სპექტაკლში უფროსი თაობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ 2005 წლიდან, როცა თეატრში რეორგანიზაცია დასრულდა, ისინი ახალგაზრდებმა ჩაანაცვლეს. სპექტაკლში მონაწილეობენ ლევან ხურცია (ჰერცოგი ორსინო), მალხაზ ქვრივიშვილი (კურიო), ვანო გოგიტიძე (ვალენტინე), ნინო კასრაძე, ნინო თარხან-მოურავი (ვიოლა), თემიკო ჭიჭინაძე (კაპიტანი), დათო პაპუაშვილი, ნიკა ქაცარიძე (სერ ტობი), ნანუკა ხუსკივაძე, ნანა ლორთქიფანიძე (მარია), ზურა შარია, გოგა ბარბაქაძე (სერ ენდრიუ), გოგა გველესიანი (მასხარა), ზაზა პაპუაშვილი (მალვოლიო), ლელა ალიბეგაშვილი, მარინა კახიანი (ოლივია), ზუკა პაპუაშვილი (ანტონიო), დათუნა გოცირიძე (სებასტიანო), გელა ოთარაშვილი, ტრისტან სარალიძე (ჯარისკაცები). სახარების სცენაში მონაწილეობენ: ეკა მინდიაშვილი, სოსო აბრამიშვილი, ლევან ხურცია, თენგიზ გიორგაძე, გოგა გველესიანი, ირაკლი მაჭარაშვილი, გელა ლეჟავა, მალხაზ ქვრივიშვილი, პაატა ბარათაშვილი, ვანო გოგიტიძე. სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება, რა თქმა უნდა, გია ყანჩელს ეკუთვნის.

რუსთაველის თეატრის დასი უკვე უნგრეთშია. შექსპირის ფესტივალზე პირველად ჩასვლისას რუსთაველის თეატრმა სტურუას მიერ დადგმული „ჰამლეტი“ ზარადგინა, ამჯერად კი არჩევანი „შობის მეთორმეტე ღამეზე“ შეჩერდა. ისინი სპექტაკლს შექსპირის ფესტივალზე 15 ივლისს გაითამაშებენ, მანამდე კი 14 ივლისს გაიმართება საგანგებო კონფერენცია, რომელიც მთლიანად შექსპირს მიეძღვნება. რეჟისორი რობერტ სტურუა ამ კონფერენციაზე მოხსენებას წაიკითხავს. რუსთაველის თეატრის დასი საქართველოში 17 ივლისს დაბრუნდება.

# რიყის პარკში გასართობი პროექტი დაიწყო

ეკა ირემაშვილი

რიყის პარკში პროექტის „ოთხი შაბათ-კვირა“ განხორციელება დაიწყო. პროექტს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“ აფინანსებს. „ექსკლუზივ გრუპი“ კი ივლისის ყოველ შაბათ-კვირას ახლად გახსნილ რიყის პარკში გასართობ ღონისძიებებს ჩაატარებს.

პროექტის პრეზენტაციაზე შედგა მულტიპლიკაციური ფილმის „მსოფლიო ხალხთა ზღაპრების“ ექსკლუზიური სახალხო ჩვენება. ბავშვებისთვის „მულტი-პულტის“ მსახიობებმა დადგეს შოუ-პროგრამა და მოაწყვეს საბავშვო სიმღერების კარაოკე. ღონისძიებაში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

ღონისძიება „მულტი-პულტის“ მსახიობების საბავშვო შოუ-პროგრამით გაიხსნა. საღამო საბავშვო კარაოკეთი გაგრძელდა. ყველაზე კარგი შემსრულებლები სხვადასხვა სახალისო პრიზითა და საჩუქრით დაჯილდოვდნენ. მულტიპლიკაციური ფილმების დისკის „მსოფლიო ხალხთა ზღაპრების“ ავტორები მიესალმნენ საზოგადოებას, რის შემდეგ დიდ ეკრანზე, მულტფილმების ექსკლუზიური სახალხო ჩვენება მოეწყო. პროექტი „ოთხი შაბათ-კვირა“ 31 ივლისამდე გაგრძელდება. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში რიყის პარკში ყოველ უქმეებზე, 20:00 საათიდან სხვადასხვა სახალისო შოუ-პროგრამა, კარაოკე შეჯიბრებები და ქართველი ავტორების მულტიპლიკაციური ფილმების სახალხო ჩვენებები მოეწყობა. პროექტი მიზნად ისახავს ქართველი ავტორების შემოქმედების პოპულარიზაციასა და გასართობ-შემეცნებით ღონისძიებებში ბავშვების აქტიურ ჩართვას. „ოთხი შაბათ-კვირა“ არის ერთ-ერთი იმ პროექტთაგანი, რომელმაც „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ მიერ ივნისში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა.

უკვე ცნობილია, რომ რიყის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში რიყის პარკის განაშენიანება დასრულდა, რომელსაც საქართველოს რუკის ფორმა აქვს და საფეხმავლო ბილიკებით თითოეულ რეგიონს აერთიანებს. პარკი თბილისის ისტორიულ უბანში 10 ჰექტარზეა გაშენებული. რიყის პარკის მიმდებარედ, მუსიკისა და დრამის თეატრისა და საგამოფენო დარბაზის მშენებლობას უკვე ჩაეყარა საფუძველი. აღნიშნული ობიექტის მშენებლობა ორ წელიწადში

გაგრძელება მე-14 გვერდზე

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ეროვნული არქივი 20.500 მოქალაქეს მოემსახურა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური და ადგილობრივი არქივები 2011 წლის 6 თვის განმავლობაში 20 500-ზე მეტ მოქალაქეს მოემსახურნენ.

ამ პერიოდში გაცემულია სოციალურ-უფლებრივი ხასიათის 20 286 ცნობა. მოქალაქეები ძირითადად ითხოვდნენ ცნობებს საეკლესიო მეტრიკული ჩანაწერების, საკომლო ჩანაწერების მიხედვით, ასევე რეპრესიებისა და რეაბილიტაციის შესახებ დოკუმენტებს.

ცენტრალური არქივების მკვლევართა დარბაზების მომსახურებით 307-მა მკვლევარმა ისარგებლა, მათ შორის 19 უცხოელი იყო. კვლევის თემები იყო — „საქართველოსა და ირანს შორის არსებული ურთიერთობები სეფიანთა პერიოდში“, „1903-1914 ამიერკავკასიაში ცარისტული პოლიტიკის ევოლუცია სომხურ საკითხებთან დაკავშირებით“, „რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობები 1808-1921 წლებში“, „ძმები ნობელებისა და შვედური კომპანიების მოღვაწეობა საქართველოსა და აზერბაიჯანში“, „დაღესტანი რევოლუციამდელ ფოტოობიექტივში“.

## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით. 1 კვ.მ.-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების (ნევრიტის), ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სახსრების ანთების, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტისა და სხვა დაავადებების მკურნალობა უმაღლესი შედეგებით. მიღება ჩაწერით. გადახდა ყოველ პროცედურაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 595-45-50-35 რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 8790-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

# ჯანო ანანიძე: „ქართველიც და აჭარელიც ერთნაირად ვარ“

ანანიძეს პრესასთან წელიწადნახევარია არ უსაუბრია და ამიტომ მისი ვრცელი ინტერვიუს გამოჩენა მედიაში, ცოტა არ იყოს, გასაკვირიც არის. ჟურნალისტმა რუმინულ „ვასლუისთან“ (0:3) ამხანაგური მატჩის შემდეგ მიაკითხა და დაღლილი ჯანო სავარძელში რომ ჩაჯდა, ეს სიტყვები თქვა — „ოჰ, რა კარგია“ და ჟურნალისტმაც კონტრკითხვა მიაგება.

***— ველინგტონი და იბსონი მატჩის შემდეგ ველოსიპედებზე სასეირნოდ გაეშურნენ.***

— მართლა? არ დამინახავს. სიმართლე გითხრათ, მსგავსი სურვილი ახლა ნამდვილად არ მაქვს.

***— მაშინ „ვასლუისთან“ მატჩზე ვისაუბროთ.***

— იქნებ არ არის საჭირო.

***— მაშინ რაზე? დღეს მარჯვენა ფლანგზე ითამაშეთ, ეს თქვენი ადგილია?***

— როგორ გითხრათ, ჩემი ნამდვილად არ არის, მიუჩვეველი ვარ. უკეთესია თუ მოედნის ცენტრში ან მარცხნივ ვითამაშებ. თუმცა, ყველაფერი ხდება — დამაყენეს მარჯვნივ? ესე იგი, ასე იყო საჭირო.

***— თქვენ ხომ მემარჯვენე ხართ?***

— დიახ.

***— ამიტომ იცვამთ პირველად ბუცს მარჯვენა ფეხზე?***

— ნამდვილად. ჩვევა მაქვს ასეთი.

***— მწვრთნელებმა თქვეს, რომ „ვასლუისთან“ მატჩი ფიზიკური მომზადებისთვის უფრო იყო ორიენტირებული, ვიდრე — შეთამაშებისთვის.***

— თამაში ყოველთვის თამაშია. „ფიზიკა“ ადრე გვქონდა. დავრბოდით, დავრბოდით, დავრბოდით და შემდეგ ბურთით ვვარჯიშობდით. რთულია — ყველაფერი არ გამოგდის ხანდახან.

***— გინდათ თქვათ, რომ ავსტრიულ შეკრებაზე დატვირთვა დიდი იყო?***

— არა. ბოლო დღეებში ყველაფერი ნორმალურად დაიწყო. რუმინელებთან მატჩის წინ ორი ვარჯიში ბურთთან გვქონდა. მანამდე დილით დავრბოდით, საღამოს „კვადრატები“ გვქონდა. 2-3 დღე რთული გამოვიდა, ახლა უკვე აღარ მიჭირს.

***— თუ ასეთი დატვირთვის ქვეშ თამაშობდით, მწვრთნელები წაგების გამო საყვედურს არ გეტყოდნენ.***

— ეს ხომ ამხანაგური მატჩი იყო. ჩემპიონატში რომ 0:3 წაგვეგო, სხვა საქმეა. თუმცა, წაგება ყოველთვის გულდასაწყვეტია.

**საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ ჯანო ანანიძეს მოსკოვის „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობაში დებიუტი 16 წლის ასაკში ჰქონდა.**



***— მით უფრო, რომ რუმინელებს დასასვენებლად მთელი თვე ჰქონდათ, თქვენ კი მხოლოდ ერთი კვირა.***

— ალბათ ისინიც დასვენების დროს მთლად უსაქმოდ არ იყვნენ და ფორმას ინარჩუნებდნენ.

***— თქვენ თუ ცდილობთ დასვენების დროს ფორმის შენარჩუნებას?***

— რა თქმა უნდა. ერთკვირიანი დასვენების დროს დავრბოდი და პულსომეტრით ვვარჯიშობდი. სხვები უფრო დატვირთულები იყვნენ. ვარჯიშობდნენ ისე, როგორც ჰქონდათ მითითებული.

***— როცა უფრო ხანგრძლივი დასვენება გაქვთ, მაშინაც გიწევთ ასეთი ვარჯიშები?***

— დიახ. 25 დღეში მინიმუმ 10 ვარჯიში მაინც გვაქვს. პირველი კვირა ვისვენებთ, შემდეგ აღვიდგენთ ფორმას.

***— ქართულ ღვინოს როდის სვამთ?***

— მე საერთოდ არ ვსვამ, ამიტომ, ამის პრობლემა არ მაქვს.

***— არ გეჩვენებათ, რომ ბოლო ნახევარი წელი ისეთივე კაშკაშა არ გაქვთ, როგორც მანამდე და ცოტა მოუკელით ზრდას?***

— არანაირად. საქმე ის არის, რომ როდესაც რუსეთის პრემიერლიგაში თამაში დავიწყე, კარგად არ მიცნობდნენ. მეორე-მესამე სეზონი კი უკვე სხვანაირად ვითარდება. მეტოქესაც უკეთესად ჰყავხარ შესწავლილი და ამიტომაც არის, რომ ყველა მეტს მოელის. ზრდა არ შემიწყვეტია, მაგრამ მომატებით ნამდვილად უნდა მოვუმატო.

***— შესაძლოა, ასე არის, მაგრამ ძირითად შემადგენლობაშიც უფრო იშვიათად ჩანხართ.***

— კონკურენცია გუნდში ახლა უფრო მკაცრია, ვიდრე 2 წლის წინ იყო. ამასთან, არ დაგავიწყდეთ ლეგიონერების ლიმიტი. შევეცდები, ხშირად გამოჩნდე ძირითადში, იქ ყველაფერი გამოჩნდება.

***— ამ მხრივ ერთი ხელისშემშლელი პირობა მოგეხსნათ — გუნდიდან წავიდა ალექსი. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ძირითადი შემადგენლობის კარი თქვენთვის უფრო გაიღო?***

— ხელისშემშლელი?

***— გუნდისთვის არ ყოფილა ხელისშემშლელი, ის ხომ პირადად თქვენი კონკურენტი იყო. ასე არ არის?***

— ჩემთვის მაკგიდიც კონკურენტია, პაველ იაკოვლევიც და დიმა კომბაროვიც. 2 წლის წინ არ იყო ასეთი მძაფრი კონკურენცია. რუსული პასპორტი რომ მქონდეს, ალბათ მეტი შანსი მექნებოდა, მაგრამ რაც არის, ის არის.

***— ალექსისგან ისწავლეთ რამე, თუ ფეხბურთის სხვადასხვა ხედვა გაქვთ და მოედანზე სხვანაირად აზროვნებთ?***

— ვფიქრობ, ორი ერთნაირი ფეხბურთელი არ არსებობს და კიდევ, როგორ უნდა მასწავლოს? ავიღოთ, მაგალითად, მესი. გამოდის, მის თამაშს ტელევიზორში თუ უყურებ, ისე ითამაშებ, როგორც ის? ჩემ თავში სხვა აზროვნებაა, ალექსის თავში — სხვა. ამასთან არც ცდილობდა რაიმეს სწავლას.

***— შესაძლოა, მან თვითონ გადაიღო თქვენგან რაიმე ფინტი?***

— (იცინის) არა, ვერ შეძლებდა.

***— როდესაც ისე ვერ აკეთებთ, როგორც საჭიროა, ვინ გიყვირით?***

— ვალერი გეორგიევიჩი (კარპინი, სპარტაკის მთავარი მწვრთნელი).

***— თანაგუნდელებზე გეკითხებით.***

— მოედანზე ასაკი არანაირ როლს არ თამაშობს. ყველას შეუძლია ერთმანეთს დაუყვიროს, თუ ამას საქმე მოითხოვს. მოედნის გარეთ კი არავინ ყვირის — მხოლოდ მითითება.

***— ნუთუ დიკანსაც (სპარტაკის მეკარე) შეგიძლიათ დაუყვიროთ?***

— შემიძლია ხმამაღლა ვუთხრა, თუ სიტუაციამ მოითხოვა, მაგრამ დაყვირება გამორიცხულია. ის თითქმის მამაჩემის ხნის არის.

***— „სპარტაკში“ თამაშობდა ერთი ასეთი ფეხბურთელი — იგორ ნეტო. გსმენიათ მის შესახებ?***

— დიახ. სტადიონსაც დაარქვეს მისი სახელი.

***— მას შეეძლო ნებისმიერ მომენტში, ნებისმიერი თანაგუნდელისთვის ეყვირა. მისი ეშინოდათ და პატივს სცემდნენ, როგორც გუნდის ლიდერს. ტიხონოვიც, როდესაც მოედანზეა, ასე იქცევა. მეთანხმებით?***

— შესაძლოა.

***— და როდესაც ის არ არის მოედანზე, ვის შეუძლია ასე მოიქცეს?***

— შეშუკოვია ასეთი. მაგალითად, დღეს ვარჯიშზე იაკოვლევს დაუყვირა. შტრანცლს შეეძლო, როდესაც თამაშობდა. მეტი ალბათ, არავის. დანარჩენები მითითებით შემოიფარგლებიან.

***— ცნობილ რევაზ ჩელებაძეს, რომელიც თქვენ გმეურვეობდათ კარიერის დასაწყისში, ხშირად ეხმიანებით?***

— კვირაში რამდენჯერმე ვსაუბრობთ ტელეფონით. როდესაც მოსკოვში ჩამოდის, ჩემს სახლში ცხოვრობს.

***— მის რჩევებს ყურს უგდებთ?***

— ახლა თავად იძლევა ძალიან ცოტა რჩევას. როდესაც მთლად ბავშვი ვიყავი, სხვა საქმეა. ჩელებაძე ჩემთან ერთად ცხოვრობდა კიევში და გამუდმებით მაძლევდა რჩევებს. ის ძალიან დამეხმარა. ვფიქრობ, ახლა „სპარტაკში“ არ ვიქნებოდი, თავის დროზე მისი რჩევით კიევის „დინამოში“ რომ არ აღმოვჩენილიყავი.

***— პრესასთან საუბრის პაუზა ვისი რჩევა იყო?***

— ჩემთან არავინ მოსულა და არ უთქვამს ჩუმად ვყოფილიყავი. ვგრძნობდი, რომ ეს კოლექტიური აზრი იყო. თანაც ჩემს მოქალაქეობასთან დაკავშირებით ისეთი სიტუაცია იყო... ამიტომ არ ვსაუბრობდი პრესასთან, არც საქართველოში. ახლა ყველაფერი ჩაწყნარდა და თუ კლუბის ხელმძღვანელობა ნებას დამრთავს, მზად ვარ სასაუბროდ.

***— ბევრი ფიქრობდა, რომ თქვენ გაბრაზებული იყავით გამუდმებულ შეკითხვებზე პოლიტიკასთან და პოტენციური რუსული პასპორტის აღების თაობაზე.***

— მხოლოდ ერთხელ მოხდა ასეთი რამ. დამირეკეს საქართველოდან, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან და მკითხეს, რატომ არ ჩავდივარ ნაკრებში თუ რაღაც ამგვარი. მაშინვე ვუპასუხე — გეტყვით ყველაფერს, მხოლოდ არ ჩაწეროთ, რადგან არ მინდა და არ შემიძლია ინტერვიუს მოცემა. 5 წუთის შემდეგ მშობლები მირეკავენ და აღმოჩნდა, რომ ჩემი საუბარი უახლოეს საინფორმაციო გამოშვებაში გაუშვიათ. მაშინ მივედი კლუბის ხელმძღვანელობასთან და ვუთხარი, რომ პრესასთან საუბრისთვის მზად არ ვიყავი.

***— ცნობილი ფეხბურთელების ტალღა — ქინქლაძე, ძმები არველაძეები, კალაძე, კობიაშვილი, წავიდა, ან დასასრულისკენ არის, ხოლო ნაკრები უკეთ ათამაშდა. რა არის ამის მიზეზი, ხომ არ იცით?***

— მე საერთოდ არ მახსოვს, საქართველოს ნაკრები ასე კარგად როდის თამაშობდა. მგონი პირველად ხდება. ჩემი აზრით, საქმე მწვრთნელშია. მოვიდა სპეციალისტი, რომელსაც უნდა მუშაობა და ამტკიცებს ამას — თემურ ქეცბაია. უცხოელ მწვრთნელებს, მათი პატივისცემის მიუხედავად, უფრო საკონტრაქტო თანხა აინტერესებდათ. ბოსკამპმა, შუშაკმა, ჟირესმა, კუპერმა და ტოპმიოლერმა ცუდად იცოდნენ ქართული ფეხბურთი. ვთვლი, რომ ნაკრების მწვრთნელი ქართველი უნდა იყოს, რომელმაც კარგად იცის ჩვენი მენტალიტეტი და როგორი დისციპლინაა საჭირო. ქეცბაია თავად თამაშობდა ნაკრებში და ეს ყველაფერი კარგად იცის. თამაშობდა ინგლისში და იყო კარგი ფეხბურთელი. როგორც მწვრთნელმა, ბევრს მიაღწია კვიპროსზე და გაიბრწყინა ჩემპიონთა ლიგაზე. მე ვფიქრობ, მან გუნდში ყველაფერი შეცვალა.

***— 2009 წელს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს. ვინ მიიღო შარშან იგივე ტიტული?***

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, დამირეკეს და მითხრეს, რომ გავხდი საუკეთესო. ჩემი აზრით, ეს არასამართლიანი იყო — იმ წელს საუკეთესოობა უსიტყვოდ ეკუთვნოდა ლაშა სალუქვაძეს. როგორც მან „ბარსელონასა“ და მესის წინააღმდეგ ითამაშა ჩემპიონთა ლიგაზე, უდიდესი მიღწევაა. სწორედ ასე ვუთხარი ვინც დამირეკა — სალუქვაძე იმსახურებდა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას.

***— ახლა ვინ იმსახურებს?***

— თუ ლეგიონერებზე ვიტყვით, ყველაზე ცნობილი კახა კალაძეა.

***— საქართველოს ჩემპიონატში?***

— ისე გამოდის, რომ თვალს ვერ ვადევნებ. რუსეთში არ არის ისეთი არხი, რომ ჩვენს ჩემპიონატს ვუყურო. ინტერნეტით კი არ არის მოსახერხებელი. ვიგებ ანგარიშებს და ხანდახან გოლებსაც ვუყურებ. ვიცი მხოლოდ ის, რომ წელს ჩვენს ჩემპიონატში „ზესტაფონის“ ფეხბურთელი ბუბა დაუშვილი დაასახელეს.

***— არ ფიქრობთ, რომ ცოტა წონაში უნდა მოიმატოთ?***

— საჭიროა და ვცდილობ. ვიღებ იმ აბებს, რასაც ექიმი მეტყვის, კვირაში სამჯერ დავდივარ სატრენაჟორო დარბაზში. ვფიქრობ, ადრე თუ გვიან, ეს შედეგს გამოიღებს.

***— არ გეშინიათ, რომ კუნთების მასის მომატებასთან ერთად მოქნილობას დაკარგავთ?***

— ზუსტად ვიცი — იმდენს არ მოვიმატებ, რომ მოქნილობა და სისწრაფე დავკარგო.

***— ასეთი რამ დაემართა ალან ძაგოევს.***

— მე არ მინდა. მირჩევნია დავრჩე გამხდარი, მაგრამ ვიყო სწრაფი.

***— საფეხბურთო კომპონენტებიდან პირველ რიგში რომელი გაქვთ გასაუმჯობესებელი?***

— სუსტი მაქვს მარცხენა ფეხი. უფრო სწორად, ძალიან სუსტი. მისი გაუმჯობესება საჭიროა.

***— ანუ, მარცხენა ფლანგიდან გიჭირთ ჩაწოდება?***

— ისევე როგორც მარჯვნიდან. უაზროდ ჩავკიდო, ან გამჭოლი გადაცემა გავაკეთო, შემიძლია, რა თქმა უნდა.

***— თქვენ სულში რა უფრო ზის — დრიბლინგი, პასი, თუ დარტყმა?***

— მირჩევნია საგოლე პასი გავაკეთო, ვიდრე 2 ფეხბურთელი მოვატყუო და ბურთი დავკარგო. საგოლე პასიდან მეტი სიამოვნებაა.

***— ვისთან მეგობრობთ „სპარტაკში“?***

— პარშივლიუკთან, იაკოვლევთან, მახმუდოვტან. საბიტოვთანაც ვმეგობრობდი, როდესაც ჩვენთან იყო.

***— „სპარტაკს“ გარეთ?***

— ვაწაძე და გოგუა „ვოლგადან“. მარცვალაძესთან ერთად, რომელიც ახლა „კრასნოდარში“ გადავიდა და გოლის გატანაც მოასწრო ამხანაგურ მატჩში, ჯერ კიდევ კიევიდან ვმეგობრობ. გოგუა ნაკრებში გავიცანი და უცებ დავმეგობრდით, ვაწაძესთან ერთად ახალგაზრდულ ნაკრებშიც ვთამაშობდი.

***— რუსულ ენასთან, როგორც ვატყობ, პრობლემები საერთოდ აღარ გაქვთ.***

— მთავარია მწვრთნელის მესმის, თუმცა, აქცენტით ვსაუბრობ. რუსული კიევში ვისწავლე, მანამდე საერთოდ არ ვსაუბრობდი ამ ენაზე.

***— თქვენი ყველაზე ლამაზი გოლი, რომელიც აქამდე გაგიტანიათ, რომელია?***

— დუბლებში თამაშისას, როდესაც „კრილია სოვეტოვის“ მეკარეს ბურთი ერთი შეხებით გადავუგდე თავზე. ასევე „კრასნოდართან“ თასზე გატანილი გოლი.

***— თქვენი 12-ნომრიანი მაისურის გაცვლა რომ შეგეძლოთ, რა ნომერს აიღებდით?***

— 7 ნომერს. ბავშვობიდან ამ ნომრით ვთამაშობდი თბილისსა და კიევის „დინამოში“.

***— რომელიმე მსოფლიოს დონის ვარსკვლავთან შედარების გამო ხომ არა?***

— ვინც 7 ნომრით თამაშობს? კრიშტიანუ რონალდუ, სხვას ასე უცებ ვერ ვიხსენებ. თუმცა, ერთიც საკმარისია. ვინ არის რონალდუზე უკეთესი?

***— თქვენი საყვარელი კერძი ისევ ხინკალია?***

— არა.

***— გადაგიყვარდათ?***

— ხინკალი ქართველისთვის ყოველთვის საყვარელი საჭმელია. თუმცა, მე უფრო მომწონს, როდესაც დედა იახნის აკეთებს.

***— ეს რა არის?***

— საცივი იცით. მიახლოებით იგივეა, მხოლოდ ცოტა სხვანაირად კეთდება.

***— მე მითხრეს, რომ თუ გინდა ნამდვილი ხინკალი ჭამო, ცომს, რომელისგანაც აკეთებენ 14 ნაოჭი უნდა ჰქონდესო. თუ არ აქვს, არასწორად არის გაკეთებულიო. ასეა?***

— ვერ გეტყვით, არ ვიცი ასეთი რამ.

***— მეგობარი გოგონა გყავთ?***

— მოსკოვში არა.

***— საქართველოში?***

— (იცინის), არც იქ.

***— თავს მოსკოველად გრძნობთ?***

— არა. მეოთხე წელია რაც აქ ვცხოვრობ, 20-30 წელი თუ ვიცხოვრებდი, მაშინ ვიგრძნობდი. მოსკოვს მთლიანობაში უკვე შევეჩვიე, მაგრამ...

***— თქვენი საყვარელი მუსიკა, რომელია?***

— 15-16 წლის ასაკში რეპს ვუსმენდი, ახლა ხასიათის მიხედვით. როდესაც ჩემპიონები გავხდებით, რეპს შეუსვენებლივ მოვუსმენ. ძილის წინ საერთოდ ქართული მუსიკის მოსმენა უმჯობესია.

***— თქვენ ქართველი ხართ თუ აჭარელი?***

— ასე საუბარი არასწორია. მე დავიბადე ქობულეთში, აჭარაში. ამიტომ, მე ქართველიც და აჭარელიც ერთდროულად ვარ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

### ფეხბურთი

**კოპა ამერიკა**

| | |
|---|---|
| ჩილე-პერუ | 1:0 |
| ურუგვაი-მექსიკა | 1:0 |

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**
**მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| პიუნიკი-პლზენი | 0:4 |
| ვალეტა-ეკრანასი | 2:3 |
| მარიბორი-დუდელანჟი | 2:0 |
| მორგენი-ლიტექსი | 1:2 |
| სლოვანი-ტობოლი | 2:0 |
| შემროკი-ფლორა | 1:0 |

### ჩოგბურთი

**ატპ. შტუტგარტი. თიხა**

| | |
|---|---|
| ანდუჰარი-კრივოი | 6:2;6:1 |
| კუბოტი-ხიმენო ტრავერი | 7:6;3:6;6:2 |
| ფერერო-კნიტელი | 6:2;6:4 |
| მელცერი-ჰირალდო | 4:6;5:7 |
| ზვერევი-ჩერვენაკი | 4:6;6:4;2:6 |
| ფონინი-კერი | 6:4;6:1 |
| ჩარდი-კამკე | 7:6;6:1 |
| პერი-დონსკოი | 6:7;6:4;6:2 |
| იუჟნი-პეტშნერი | 6:3;6:3 |
| მაიერი-დელ ბონისი | 2:6;3:6 |
| სეპი-გრანოლერსი | 3:6;6:3;1:6 |

**ვტა. ბადგაშტაინი. თიხა**

| | |
|---|---|
| მარტიჩი-შაფათავა | 3:6;6:3;6:2 |
| დომინგეს ლინო-მაირი | 0:6;6:7 |
| პარა სანტონია-გოვორცოვა | 6:3;1:6;7:6 |
| პერვაკი-კორნე | 7:6;6:2 |
| ბონდარენკო ა.-მიუსბურგერი | 3:6;6:7 |
| ბარუა-ცურენკო | 6:2;6:3 |
| გერგესი-პოუს ტიო | 1:6;6:2;1:6 |
| კუდრიავცევა-კოლარი | 1:6;1:6 |

**ვტა. პალერმო. თიხა**

| | |
|---|---|
| მიიაჩიკა-დანილიდუ | 3:6;6:3;6:3 |
| რეზაი-იოჰანსონი | 6:7;1:6 |
| ჰერცოგი-კნაპი | 5:7;6:4;6:2 |
| ცეტკოვსკა-ბოვინა | 6:1;7:5 |
| პარმენტიე-კრეიბასი | 6:4;3:6;6:4 |
| ერანი-კულიკოვა | 6:1;6:3 |
| ზაკოპალოვა-პივოვაროვა | 0:6;6:1;6:1 |
| ვინჩი-კარატანჩევა | 6:2;7:5 |
| კირსტეა-ჰლავაჩკოვა | 6:3;6:2 |

## დღის კალენდარი

### 14 ივლისისთვის



წლის 185-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 180 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

მე-5 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. ხუთშაბათი

ხსენება წმიდა ნერსე მთავარეპისკოპოსისა. წმიდა და საკვირველმოქმედთა უვერცხლოთა კოზმა და დამიანესი — რომსა შიდა წამებულთა (284); წმიდა მოწამე პოტიტე ყრმისა (I), ღირსი პეტრე პატრიკყოფილისა (854).

**დაიბადნენ:**

1602 — ჯულიო მაზარინი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, კარდინალი. გარდაიცვალა 1661 წელს.

1743 — გავრილ დერჟავინი, რუსი პოეტი. გარდაიცვალა 1816 წელს.

1861 — ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი), დიდი ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1915 წელს.

1888 — ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ეროვნული გმირი, 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. გარდაიცვალა 1930 წელს.

1896 — დავით წერეთელი, ქართველი ფერმწერი. გარდაიცვალა 1980 წელს.

1903 — ირვინგ სტოუნი, ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1989 წელს.

1913 — ჯერალდ ფორდი, აშშ-ს 38-ე პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1974 წელს.

1918 — ინგმარ ბერგმანი, შვედი კინორეჟისორი.

1919 — ლინო ვენტურა, ფრანგი კინომსახიობი. გარდაიცვალა 1987 წელს.

1928 — ნოდარ დუმბაძე, გამოჩენილი ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1984 წელს.

1942 — ხავიერ სოლანა, ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი.

**გარდაიცვალნენ:**

1927 — ოგუსტენ ჟან ფრენელი, ფრანგი ფიზიკოსი, ტალღური ოპტიკის შემქმნელი. დაიბადა 1788 წელს.

1910 — მარიუს პეტიპა, ცნობილი ქორეოგრაფი. დაიბადა 1818 წელს.

1968 — კონსტანტინ პაუსტოვსკი, რუსი მწერალი. დაიბადა 1892 წელს.

1976 — ნიკოლაი ეკი (ივაკინი), პირველი საბჭოთა ხმოვანი ფილმების რეჟისორი. დაიბადა 1902 წელს.

2002 — იუსუფ კარში, ცნობილი ფოტოგრაფ-პორტრეტისტი, თავისი დროის ყველაზე გამოჩენილი ადამიანების ფოტოსურათების ავტორი. დაიბადა 1909 წელს.

**მოვლენები:**

1099 წელი — პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებმა დაიპყრეს იერუსალიმი და ამოხოცეს ყველა მუსლიმი და ებრაელი.

1789 წელი — საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული — ტირანიის სიმბოლოს — ბასტილიის ციხე-სიმაგრის აღების დღე. დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია.

1941 წელი — საბჭოთა ჯარებმა დნეპრის ნაპირას, ორშასთან, პირველად გამოიყენეს სარაკეტო დანადგარი „კატიუშა“.

1946 — პირველად გამოქვეყნდა ბენჯამენ სპოკის წიგნი „ბავშვი და მისი“ მოვლა.

1960 — ამ დღეს ვინმე მინიბაევმა ლენინის მავზოლეუმში წიხლი ჩაარტყა ბელადის სარკოფაგს და მინა ჩაამსხვრია.

1969 — სალვადორსა და ჰონდურასს შორის დაიწყო "ფეხბურთის ომი". წმის საბაბი გახდა ჰონდურასის უკმაყოფილება მოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის მსაჯობით.

1990 წელი — კანადის ქალაქ ოლივერის როტარი კლუბის წევრებმა გამოაცხვეს ალუბლის პეროგი, რომლის დიამეტრი იყო 6.1 მეტრი, წონა — 17.7 ტონა, მის გამოსაცხობად დაიხარჯა 16.69 ტონა ალუბალი. ეს მიღწევა შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

საფრანგეთი — ბასტილიის აღების დღე

**მედიანიუსი**

## კონსერვატორიაში სიმფონიური მუსიკის კონცერტი გაიმართება

ეკა ირემაშვილი

14 ივლისს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში სიმფონიური მუსიკის კონცერტი გაიმართება. საღამოზე დაუკრავს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი, სოლისტი ხატია ბუნიათიშვილი (ფორტეპიანო), დირიჟორი — რევაზ ტაკიძე. პროგრამაშია რახმანინოვის და დვორჟაკის ნაწარმოებები. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 5-20 ლარია.

სიმფონიური მუსიკის კონცერტამდე კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ახლადაარსებული სიმფონიური ორკესტრის პრეზენტაცია შედგა. ორკესტრი კონსერვატორიის კურსდამთავრებულებისა და სტუდენტებისგან არის დაკომპლექტებული. მასში 60-მდე მუსიკოსია გაერთიანებული. ისინი ფართო საზოგადოების წინაშე წარდგენამდე რეპეტიციებს კომპოზიტორთა კავშირში ერთი თვის განმავლობაში გადიოდნენ. ახალგაზრდულმა სიმფონიურმა ორკესტრმა სადებიუტო კონცერტზე ბეთჰოვენისა და დვორჟაკის ნაწარმოებები ააჟღერეს. მომავალში სტუდენტებისა და კონსერვატორიის კურსდამთავრებულებისგან შემდგარი სიმფონიური ორკესტრი კონცერტებს ინტენსიურად ჩაატარებს.

## რიყის პარკში გასართობი პროექტი დაიწყო

**დასაწყისი მე-12 გვერდზე**

დასრულდება. შენობის პროექტი იტალიელ არქიტექტორს მასიმილიანო ფუქსასს ეკუთვნის. არქიტექტორი რიყის ტერიტორიის უკეთ შესწავლისა და დათვალიერების მიზნით პირადად იმყოფებოდა თბილისში, რათა მისი პროექტი რიყის განაშენიანების გეგმაში სრულყოფილად ჩამჯდარიყო.

თბილისის მერიამ რიყის, როგორც ქალაქის ძველი, ისტორიული ნაწილის კომპლექსური განვითარებისა და განაშენიანების კონცეფციაზე მუშაობა 2009 წელს დაიწყო. პროგრამა რამდენიმე მასშტაბურ პროექტს მოიცავს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი რიყის პარკის ლანდშაფტური არქიტექტურისა და მისი ინფრასტრუქტურის მშენებლობაა, რომელიც სივრცის ძირითად ნაწილს მოიცავს და ტერიტორიისათვის რეკრეაციული ფუნქციის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. პარკის მთავარი განმსაზღვრელი და მახასიათებელია მწვანე არქიტექტურა და დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკები. პარკის ტერიტორიაზე მცირე საბავშვო მოედნები, დასასვენებელი ადგილები და ამფითეატრი მოეწყო, სადაც სხვადასხვა მუსიკალური და გასართობი ღონისძიებები გაიმართება. ტერიტორია სხვადასხვა ტიპისა და ზომის სანათი საშუალებებით განათდა. რიყის პარკში დამსვენებლისთვის კომფორტული და სასიამოვნო გარემოა შექმნილი.

რიყის პარკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი აქცენტი სამგანზომილებიანი გამოსახულებების მოძრავი მუსიკალური შადრევანია, რომელიც მთავარი საფეხმავლო მოედნით „მშვიდობის ხიდსა“ და ავლაბრის გვირაბის ახალი სეგმენტის სახურავზე მოწყობილ პრომენადეს უკავშირდება. გვირაბის სახურავი გამოყენებულია პარკის ერთ-ერთ ელემენტად და ინტეგრირებულია მთლიან სივრცესთან. რიყის სივრცითი გეგმარების კონცეფციის შემადგენელ ნაწილს „მშვიდობის ხიდი“ წარმოადგენს, რომელიც რიყის პარკს მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან, ერეკლე II-ს, შავთელის, ჩახრუხაძის, ლესელიძის ქუჩებთან, მეიდანთან, კალასთან და აბანოთუბანთან აკავშირებს. მითითებული ქუჩები და უბნები ძველ თბილისში ერთ-ერთ ძირითად ტურისტულ მარშრუტს წარმოადგენს, შესაბამისად, ნებისმიერი ტურისტისა და დაინტერესებული პირისთვის შესაძლებელია დროის მცირე მონაკვეთში ავლაბრის მოედნიდან რიყის პარკში კიბით ჩასვლა და „მშვიდობის ხიდის“ გადაკვეთით აღნიშნულ ქუჩებთან დაკავშირება.

რიყეზე ასევე მიმდინარეობს ერთდონიანი, 320 ავტომობილზე გათვლილი ავტოსადგომის მშენებლობაც, რომელიც მოძრაობას განტვირთავს და ქალაქის უძველეს ნაწილში ავტომობილების პარკირების პრობლემას მოაგვარებს. რიყის სრული რეაბილიტაციის პროგრამა 2012 წელს დასრულდება.

თბილისის მერიამ თბილისელებს ამცნო სიახლე — რიყის ახალი პარკიდან სოლოლაკის ხეივნამდე „ქართლის დედის“ ძეგლამდე საბაგირო იმოძრავებს. ამ დროისთვის მშენებლობის დასაწყებად ფუნდამენტური მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. საბაგიროს ორივე სადგურის ზუსტი ადგილმდებარეობა ჯერჯერობით უცნობია. არც ის არის გადაწყვეტილი, რა სიგრძის იქნება საბაგირო ხაზი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ საბაგიროს მშენებლობა 2012 წელს დასრულდება.

## მიაღწევთ თუ არა წარმატებას?

**ტესტი**



***1. მეგობარს საჩუქარი უნდა უყიდოთ:***

ა) უშოვით, რაც მას სურს; ბ) შეეცდებით, მაგრამ ბევრ ფულს არ დახარჯავთ; გ) რასაც იშოვით, იმას უყიდით.

***2. თქვენი მოვალეობების შესრულებისას ცდილობთ:***

ა) რაც შეიძლება კარგად გააკეთოთ საქმე; ბ) გარკვეული ცვლილებები შეიტანოთ, თუ ეს დამატებით დროს არ მოითხოვს; გ) რაც შეიძლება სწრაფად დაამთავროთ საქმე.

***3. სამსახურში:***

ა) მთელ ენერგიას იყენებთ; ბ) გონიერი ენთუზიასტი ხართ; გ) აკეთებთ იმას, რაც გევალებათ.

***4. სტუმრად ჭიქა თუ გაგიტყდათ:***

ა) ახალს იყიდით; ბ) გაწითლდებით; გ) თუ ძალიან ეწყინებათ, ზარალის ანაზღაურებას შესთავაზებთ.

***5. ჭადრაკის თამაშისას პარტნიორად აირჩევთ:***

ა) მინიმუმ სპორტის ოსტატს; ბ) მოთამაშეს, რომელიც თქვენზე ძლიერია; გ) ვისაც მოუგებთ.

***6. მიზნის მიღწევისას:***

ა) მაშინვე ახალზე იწყებთ ფიქრს; ბ) დიდხანს ტკბებით გამარჯვებით; გ) მხოლოდ ამ გამარჯვებაზე ლაპარაკობთ.

***7. რემონტის საკუთარი ძალებით კეთებისას:***

ა) მეგობრებს, ახლობლებს ეძახით დასახმარებლად; ბ) თავად ამთავრებთ; გ) შუა გზაში წყვეტთ.

***8. ორქიდეას უვლიდით, მაგრამ გაგიხმათ:***

ა) ორ ცალს იყიდით და თავიდან დაიწყებთ; ბ) უფრო ნაკლებად ჭირვეულ მცენარეს აირჩევთ; გ) უარს იტყვით ყვავილების მოვლაზე.

**პასუხები შეაფასეთ ა — 1; ბ — 2; გ — 3.**

**პასუხები**

**8-13 ქულა:** მიღწევები გახალისებთ. მარცხი მეტ სტიმულს გმატებთ. რასაც არ ჰკიდებთ ხელს, ყველაფერს კარგად აკეთებთ, რისთვისაც პატივს გცემენ.

**14-19 ქულა:** თქვენთვის გართობაც არის დამახასიათებელი და საქმის სიყვარულიც. დღეს ზარმაცი ხართ, ხვალ კი — ენერგიით სავსე. მიზნისათვის ზედმეტი თავგამოდება თქვენი თვისება არ არის.

**20-24 ქულა:** ადამიანებთან კარგი ურთიერთობა თქვენთვის პოპულარობაზე უფრო მნიშვნელოვანია. არ ცდილობთ თავის გამოჩენას, სიმშვიდე უფრო მეტს ნიშნავს.

გ.თ.

## იუმორი



— რითი ცხოვრობ?

— ავეჯს ვყიდი... საკუთარს...

***

— პრობლემების დაკიდების ხელოვნებას ბედნიერება ჰქვია...

***

— ნალს ბედნიერება მოაქვს, თუ, რა თქმა უნდა, ცხენი არ ხარ...

***

— გოგოები მოვლენ?

— ჰო, შამპანური წამოიღე.

...

— მოვიდნენ?

— ჰო, არაყი იყიდე.

***

ბანკომატთან ქალი მივიდა, თან ხუთი წლის ბავშვი ახლავს.

— ახლა ფულს ავიღებთ და მაღაზიაში წავალთ.

ბანკომატში ბარათი ჩადო, ფული მიიღო. ბავშვი ჩუმად ეკითხება:

— იმ ყუთში მამიკო ზის?

***

ექიმი:

— ასე გტკივათ?

— არა.

— აი აასე?

***

— გუშინ ათასი ლარი ვიპოვე და პოლიციას ჩავაბარე. ჩემს ადგილას შენ როგორ მოიქცეოდი?

— მეც იგივეს გავაკეთებდი, შენსავით მოვიტყუებოდი...

გ.თ.

**სპორტი**

## 16-წლამდელებმა ესტონეთთან პირველი სპარინგ-მატჩი დათმეს

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები ესტონეთში შეკრებაზე იმყოფებოდა, სადაც მასპინძელ თანატოლებთან ორი სპარინგ-მატჩი გამართა. პირველ შეხვედრაში ესტონელებმა 64:53 იმარჯვეს.

გია კაზანჯიანის შეგირდები დასკვნითი მეოთხედის წინ მხოლოდ ოთხ ქულას აგებდნენ, თუმცა, ბალტიისპირელებმა ბოლო ათწუთეული უკეთესად ჩაატარეს და სხვაობის გაზრდა მოახერხეს. ჩვენებთაგან საუკეთესო 14 ქულით სანდრო ბოლქვაძე გახლდათ, რომლის წინააღმდეგაც მეტოქეებმა თამაშის წესები ცხრაჯერ დაარღვიეს. 12 ქულით დაასრულა ასპარეზობა ნუგზარ აბულაძემ.

მეორე მატჩში საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ესტონელებს რევანში აუღო. კაზანჯიანის გუნდმა ბალტიისპირელებთან მარცხის შემდეგ მომდევნო სპარინგ□მატჩი 71:69 მოიგო.

პირველი მეოთხედი ესტონეთმა 17:14 მოიგო, მეორეში კი ქართველებმა 1 ქულა გააბათილეს და დიდი შესვენების შემდეგ 28:30 ჩამორჩებოდნენ. მესამე პერიოდში მასპინძლებმა იძალეს და როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გადამწყვეტი მეოთხედის წინ 6 ქულით დაწინაურდნენ. მატჩის დასკვნით ათწუთეულში კაზანჯიანის გუნდმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და გამარჯვების მოპოვება შეძლო.

ჩვენს ნაკრებში მოწონება დაიმსახურა უჩა გამრეკლიძემ, რომელიც 1996 წელსაა დაბადებული, ანუ 16□წლამდელთა ნაკრებში ამის მომდევნო ევროპირველობაზეც მოუწევს თამაში. მიუხედავად მცირე ასაკისა, გამრეკლიძემ დამაჯერებლად ითამაშა და ჩვენი გუნდის წარმატებაში ლომის წილი დაიდო. გამრეკლიძესთან ერთად ჩინებულად გაისარჯა ნუგზარ აბულაძე, რომელმაც 23 წუთში 19 ქულა დააგროვა.

ქართველმა 16-წლამდელებმა ამით დაასრულეს ესტონური ტურნე და ფინეთში გადაინაცვლეს, სადაც იქაურ თანატოლებთან ასევე ორ საკონტროლო მატჩს გამართავენ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 2. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 3. „ბარსელონას“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 4. უღელტეხილი კავკასიონზე; 5. საკანონმდებლო ორგანო მონღოლეთში; 9. უოლტ დისნეის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი; 10. კავშირი, გაერთიანება; 14. სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო; 15. ფსონების ამკრები ტოტალიზატორში; 16. ინდიელთა გრძელი, ვიწრო ნავი; 19. დიდი ბუ; 20. ქართველი ჰემატოლოგი, აკადემიკოსი; 21. მდინარე ტოკიოში.

**თარაზულად:** 6. მომავლის გეგმები; 7. ობობას ძველი ქართული სახელწოდება; 8. ძალოსნობის იარაღი; 11. ქართული ხალხური ცეკვა; 12. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 13. ეგვიპტელი ქრისტიანები; 17. პატარა იუმორისტული მოთხრობა; 18. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 22. მეჩვიდმეტე საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი; 24. თურქმენეთის დედაქალაქი; 25. უფროსი მოსამართლე ძველად საქართველოში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მოლი; 2. რაუტი; 3. შტამბი; 5. პორტო; 6. კანცლერი; 8. მდივანბეგი; 10. იმპულსი; 12. მასტიფი; 14. მარუხი; 15. მარიცა; 16. ესაძე.

**თარაზულად:** 1. მუჯირი; 4. სპეტაკი; 7. ალუშტა; 9. ბეტონი; 11. ლიკეუმი; 12. მთიულური; 13. ტუნისი; 17. სტამპა; 18. ლელა; 19. აფსარუნტი; 20. ცირეკიძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მოლუსკი; 2. ესტრადა; 3. შტუტგარტი; 4. ბაგები; 5. ეტრატი; 9. ფანტა; 10. სნუკერი; 14. მარკეტინგი; 15. ხურცილავა; 16. ღალატი; 19. ბოლტონი; 20. რუტინა; 21. დიროლი.

**თარაზულად:** 6. კონოსამენტი; 7. ინფანტი; 8. ბუხარა; 11. გამბიტი; 12. ადენი; 13. პროექტი; 22. ბულბული; 18. ხვანჭკარა; 17. ბუტაფორია; 23. ტრიესტი; 24. ანსამბლი; 25. ტარიბანა.

# რატომ არის ქართული თავისუფალი მედია სუსტი

დასაწყისი მე-11 გვერდზე

ჟურნალისტი. ჯერჯერობით, შემოთავაზებულ ვარიანტებს შორის დომინირებს თავისუფალ ჟურნალისტთა ძლიერი და სოლიდარული ჯგუფების შექმნის, ან მედია პროფკავშირების ჩამოყალიბების, ან მედია ომბუდსმენების იდეები. იქმნება უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ ვითარება არ იცვლება.

ჟურნალისტთა გაერთიანებების შექმნა შესაძლოა ცუდი არაა, მაგრამ არაეფექტურია. არსებულმა პოლიტიკურმა რეჟიმმა მოახერხა და დაყო მედია ორ ნაწილად — სახელისუფლო საშუალებებში მოღვაწე ჟურნალისტებად და ოპოზიციონერ ჟურნალისტებად. სახელისუფლო ჟურნალისტები ფლობენ პრივილეგიებს, თუმცა საზოგადოებისთვის მათ ვერ და არ იყენებენ, რადგან ექვემდებარებიან სახელისუფლო პროპაგანდის კანონებს, რაც გამორიცხავს მათ ჩართულობას ისეთ გაერთიანებებში, რომლებშიც იქნებიან „ოპოზიციონერი" ჟურნალისტები. „ოპოზიციონერ ჟურნალისტად" ან მედია საშუალებად ხელისუფლება მიიჩნევს ყველას, ვინც არ არის ხელისუფლების პროპაგანდის ნაწილი. ასევე, იმის გამო, რომ თავისუფალი მედიის ძირითადი სარბიელი დღევანდელი ოპოზიციური სერიალებია. აშუქებ ოპოზიციას? — ოპოზიციონერი ხარ. ოპოზიციონერი ხარ? — მტერი ხარ.

ეს თავისუფალი (ხელისუფლების ენაზე „ოპოზიციური") მედიაც დაყოფილი და დაქსაქსულია, რადგან არსებობენ ე.წ. რადიკალები, რომლებიც ხედავენ მათი და ქვეყნის პრობლემების აღმოფხვრის გზას მხოლოდ არსებული რეჟიმის წასვლაში. არსებობენ ასევე ზომიერ პოზიციაზე მყოფი ჟურნალისტები, რომლებიც „კარგსაც ხედავენ და ცუდსაც" და უშვებენ იმის შესაძლებლობას, რომ არსებული რეჟიმი გადემოკრატიულდება. ასევე არსებობენ ჟურნალისტები, რომლებიც თამაშობენ ორივე ფრონტზე — ხან ოპოზიციონერები არიან, ხან პოზიციონერები. ფაქტიურად მედია ჰგავს ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, იგივე სიჭრელე, ნაირ-ნაირი პრიორიტეტები, ამბიციები, ინტერესები. ამგვარ ვითარებაში გაერთიანებების შექმნა თავისუფალი მედიის ფრონტზე განწირულია კრახისთვის. საკმარისია რამდენიმე თვე, რომ გაერთიანებაში გაჩნდება შიდა ოპოზიცია, დაიწყება გარჩევები გრანტის განაწილებაზე, პოლიტიკურ მიკერძოებაზე და ა.შ. შესაბამისად გაერთიანებები თავისუფალი მედიის პრობლემას ვერ ხსნის.

იგივე ვითარებაა მედია პროფკავშირებთან დაკავშირებით. სანამ საქართველოში არ მიიღებენ ქმედით და ნორმალურ შრომის კოდექსს, ვერანაირი პროფკავშირი ვერ იმუშავებს.

სულ არ არის აუცილებელი თავისუფალმა მედიამ შექმნას რამე ინსტიტუციები იმისთვის, რომ სოლიდარობა გამოუცხადოს რომელიმე ჟურნალისტს ან საერთოდ შეცვალოს ვითარება მედიასთან დაკავშირებით. უმთავრესი პრობლემა ქართული თავისუფალი მედიისთვის არის რეალური ნების არ არსებობა.

არ შეიძლება შეცვალო ვითარება პასუხისმგებლობების აღების და საკუთარი თავის შეცვლის გარეშე. დღევანდელი მედია ცდილობს დააკნინოს საკუთარი გავლენა საზოგადოებაზე. ეს რომ ასე არ იყოს, სხვადასხვა თავისუფალი მედიაგამოცემის წარმომადგენელი არ დააწესებდა „პრიორიტეტებს", რომლითაც ის თავს იმართლებს ამა თუ იმ „საზოგადოებისთვის არასაინტერესო" ღონისძიების არგაშუქებისას. თუ რომელიმე პარტია მოინდომებს მისი პოლიტიკური, სოცილაური ან აგრარული პროგრამის პრეზენტაციას, დღევანდელი თავისუფალი მედიის უდიდესი ნაწილი ამას არ გააშუქებს, ან თუ გააშუქებს, ფულს მოითხოვს. მაგრამ თუ იგივე პარტია დააანონსებს, რომ „არსებული ვითარების გასაპროტესტებლად დღეს სამ საათზე პარტიის 10 წევრი სახალხოდ დაიწვავს თავს რუსთაველზე", მაშინ დათქმულ დროს და დათქმულ ადგილას ჟურნალისტების ტევა არ იქნება. სწორედ ამგვარი მიდგომების გამო არ ვითარდება საქართველოში არც მედია, არც ოპოზიცია და არც საზოგადოება. თავისუფალი მედია გახდა ხელისუფლების მიერ შეთავაზებული წესების მძევალი, ხოლო თემები, რომლებიც მართლაც მნიშვნელოვანი და აუცილებელია საზოგადოებისთვის არ შუქდება „უინტერესობის" გამო. ვისაც უნდა, გადაიხადოს ფული და გააშუქებენ. ვისაც ფული არა აქვს, თავისი იდეები დაახვიოს და... ეს არის დღევანდელი თავისუფალი მედიის პოლიტიკა.

რეალურად, დღევანდელ თავისუფალ მედიას არ უნდა პასუხისმგებლობების აღება. ის არ ზრუნავს საზოგადოების, პოლიტიკის და საკუთარი სფეროს (ზოგადად) ინტერესებზე, განვითარებაზე, პროგრესულობაზე. მედიის, მისი ატომიზირებული შემადგენლების ინტერესია შემოსავლის შენარჩუნება და გაზრდა, თუ ცეცხლმოკიდებული ადამიანი გაყიდის გაზეთს, ადგილი მას დაეთმობა და არა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებს. რასაკვირველია, მედია საშუალებამ მოგება უნდა ნახოს, მაგრამ საქართველოში როგორც გვინდა, ეგრე არ ხდება მსოფლიოში — თუ გინდა ცვლილებები უკეთესობისკენ, მაშინ მსხვერპლი უნდა გაიღო და პასუხისმგებლობა აიღო. თუ მედია დაელოდება დროს, როდის შეიცვლება ხელისუფლება „თავისით" მაშინ ლოდინი დიდხანს მოუწევს, რადგან თუ არ შეიცვალა მედია, არ შეიცვლება პოლიტიკის პრიორიტეტები, არ გაჩნდება საზოგადოებრივი დისკურსები, თუ არ გაჩნდება დისკურსები, არ შეიცვლება საზოგადოება, რომელიც კვლავ მოითხოვს უაზრო პოლიტსერიალებს და მედია კვლავ მიაწვდის ამ სერიალებს, რითიც იხეირებს არსებული, ან სხვა რეჟიმი, რომელიც ასევე ჩათვლის, რომ თავისუფალი და გავლენიანი მედია მისი საფრთხეა.

თუ თავისუფალ მედიას სურს მეოთხე ხელისუფლების შექმნა, მაშინ მან უნდა შექმნას ახალი დისკურსები, თემები, რომლებიც ერთდროულად ეხება ხალხს და ეხამუშება ხელისუფლებას. სკანდალები? — კი ბატონო, ოღონდ სკანდალი კეთდებოდეს არა ორი ოპოზიციონერის ჭიდაობისგან, არამედ, მაგალითად, ამერიკელი სენატორების ჩივილისგან საქართველოში არსებული დისკრიმინირებული პროფკავშირების გამო. თავისუფალი მედია უნდა იყოს სახელისუფლებო ვირტუალური რეალობის სახალხო, საზოგადო რეალობით ჩანაცვლების გზა.

## ფოტორეპორტიორმა გიორგი აბდალაძემ შიმშილობა შეწყვიტა

ფოტორეპორტიორმა გიორგი აბდალაძემ შიმშილობა შეწყვიტა. როგორც მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ლიდერმა ეკა ბესელიამ აბდალაძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, გიორგი აბდალაძემ შიმშილობა გუშინ ღამით შეწყვიტა, რადგან, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა.

„აბდალაძე თავად ისაუბრებს იმ არგუმენტებზე და მოტივაციებზე, თუ რატომ შეწყვიტა შიმშილობა. გუშინ ის იყო მძიმედ, მას გაუკეთდა გადასხმები და შიმშილობა შეწყვიტა", — განაცხადა ბესელიამ.

**ინტერპრესნიუსი**

# ოსური ხალხური სიმღერები კრებულად გამოიცა

ეკა ირემაშვილი

14 ივლისს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტში გაიმართება აუდიო და სანოტო კრებულის „ოსური ხალხური სიმღერების" პრეზენტაცია. კრებული მომზადდა და გამოიცა ფოლკლორის მხარდაჭერის საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით. მასში შესულია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცული ოსური ხალხური სიმღერების სანოტო ხელნაწერები — დიმიტრი არაყიშვილის, ავქსენტი მეგრელიძის, გრიგოლ კოკელაძის, ვლადიმერ კურტიდის, დავით თორაძისა და ბორის გალაევის (გალათის) მიერ შეკრებილი და ნოტირებული 61 ნიმუში.

კრებულის გამოცემა ღირებულია იმით, რომ მასში თავმოყრილია თითქმის ერთი საუკუნის წინ ფიქსირებული ოსური სიმღერების იშვიათი ვარიანტები, რომელთა უმრავლესობა დღეს აღარც ყოფაში გვხვდება და აღარც სცენაზე სრულდება. სანოტო მასალა და კომპაქტდისკი — ნოტებიდან გაცოცხლებული 10 ოსური ხალხური სიმღერა — ხელახალ სიცოცხლეს მიანიჭებს ოსურ სამუსიკო ფოლკლორს და დაამკვიდრებს ქართული და ოსური ფოლკლორული ანსამბლების რეპერტუარში.

სიმღერები ნოტების მიხედვით გააცოცხლა და ჩაწერა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნართებმა" (ხელმძღვანელი დავით ელბაქიძე), თარგმანი, სიმღერათა ტექსტების ქართული ტრანსკრიპცია და მათი აუდიოჩანაწერები ეკუთვნით ნაირა ბეპიევსა და რაზიათ ქუმარტოვს, მუსიკალური რედაქტორი ნანა ვალიშვილია, რედაქტორი — ნაირა ბეპიევი, ხმის რეჟისორი — არჩილ ბურჭულაძე, სარედაქციო ჯგუფი — თეა კასაბური, თამაზ გაბისონია.

ოსური ხალხური სიმღერების პრეზენტაციამდე ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ცნობილი ქორეოგრაფისა და ქორეოლოგის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მოცეკვავისა და პედაგოგის ავთანდილ თათარაძის მემორიალური დაფა გახსნა. ღონისძიების ინიციატორები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი და საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი იყვნენ. ავთანდილ თათარაძის მემორიალური დაფა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა გახსნა. მემორიალური დაფის გახსნას ესწრებოდნენ ცნობილი ქორეოგრაფები და ქორეოლოგები, ავთანდილ თათარაძის აღზრდილები, მოცეკვავეები და საზოგადოების წარმომადგენლები. ღონისძიება ავთანდილ თათარაძის დაბადებიდან 90 წლისთავსა და მისი ნაშრომების კრებულის „ქართული ხალხური ცეკვის" გამოსვლას მიეძღვნა.

ავთანდილ თათარაძის მემორიალური დაფის გახსნის შემდეგ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა მემორიალური დაფა ცნობილ მოცეკვავესა და ქორეოგრაფს, საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სახალხო არტისტს მიხეილ კობეშავიძეს გაუხსნა. მან მეუღლე შურა ლევიძესთან ერთად დაარსა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „მხედრული" და გარდაცვალებამდე ამ სახელგანთქმული ანსამბლის უცვლელი ხელმძღვანელი იყო. დღეს მამის საქმეს აგრძელებენ მისი ვაჟები — ჰამლეტ და ზურაბ კობეშავიძეები. მიხეილ კობეშავიძის მემორიალური დაფა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა გახსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ცნობილი ქორეოგრაფები და ქორეოლოგები, მიხეილ კობეშავიძის აღზრდილები, მოცეკვავეები, საზოგადოების წარმომადგენლები. ღონისძიების ინიციატორები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი და საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი იყვნენ.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი კულტურის სამინისტროსთან ერთად აგრძელებს ფოლკლორული ანსამბლების სერტიფიცირების პროექტს. პროექტის პრეზენტაცია კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ, მინისტრის მოადგილე დავით ქირიამ, სერტიფიცირების კომისიის წევრებმა გიორგი უშიკიშვილმა, ფრიდონ სულაბერიძემ, რეზო ჭანიშვილმა, უჩა დვალიშვილმა, დავით შუღლიაშვილმა, ნატალია ზუმბაძემ და მიწვეულმა სტუმრებმა მოაწყვეს.

სერტიფიცირების მიზნებია ფოლკლორული ანსამბლების შემოქმედებითი დონის შესწავლა, ფოლკლორული ანსამბლების შესახებ სრულყოფილი საინფორმაციო მონაცემთა ბაზის შექმნა და საზოგადოებისათვის ქართული ფოლკლორის სათანადო დონეზე წარმოჩენა. სერტიფიცირებული ფოლკლორული ანსამბლები კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან დამატებით მხარდაჭერასაც მიიღებენ.

— ამ პროექტის პრეზენტაცია ძალიან მნიშვნელოვანია. მათი სერტიფიცირება ითვალისწინებს მათ დახმარებასა და ხელწეყობას. აქ იგულისხმება როგორც ფინანსური დახმარება, ასევე გასტროლებისა და სხვადასხვა გასვლითი ღონისძიებების მხარდაჭერა. სერტიფიცირება ნებისმიერი ანსამბლისთვის ნებაყოფლობითია. თუკი ეს მოხერხდა, მაშინ ფოლკლორული ანსამბლებისთვის მთელი რიგი ღონისძიებები ჩვენი ხელშეწყობით გაადვილდება, — აღნიშნა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა.

პროექტის წარდგინებაზე ცნობილი გახდა სერტიფიცირების პირობებიც. ფოლკლორული ანსამბლებისათვის სერტიფიცირების პროექტში მონაწილეობა უფასო და ნებაყოფლობითია. სერტიფიცირება არ ვრცელდება სახელმწიფო ანსამბლებზე. აღნიშნული პროექტი ასევე არ ითვალისწინებს საბავშვო ანსამბლების სერტიფიცირებას. ანსამბლების სერტიფიცირება ორ წელიწადში ერთხელ მოხდება.

— ეს პროექტი მნიშვნელოვანია როგორც ჩვენთვის, კულტურის სამინისტროსთვის, ასევე თავად ფოლკლორული ანსამბლებისთვის. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, საქართველოში 800-მდე ფოლკლორული ანსამბლია, თუმცა მათგან მხოლოდ 400-ია რეგისტრირებული. მათი აღრიცხვა და სერტიფიცირება ჩვენ მათთან ურთიერთობისთვის გვჭირდება, — განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილე მაკო ჭოლოშვილმა.

სერტიფიცირება უკვე ათეულობით ანსამბლმა გაიარა როგორც თბილისიდან, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. სერტიფიცირების პროექტში მონაწილეობა ანსამბლმა „გულანმა" გადაწყვიტა. გუნდი 3 წლის წინ გიორგი ნატროშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა. „გულანის" წევრების აზრით, სერტიფიცირება მათ ანსამბლს პოპულარიზაციასა და უკეთ წარმოჩენაში შეუწყობს ხელს.

— ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, მონაწილეობა მივიღოთ ანსამბლების სერტიფიცირების პროცესში. ეს პირველ რიგში ჩვენი ანსამბლისთვის არის კარგი. იმედია, მეტი შრომით და მეტი გეგმებით წარმოვაჩენთ ქართულ ფოლკლორს. გვინდა, საზოგადოებამ კიდევ უფრო კარგად გაგვიცნოს, — განაცხადა ანსამბლ „გულანის" ხელმძღვანელმა გიორგი ნატროშვილმა.

განაცხადების მიღება როგორც კულტურის სამინისტროში, ასევე რაიონულ ადგილობრივ გამგეობებში 15 ივლისს დასრულდება. სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობა კი ნებისმიერი ფოლკლორული ანსამბლისთვის ნებაყოფლობითია. უკვე ცნობილია, რომ სერტიფიცირებული ანსამბლები კულტურის სამინისტროს მხრიდან დამატებითი პრივილეგიებით ისარგებლებენ.

## სამგლოვიარო განცხადებები

ოთარ ჩარკვიანი და ვენედი გოგელია ოჯახებით იუწყებიან მამისა და სიმამრის

**პანტე პლატონის ძე ჩარკვიანის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 14, 15 ივლისს, 16 საათზე;

დაკრძალვა: 16 ივლისს, 14 საათზე;

მისამართი: თბილისი, მ.კოსტავას 67, III სადარბაზო, II სართული, ბინა 34.

შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის" კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თანამშრომლის, მარკეტინგის მენეჯერის, ღირსეული პიროვნების

**რადინ ხელაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს, უახლოეს სანათესაოსა და მეგობრებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 14 ივლისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. "**ხუთი და**" **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** **ფეხბურთი**. ევროპის ლიგა. მეორე საკვალ. ეტაპი **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** **ფეხბურთი**. ევროპის ლიგა. მეორე საკვალ. ეტაპი. "ანორთოსისი" (კვიპროსი) – გაგრა **23.00** სი ბემოლი **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი "**ჯიბის ფული**" (12) (მ. გრიფიტი) **03.00** მოამბე **03.20** დიალოგი დ. პაიჭაძესთან

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **20.00** მხ. ფილმი "**წყნარი ღამე**" **01.00** მხ. ფილმი "**ანგარიშსწორება**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** სერ. "**ქალის მსხვერპლი**" **19.45** სერ. "**ახალგაზრდა ქვრივი**" **22.00** ჯეოსელია გათამაშება (პირდ.) **22.30** პროფილი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ბოიარის ციხესიმაგრე **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **00.00** რემონტი (გან.) **00.30** მხ. ფილმი "**ჩვეულებრივი ქორწინება**" (კ. ბესინგერი) (სუბტ.) **03.10** მხ. ფილმი "**საშობაო ამბავი**" (პ. კრუსი) (სუბტ.) **06.30** სერ. "**ბოშები**"

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **00.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **02.00** ფარული კამერა **02.30** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.00** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**დატვის უფლება**" **12.50, 19.30** სერ. "**მეგობრები**" **15.00** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** დოკ. ფილმი "წმინდა მიწა ქართველ პილიგრიმთათვის" **13.00** კონცერტი – ანს. "ნოდარ დუმბაძე და მისი მეგობრები" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი "**მანანა**" **16.35** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.00** მოკლ. ფილმი "**სამოთხის გვრიტები**" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**მე, ბებია, ილიკო და ილარიონი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** დოკ. ფილმი "ქართული აბრეშუმი" **22.20** დოკ. ფილმი "თავშესაფარი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკლ. ფილმი "**კერპი**" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი – ფრიდრიხ გულდა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**14 ივლისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6688

ევრო —2,3929

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721

რუსული რუბლი — 0,0598

## ამინდის პროგნოზი 14 ივლისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 27-39, ღამით — 1§-21

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 26-27, ღამით — 1§-18

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 23-26, ღამით — 12-16








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

**WWW.PHERDI.GE** ☎ 295-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა

**გუშინ საქართველოს 20-წლამდე კალათბურთელთა ნაკრები ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქ სარაევოში გაემგზავრა, რომელიც 14 ივლისიდან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირს უმასპინძლებს.**



ბ დივიზიონის ა ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრების მეტოქეები პოლონეთის, მაკედონიის, ესტონეთის, შვეიცარიისა და რუმინეთის ნაკრები გუნდები იქნებიან. მომდევნო ეტაპის საგზურს I-II ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ.შეგახსენებთ, რომ 20-წლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა შეკრებაზე 20 კალათბურთელს უხმო, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადებას 10 ივნისს, დიღომში მდებარე „დინამოს" ბაზაზე შეუდგნენ.

20-წლამდელებმა შეკრების დროს ოთხი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს, აქედან სამი, ზვოლეს საერთაშორისო ტურნირში, ხოლო ერთი, ეროვნული ნაკრების წევრობის კანდიდატებთან. 20-წლამდელებმა ნიდერლანდების 20 და 23-წლამდელებს, შესაბამისად, 87:64 და 87:83 მოუგეს, ხოლო ავსტრიის 20-წლამდელებთან 82:89, ხოლო ეროვნული წევრობის კანდიდატებთან 77:85 დამარცხდნენ.

შეკრების ბოლო დღეს, 20-წლამდელთა ნაკრების ღია ვარჯიშზე გაირკვა იმ 12 სპორტსმენის ვინაობა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებენ.

**უკანა ხაზი:** გივი ბაქრაძე (უგუნდო), იოსებ ლეჟავა (თსსუ), ტატო თავართქილაძე (თსსუ), ბექა ჩიკვილაძე (სტუ), მერაბ ბოქოლიშვილი (აველინო, იტალია), დუდა სანაძე (ბათუმი);

**ფორვარდები:** აკაკი ლომოური (სტუ), ნოდარ თენიეშვილი (ბათუმი), თორნიკე შენგელია (პეპინსტერი, ბელგია), გიორგი რევაზაშვილი (მაკაბი);

**ცენტრები:** აკაკი დვალიშვილი (თსსუ), ბექა ბექაური (თსსუ).


# 11 ივლისიდან

## იყიდება

**100 წიგნი**

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

**ტომი 8**

**ვაჟა-ფშაველა**




**გაზეთი და წიგნი ერთად**

**8 ლარი**


## ასტროპროგნოზი 14 ივლისისთვის

### პოზიტიური დღე

**ვერძი** — დღეს ყველა საქმე გამოგივათ. ნუ გადაიღლებით. **კურო** — დასვენეთ და გაერთეთ. თქვენ ეს დაიმსახურეთ. **ტყუპები** — სიყვარულში გიმართლებთ. გელით საჩუქარი. **კირჩხიბი** — ერიდეთ შორეულ მგზავრობას. შინ დაისვენეთ. **ლომი** — უფროსობა კარგი თვალით გიყურებთ. ასე განაგრძეთ. **ქალწული** — მნიშვნელოვანს ნურაფერს დაგეგმავთ. წვრილმანი საქმეებით დაკავდით. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე. მიიღეთ ხილი და მხოლოდ მინერალური წყალი. **ღრიანკალი** — საყვარელი ადამიანი სიურპრიზს გიმზადებთ. ძალიან გაგიხარდებათ. **მშვილდოსანი** — წარმატება გელით ყველა სფეროში. ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. **თხის რქა** — გადაიხალისეთ გარდერობი. შეიცვალეთ იმიჯი. **მერწყული** — ნუ გარისკავთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თევზები** — კონფლიქტური დღეა. თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 2. უბანი თბილისში; 3. ლითონის ბაგირი; 5. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 6. სახელმწიფო სკანდინავიაში; 8. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსარკვევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 10. ტკბილი არომატული სპირტიანი სასმელი; 12. ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 14. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 15. ხელოვნური თმა; 16. საფრანგეთის პირველი ლედი.

**თარაზულად:** 1. მე-18 საუკუნის ქართველი პოეტი, დიპლომატი; 4. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში; 7. აგავისგან მომზადებული მექსიკური არაყი; 9. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 11. მოქმედების უნარი, მხნეობა, ძალღონე; 12. პირობითი სასჯელი; 13. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. საეკლესიო მგალობელთა გუნდი; 18. მოძღვარი, დამრიგებელი ინდოეთში; 19. კბილების კრაჭუნი ძილში; 20. გეომეტრიული ფიგურა.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

